

LEONIDAS TSCHEICHVILI  
DOCTOR EN CIENCIAS NATU  
RALES  
INGENIERO ESPECIALIZADO EN  
Las Piedras 135  
Lomas de Zamora

# მარიამ მარჯანიშვილი

Lomas de Zamora  
13 de Agosto de 1964

Dr. Leonidas Tschichvili, Lomas de Zamora, Las Piedras 135, Argentina.

პაპი და, ზეოქიე ვუ მუ რ ვიქი.  
მეწახე, ხონი იმ ტიპის ქოიქი, ხონი მუ  
ჩი 52 სულ, აქედან ავიღე რამე ვაქი. იმედი  
აქვს, რომ ეს ხონი მუ იმ ტიპის ვაქი იქნება.

ყოი ჭეიშვილი  
რეკონსტრუქციის მოსახლე  
ქონსუკი  
მხურაი და მუხნიური

მეწახე, ხონი იმ ტიპის ქოიქი, ხონი მუ  
ჩი 52 სულ, აქედან ავიღე რამე ვაქი. იმედი  
აქვს, რომ ეს ხონი მუ იმ ტიპის ვაქი იქნება.

მ. ჭეიშვილი

მარიამ მარჯანიშვილი

# რეო ჯეიმზიანი

სწავლენებში მოღვაწე

ქიმიკი

მწერალი და მუსიკოსი



გამომცემლობა „მნიგლობარი“  
თბილისი 2013

*წიგნის უკუთვლელი დაჯილდოება - წარსული სარწმუნოებრივი*

რედაქტორი — პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი

რეცენზენტები: პროფესორი სოსო სიგუა  
პროფესორი ირაკლი კენჭოშვილი  
პროფესორი ნაზი ხელაია  
პროფესორი იუზა ევგენიძე

მხატვარი — ბუღუ სირბილაძე

ფოტო — გელა ლაჭავაძე

წიგნი გამოიცა მირიან მესხის დაფინანსებით

© მარიამ მარჯანიშვილი, 2013

© გამომცემლობა „მნიგნობარი“, 2013

ISBN 978-9941-424-81-6

## სარჩევი

წინათქმა .....	4
ლეო ქეიშვილი - არგენტინაში მოღვაწე ქართველი მწერალი და მეცნიერი .....	5
ბოლოთქმა .....	91
ლექსები, წერილები, წიგნები და ფოტო-ილუსტრაციები .....	93
summer .....	115
გამოყენებული ლიტერატურა .....	116

## წინათქმა

არგენტინაში მოღვაწე მწერლისა და მეცნიერის — ლეონიდე (ლეო) ჭეიშვილის შემოქმედებითი და სამეცნიერო მოღვაწეობა თითქმის სრულიად უცნობია ჩვენი საზოგადოებისათვის.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორანტმა მარიამ მარჯანიშვილმა მოიძია და წინამდებარე წიგნის მეშვეობით პირველად წარუდგინა ქართველ მკითხველს ემიგრაციაში მოღვაწე ამ მრავალმხრივ საინტერესო პიროვნების პოეტური ნაწარმოებები და პირადი წერილები, რითაც გარკვეული წარმოდგენა გვექმნება მის როლსა და ადგილზე XX საუკუნის ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ისტორიაში.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი,  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

## არგენტინაში მოღვაწე ქართველი მწერალი და მეცნიერი

ქართველი ემიგრანტი, მეცნიერი, პოეტი და მხატვარი ლეონიდე (ლეო) ჭეიშვილი 1905 წელს დაიბადა სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშში.

მამა — პორფილე ჭეიშვილი სამტრედიაში აგურის ქარხნის მფლობელი გახლდათ. მასვე შემოჰქონდა საქართველოში უცხოური ავეჯი და ფაიფურის ჭურჭელი. ბათუმში განთქმული იყო კ. მაჭარაძისა და პ. ჭეიშვილის ავეჯისა და ჭურჭლის სავაჭრო, რომელიც დონდუკოვ-კორსაკოვის 21-ში მდებარეობდა. საბითუმო სავაჭრო მარაგდებოდა ვარშავის, მოსკოვისა და ადგილობრივი წარმოების ავეჯით, აგრეთვე იყიდებოდა სარკეები, მარმარილოს ხელსაბანი, ინგლისური და ვარშავის ფაბრიკების სანოლები და რბილი ავეჯი; აქვე წარმოებდა შალითების გამოცვლა და ავეჯის შეკეთება.

### Мебельно-посудная торговля.

**Мачарадзе К. А. и Чейшвили П. А.** Дондуково-Корсаковская №21. Оптово-розничная торговля Варшавской, Московской и мьстной мебелью. Зеркала, мраморные умывальники, кровати английских и Варшавских фабрик и мягкая мебель. Обойные работы и починка мебели, а также: фарфоровых, хрустальных, стеклянных и фаянсовых издлий. Жельзных, чугунных, эмалированных и мьдных посудь, печей, кухней и самоваровь, лампы разные, клеенки и линолеумы.

(**Батумь и его окрестности. 1910: 88).**

ლ. ჭეიშვილის დედა – მარიამ გიგინეიშვილი, განათლებული და შვიდი შვილის აღმზრდელი ქალბატონი გახლდათ.

შეძლებულმა კომერსანტმა პორფილე ჭეიშვილმა თავისი ერთადერთი ვაჟი 1911 წელს ბათუმში არნოლდის ფრანგულ

გიმნაზიაში შეიყვანა. „არნოლდის კერძო პროგიმნაზია ბათუმში 1908 წელს დაარსდა“ (კობახიძე, 1996:10-11).

გიმნაზია ბათუმში თბილისის ქუჩაზე მდებარეობდა და სწავლება კლასიკური გიმნაზიის პროგრამით მიმდინარეობდა. არნოლდის პროგიმნაზიაში საგნებს ასწავლიდნენ ცნობილი პროფესორები.

### **Учебное заведение Арнольди**

Съ курсомъ классической гимназіи.

Тифлисская улица.

Профессора:

О. Цандековъ – Зак. Бож. И. С. Славочинскій – рус. яз., А. С. Смирновъ – ист., М. А. Арнольди – гео-гр., З. А. Арнольди – арием., С. В. Де-Мезерь-алг., А. В. Березовъ – ест. ист, М-те Яновская – фр. яз., Э. Бендиксень – нѣм. яз., Miss Нейтъ – англ. яз., М. Хандекъ – рисов, Г-жа Вохмина – гимнаст.

(Батумъ и его окрестности. 1910:42-43).

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ლეო ჭეიშვილმა გამოცდები ახლად დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა. ფერწერით გატაცებული ჭაბუკი პარალელურად ცნობილ მხატვართან ილიუშინთან ენაფებოდა სახვითი ხელოვნების საიდუმლოებას.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი ლეო ჭეიშვილმა საინტერესოდ გადმოსცა თავის „პატარა მოგონებაში“, რომელიც პარიზში ჟურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე დაიბეჭდა: — „მართალია ორი წელი დავყავი ჩვენს უნივერსიტეტში, მაგრამ მაშინ ხომ ბავშვი ვიყავი და პირველი ჩემი კონტაქტი ჩვენს პროფესორებთან არ იქნება დღევანდელი დღისათვის საინტერესო. მაგრამ მაინც მსურს მოვიგონო ჩემთვის დაუფინყარი, ჩვენი საამაყო მათემატიკოსის, ანდრია რაზმაძის არაჩვეულებრივი პედაგოგიური ნიჭით გადმოცემული მათემატიკის რთული ლექციები. ასევე, მუდამ დიდი პატივისცემით ვიხსენებ პროფესორ ბენაშვილს. მისი გეოდეზიის ლექციების დროს დარბაზი ყოველთვის გაჭედილი იყო ახალგაზრდა მსმენელებით.

... განსაკუთრებით უყვარდა ლექციების დროს ორ-მნიშვნელოვანი სიტყვებით გადაკვრით შეხებოდა კომუნისტურ ძალაუფლებას... მახსოვს, ერთხელ კარტოგრაფიაზე რომ კითხულობდა, შემდეგი აღნიშნა: - „ბატონებო! უწინდელ დროში უმნიშვნელო სოფლებს რუქაზე, თავიანთ მდებარეობას საყდარის მდებარეობით აღნიშნავდნენ, დღეს კი აღმასკომის შენობით.“

პროფესორ ბენაშვილის გაბედულ და მოხდენილ შენიშვნას ისეთ ალტაცებაში მოუყვანია სტუდენტები, რომ მათი ოვაციების გამო ლექცია ველარ გაუგრძელებია, ხოლო „მის სახეს დიდი კმაყოფილების იერი და სიჩუმე ამშვენებდა“... („კავკასიონი“, XIII, 1968: 21).

კვლევასა ლ. ჭეიშვილის არნოლდის ფრანგულ გიმნაზიასა და უნივერსიტეტში სწავლის შესახებაც ჩვენ მხოლოდ ავტორის პირად განცხადებას დავყვარდებით, ვინაიდან ბათუმის ცენტრალურ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივებში მასზე პირადი საქმეები არ ინახება.

1926 წელს ლეო ჭეიშვილი მამის რჩევით უნივერსიტეტის მეორე კურსიდან გამოვიდა და სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში გაემგზავრა. იგი თავის დას ეთერ ჭეიშვილს, 46 წლის შემდეგ, უცხოეთში მისი გამგზავრების შესახებ წერდა:

„ჩემო ეთერ, — ეს უკანასკნელი სურათი დამაქვს გულში ამომწვარი, რომელსაც შენ ეხლა აგინერ. იყო 14 იანვარი. ძველი სტილით ახალი წელი. ჩვენს სასაფილო ოთახში საახალწლო სუფრა იყო გაშლილი. ბუხარში ბჟოლის კუნძი გუზგუზებდა და იქაურობას სიცოცხლეს აძლევდა, რადგან ყველანი ვდუმდით. იდგა განშორების წამი. წამი საბედისწერო, წამი წყეული. შენ მაშინ ოთხი წლის იყავ და სალომესთან ერთად ტკბილად გეძინა. თუ თვითეული ჩვენგანი რას განვიცდიდით, ამის აღწერა და გადმოცემა არავის ძალუძს. ეს სურათი ყველა ჩვენგანს, თავისებურად ჩარჩა გულში. მხოლოდ დედის გული გრძნობდა ალბათ, რომ ის მის შვილს უკანასკნელად ხედავდა.“



... მამა გაცივებული იყო და სადგურზე ვერ გამომაცილა. მან სამჯერ წაღმა შემომაბრუნა და შუბლზე მაკოცა. ის კოცნა ისევე ისე იწვის იმავე ადგილას, როგორც მაშინ.

— „იარე სწორი გზით, ჩემო შვილო!“ – მითხრა მამამ.

— ვფიცავ მის სახელს, რომ მთელი ამ წლების გასწვრივ ვიარე სუფთად და შეუბილწავად ჩემი ცხოვრების გზაზე.

... ჭიშკართან მომაცილეს დედამ და ნინო ბებია. უკანასკნელად კიდევ ერთხელ ჩამიკრეს გულში. ზურგი შევაქციე საყვარელ ადამიანებსა და ჩემს კუთხეს სამარადისოთ! მათ ვინც უძვირფასესი იყო და ყოფილა ამქვეყნად! და ეს სურათი დღესაც იწვის ჩემს გულში და ტვინში. როდესაც, უკვე კარგად შებნელებული იყო, მოსახვევში დომნა მამიდას სახლთან მოვბრუნდი, დავინახე ორი ქალი გადახვეოდნენ ერთმანეთს და ალბათ მწარედ ქვითინებდნენ და ღვრიდნენ ცრემლებს მათი იმ წუთში უკვე მკვდარი შვილისათვის. ოხ, როგორ მომინდა უკან გაქცევა! როგორ მომინდა მიმერბინა, ჩავვარდნოდი მუხლებში, დამეკოცნა მათი ფეხები და მეთხოვა პატიება, მაგრამ, სწრაფად მოვბრუნდი და დავიკარგე. სამტრედიის სადგურზე ჩემი დები



leo WeiSvilis bebia \_ nino odilavaZe-gigineiSvilisa

ნათელა, ლიუდმილა, თამარი, ჟენიკო კოცნით გამომეთხოვენ. ვჯდები მატარებელში და მივდივარ. არავინ არის რომ მომაყვიროს: ლეო, ლეო, სად მიდიხარ, რას შერები, სიყვარულს ზურგი აქციე და ეშმაკს ხელი ჩასჭიდე?! ... (ჰოი, ახალგაზრდობის გამოუცდელობა, ჰოი, ბავშვობის სისულელე)“ ... (9. 2. 72. ბუნოს — აირესი).

„1921-30-იან წლებში ახალი რეჟიმის გამო სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და პარტიული კუთვნილების მრავალმა ქართველმა განსხვავებული გზებით დატოვა სამშობლო და საქართველოს ოკუპაციამდე წასულ და უცხოეთის ქვეყნებში გაფანტულ ემიგრაციას შეუერთდა... ჩაკეტილ საზღვარზე საიდუმლოდაც ხდებოდა გადასვლა... თუმცა, საზღვარგარეთ წასვლა ოფიციალური გზითაც შეიძლებოდა...“ (დაუშვილი, 2007 : 13).

ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან მასალას გვანჯდის ბ-ნი გელა სულაძე თავის წიგნში „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები“. მასში ვკითხულობთ: „საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ახალგაზრდების მივლინებას საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად.

ეს ტენდენცია შენარჩუნდა 30-იანი წლების დასაწყისისათვისაც. ახალგაზრდათა ნაწილი საკუთარი ხარჯებით სწავლობდა უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო ნაწილზე სახელმწიფო ზრუნავდა.

1930 წლის მონაცემებით, საქართველოდან საზღვარგარეთ საკუთარი ხარჯებით სწავლობდნენ: გაჯინსკი ანუშევაი, გომართელი არჩილ ივანეს ძე, დიასამიძე არჩილ ლეონის ძე, ჯაფარიძე დიმიტრი კონსტანტინეს ძე, დედერერი ერის სამუელის ძე, კარდენახიშვილი ივანე, ყიფშიძე გაიოზ ზაქროს ძე, ქიქოძე ეკატერინე ტიტეს ასული, ნაკაშიძე ლევან ერმილეს ძე, რუხაძე გიორგი, რამიშვილი ანანია, სობესტიანსკი ედმუნდ ედმუნდის ძე, ცხომელიძე ვლადიმერ თევდორეს ძე, ჭეიშვილი ლეონიდ პორფილეს ძე, იაკიმოვი ანატოლი ალექსანდრეს ძე“ (სულაძე, 2012:156).

ასე რომ, 21 წლის ლეო ჭეიშვილმა 1926 წლის 14 იანვარს დატოვა მშობლიური კუთხე. მისთვის სამშობლოში დაბრუნების



დედა — მარიამ გიგინეიშვილი და 5 წლის ლეო ჭეიშვილი



მამა — პორფილე ჭეიშვილი

გზა გაცილებით უფრო გრძელი გამოდგა, ვიდრე სამშობლოდან უცხოეთში მიმავალი.

პორფილე ჭეიშვილი შეძლებულ პიროვნებასთან ერთად დიდი მეცენატიც გახლდათ. იგი პეტერბურგში სასწავლებლად წასულ ქართველ სტუდენტებს წლების განმავლობაში მატერიალურად უზრუნველყოფდა. პ. ჭეიშვილი გერმანიაში მყოფ თავის შვილსაც ფულს რეგულარულად უგზავნიდა მანამ, სანამ საქართველოში ბოლშევიკური ტირანია იმძლავრებდა, რომლის შემდეგ საზღვარგარეთ მიმონერა და ფულადი გზავნილები შეწყდა. მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში ჩავარდნილი ლეო ჭეიშვილი თავს მხაზველობითი საქმიანობით ირჩენდა.

„...შრომით, ხშირად მძიმე შრომით, ხშირად მოშიებულნიც კი ვიყავი, მაგრამ ჩემი მამის უბინო სურვილი და ნმიდა სიტყვები მუდამ მაჩვენებელი იყო ჩემი გზის და მიაღვილებდა ყოველ გასაჭირს, მუდამ ვიყავი სამართლიანი და სწორი, მაგრამ შეუპოვარი სიმართლის დაცვაში, სადაც კი საჭირო იყო“... (31. 3. 75. ბუნოს — აირესი).

უცხოეთის ცის ქვეშ დრო შაქარყინულივით ხელში ჩაადნა. ევროპაში ცხოვრების ათი წელი ნიჭიერმა და ბეჯითმა ჭაბუკმა მიზანმიმართულად გამოიყენა. გერმანიაში ჯერ ბერლინ— შარლოტენბურგის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა. 1935 წელს დოქტორ-ინჟინრის ხარისხის მოსაპოვებლად სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. ამის შემდეგ, ლეო ჭეიშვილი კაიზერ ვილჰელმის სახელობის ქიმიის ინსტიტუტში მიიწვიეს, რომელსაც დღეს მაქს პლანკის სახელი ჰქვია.

ათი წელი იმუშავა მან ცემენტის, კერამიკისა და მატერიის სტრუქტურათა რენტგენის სხივებით გამოკვლევის დარგში, დანერა და გამოაქვეყნა 12 სამეცნიერო ნაშრომი. აქვე აიღო ლ. ჭეიშვილმა მაღალი ცეცხლგამძლე მასალების ტექნოლოგიის შემუშავებისათვის პატენტიც. მანვე გამოიგონა ვიბრაციული ვისკოზიმეტრი.

„ეთერ, საყვარელო! — წერდა დას — რაც დრო გადის, როგორც ძველი ჭრილობა, ისე იხსნება ჩემი გული და ტირის სამშობლოსა და თქვენთვის. რა ბედნიერი ვიყავი, როდესაც



ლეო ქვიციანი  
 ბოხორი  
 3500  
 ქვიციანი 1929  
 მ. ქვიციანი

ლეო ქვიციანი სტუდენტობისას.  
 გერმანია.



ლეო ქვიციანი  
 ბერლინში  
 1929

ლეო ქვიციანი სტუდენტობისას.  
 გერმანია.

ლურჯი ფერის პასპორტი მეჭირა ხელთ და სასწავლებლად წამოვედი გერმანიისაკენ. რა უბედური ვარ ახლა, როდესაც ყველაფერმა ჩაიარა და მის უაზრობას ვხედავ, სამშობლოს გარეშე არ არსებობს არაფერი...“ (1974, 13. 11. ლომას-დე-სამორა).

იმ მძიმე წლებში ჩვენს ქვეყანაში რეპრესიებმა გატეხა ქართველი ხალხი. „ბოლშევიკურმა მანქანამ სისხლის ზღვა დააყენა საქართველოში და ხალხის მასაც მინებდა ტირანიას. თავისუფლებას ხუნდები დაედო. რკინის ფარდა ჩამოეშვა.“ მართალია, იმ დროს საზღვარგარეთ გადახვეწა ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევის ტოლფასი იყო, მაგრამ მელანქოლიამ, დეპრესიამ და პესიმიზმმა დასძლია მგრძნობიარე ლ. ჭეიშვილის გული და მისი სულის საუფლოში სიცარიელემ დაისადგურა.

„ღმერთ და სამშობლო დაკარგული, სულით ობოლი ადამიანი მუდმივი ტანჯვისა და წამებისთვისაა განწირული, იგი ხსნას არ ელოდება.“ — ასეთი იყო ის მკაცრი რეალობა, რომელმაც ლეო ჭეიშვილი ოჯახსა და სამშობლოს სამუდამოდ მოსწყვიტა და ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა დიდ ნაკადს შეუერთა. ასე რომ, ბოლშევიკურ სამშობლოში დაბრუნებას, მან ისევე ემიგრანტობა არჩია. იგი დაუახლოვდა აკაკი პაპავას ოჯახს, სადაც დიდი სითბო და სიყვარული იპოვა. მალე, 1938 წელს, პარიზში ტურფა პაპავაზე ჯვარი დაინერა და ამ ოჯახის წევრიც გახდა.

ტურფა გახლდათ ცნობილი ემიგრანტი მწერლების — აკაკი პაპავასა და ესეისტ თამარ გოგოლაშვილი-პაპავას უფროსი ქალიშვილი. მან ლეო ჭეიშვილზე სამი წლით ადრე დატოვა საქართველო.

აი, რას წერდა თამარ პაპავა ამ მოვლენასთან დაკავშირებით თავის ესეში — „ორი კვირა ვირთხებთან“.

„12 მაისს 1923 წელს მატარებელი თბილისის სადგურზე უკვე ჩამომდგარი იყო, როცა მე, ჩემი ორი გოგონათი (ტურფა და მზია), დედაჩემსა და ორივე ჩემ დასთან ერთად, და სხვა გამცილებელი ახლობლებითურთ ბარგი-ბარხანით ბაქანზე ვიდექით. ვიდექი და ათასი ფიქრი ირეოდა ჩემს თავში: დავბრუნდებოდი კვლავ? ვნახავდი მათ და ჩვენს საყვარელ მიწა-წყალს ხელახლა?“

... გზა მართლაც გრძელი გვედო და ხიფათიანი. წინ აღმართული იყო მრისხანე მოსკოვი და იქიდან იხსნებოდა კარი ბერლინისა, სადაც მიგველოდა აკაკი და სადაც ახალი ცხოვრება უნდა დაწყებულიყო. რას გვიმზადებდა იგი?

როგორ მიგვიღებდა და რას მისცემდა ბავშვებს? არავინ იცოდა, მაგრამ მაინც თამამად მივდიოდით, რომ თავისუფალი ჰავა გვეყნოსა, რომ სამშობლოს ტკივილი უშიშრად ამოგვეტირა, ყველაფერი გვეთქვა, თუ რა უყვეს მას, — აი ეს გვაძლევდა ძალას და უცხო გარემოსთან და ხალხთან გვარიგებდა...“ (პაპავა, „კავკასიონი“ XIII, 1968 : 3).

უცნაურია ადამიანის ბედი. ტურფას მამა — მწერალი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე აკაკი პაპავა წარმოშობით სამტრედიელი გახლდათ. დაწყებითი განათლება მას კულაშის სასწავლებელში ჰქონდა მიღებული. იქაური იყო ლეო ჭეიშვილიც. ისინი ბედისწერამ ერთმანეთს პირველად გერმანიაში შეახვედრა. თამარ და აკაკი პაპავებმა მშობლიური მზრუნველობა გაუნიეს სასურველ სიძეს. მათდამი მადლიერებას ლეო ჭეიშვილი დისადმი გაგზავნილ წერილშიც აღნიშნავდა...

„ ... დაო საყვარელო! ჩემს სიდედრს, რომელმაც ნამდვილი დედობა გამინია, შეუსრულდა ოთხმოცდახუთი წელი. კარგი იქნება თუ შესძლებ და ორიოდე სიტყვით მოსწერ. ძალიან უყვარხართ, სულ თქვენზე ლაპარაკობს, ხომ იცი ყოფილი მსახიობი ქალია, ბევრი ნაწერებისა და წიგნების ავტორი, მწერალი ქალი და მისი ქვეყნის მონა“ (12.5.74. ბუენოს – აირესი).

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ლეო ჭეიშვილის წერილების შესწავლაში დიდი დახმარება გაგვინია მისმა დისშვილმა ნანა ყიფიანმა, რომელმაც სიცოცხლეში ორჯერ მოინახულა არგენტინაში მცხოვრები ემიგრანტი ბიძა. მან თითქმის ასამდე წერილი და ლექსი გადმოგვცა და ამ სკივრს, რომელშიც ეს ხელუხლებელი მასალები იყო მოთავსებული, ესეისტ თამარ პაპავას მინიატურის „ძველი წერილების“ ასოციაციით, ჩვენც „ძველი სკივრის“ ნაცვლად „სევდის სკივრი“ შევარქვით. ამიტომაც, ლ. ჭეიშვილის წერილების მიმანიშნებლად ხშირად გამოვიყენებთ სიმბოლურ გამოთქმას „სევდის სკივრს“.

„სევდის სკივრში“ ჩადებულ გაუხუნებელ წერილებს რემარკად გასდევს ის აზრი, რომ დედამინას შეიძლება ირგვლივ შემოუარო, მაგრამ წარსულს ვერ შემოუვლი მოსაბრუნებლად, რაც ასე აშკარად ჩანს ჩვენს ხელთ არსებულ ლეო ჭეიშვილის ნაფიქრ-ნააზრევაში.

წერილების მიხედვით ნათელი ხდება, რომ „ტურფა პაპავასა და ლეო ჭეიშვილს ხუთი შვილი შეეძინათ: უფროსი ქალიშვილი ნინო — 1939 (14.02) წელს დაიბადა, მისი მომდევნო ტურფამარიამი — (პუსი) — 1942 (14.10) წელს, ხოლო მზია — თამარა — (ზიკუნა-2) — 1944 (5. 3)წელს.

ასე რომ, მათი სამივე ქალიშვილი გერმანიაში დაიბადა, სადაც აკაკი და თამარ პაპავეებთან ერთად დიდ ოჯახად ცხოვრობდნენ.

გერმანიაში ქართული ემიგრაციის პოლიტიკური საქმიანობა 1921 წლიდან ხორციელდებოდა გერმანიაში საქართველოს ყოფილი ელჩის ვლადიმერ (ლადო) ახმეტელის მეშვეობით.

ამასთან დაკავშირებით საინტერესო მასალას გვანდის ქართული ემიგრაციის მემატიანე ესეისტი თამარ პაპავა: „ბერლინში საქართველოს საელჩო მდებარეობდა „ბრუკენ-ალეე“-ზე, რომელიც „იყო მაშინ ჩვენი ცენტრი ქართული საზოგადოებრივი მოძრაობისა და ჩვენ მოღვაწეთა და ახალგაზრდობის იმე-



ტურფა პაპავასა და ლეო ჭეიშვილის ქორწილი.  
მარცხნიდან — მარჯვნივ თამარ და აკაკი პაპავეები.



დი; აქ იყრიდა თავს ამბები საქართველოდან და უცხოეთიდან; მოდიოდნენ ხშირად უცხოელებიც საქართველოს ვინაობის გასაცნობად, იკითხებოდა მოხსენებები, იმართებოდა ქართული სალამოები და სხდომები მრავალ სექცია-კომისიისა და ყველა ამის მამამთავარი და „მოურავი“ ჩვენი ელჩი იყო.

ქართული საელჩოს ირგვლივ ინასკვებოდა ჩვენი კულტურული საქმიანობა, რომლის თავზე კიდევ ფრიალებდა თავისუფალი საქართველოს დროშა. მრავალი ცნობილი მოღვაწენი იყრიდნენ იქ თავს. ამიტომ ყველას ლოდად დაანვა ის ცნობა, რომ მინისტრმა რატენაუმ ელჩი ახმეტელი მიიწვია და გამოუცხადა: „რუსეთთან ხელშეკრულების დადების გამო საქართველოს საელჩო უნდა გაუქმდესო!“ (ზარაძე, 2005:296).

1924 წლის დასაწყისში მართალია საქართველოს საელჩო გერმანიაში გაუქმდა, მაგრამ მას ისევ ლადო ახმეტელი უწევდა ხელმძღვანელობას.

გერმანიაში, საელჩოს გარდა, პაპავებთან იყრიდა თავს ევროპაში მიმოფანტული მთელი ქართული პოლიტიკური ემიგრაცია. ხშირი სტუმრობის მიზეზი გახლდათ მათ მიერ 1937 წელს ბერლინში შექმნილი სიონის ეკლესიიდან გატაცებული საკურთხევლის გადასაფარებელი. ქართველები მის სანახავად პაპავებთან, როგორც ეკლესიაში ისე დადიოდნენ.

ევროპაში მეორე მსოფლიო ომის ქარტეხილმა გადაიქუხა. დაიბომბა მთელი ევროპა და გერმანია.

გერმანიის ქართული ემიგრაცია წარმოდგენილი იყო ქართულ კოლონიად, რომლის წესდებაც ითვალისწინებდა მხოლოდ კულტურულ საქმიანობას და ურთიერთდახმარებას ყოველგვარი პოლიტიკური დატვირთვის გარეშე. გერმანიის ქართულ ემიგრაციაში გაერთიანებული იყო თითქმის ყველა პოლიტიკური დაჯგუფება: სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები. „ბერლინში არსებობდა ფაშისტური ორგანიზაცია „თეთრი გიორგიც“, რომელსაც ხელმძღვანელობდა მიხეილ წერეთლის შვილი ოთარ წერეთელი. მასში შედიოდნენ: არჩილ გომართელი, ლეო ჭეიშვილი, დიტო ჯაფარიძე, ალექსანდრე ალანია და სხვები.

ქართული ემიგრანტული ჯგუფები გერმანიაში პრაქტიკულად უმოქმედოდ იყვნენ, ვინაიდან მათ არ ჰქონდათ პარტიული და პოლიტიკური ხასიათის სამუშაო“ (სულაძე, 2012:259).

უნდა ითქვას, რომ „ზოგიერთი ქართველი ემიგრანტი ეროვნულმა სულისკვეთებამ „ფაშისტად“ აქცია ანუ ისინი შეეცადნენ უცხოური ძალის გამოყენებით აღედგინათ საქართველოს დამოუკიდებლობა, გაეთავისუფლებინათ სამშობლო ბოლშევიკური ტერორისაგან“ („ლიტერატურული ძიებანი“, XXVIII, 2007:233).

იგივე აზრს ანვითარებს პროფესორი რუსუდან დაუშვილი, როცა შენიშნავს: „ქართველ ფაშისტთა დებულებებს უტოპიზმისა და ერთგვარი პოლიტიკური გულუბრყვილობის ბეჭედი აზის, რაც შემდგომ ისტორიამ და ცხოვრებამაც დაადასტურა“ (დაუშვილი, 2007:122).

საერთოდ, ქართველ ფაშისტთა დარაზმულობა ორგანიზაციულად არც გერმანულ ნაციონალ-სოციალისტურ და არც იტალიელ ფაშისტთა პარტიაში არ შესულა. ისინი ძირითადად, საკონცენტრაციო ბანაკებში მოხვედრილ ქართველ ტყვეთა გათავისუფლებით იყვნენ დაკავებულნი.

და, როგორც ლეო ჭეიშვილი ამბობდა: საკონცენტრაციო ბანაკში მყოფ ქართველებს შორიდანაც „პახოტკით“ ვცნობდიო.

მეორე მსოფლიო ომის დროს პაპავა-ჭეიშვილებისათვის ახალი ლტოლვილობის ხანა დაიწყო. ცეცხლი, შიმშილი, უსახლკარობა, გერმანიის გადაბუგულ ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფლად ხეტიალი. ოჯახს თუ რამ ებადათ ომმა ყველაფერი შემოაძარცვა. იმ დროს, როცა საბჭოთა ჯარები მიადგნენ ბერლინს, პაპავა-ჭეიშვილების ოჯახები ისევ გერმანიაში იყვნენ.

1945 წლის თებერვლის თვიდან ლეო ჭეიშვილი მთელი ოჯახით თამარ და აკაკი პაპავებთან ერთად, სოფელ ფლადუნგენის სკოლის შენობაში იყვნენ თავშეფარებულნი. მამაკაცები ადგილობრივ გლეხებთან ერთად ლუკმა-პურისათვის ხან მინდორში, ხან ბოსტანში და ხანაც ტყეში ფიზიკურად მუშაობდნენ. თხრიდნენ „ბუნკერს“ სკოლის სარდაფის ქვეშ თავშესაფარისათვის. ამ სოფელში მოუსწრო მათ ომის დამთავრებამ. ამასთან დაკავშირებით თამარ პაპავა წერდა: „ყველას ყველაფერი დაავიწყდა

და მხოლოდ სატანა ბატონობს ქვეყნად. იწვის ქვეყნები, ნადგურდება ხალხი, დოვლათი, ნანგრევებათ იქცა ქალაქები. თითქმის ყოველდღე ათასობით სამხედრო თვითმფრინავები გადაუფლიან ამ ჩვენს მიდამოებს... ისმის ყუმბარების ხმა. სიკვდილი, ცეცხლი, კვნესა და ვაება მოაქვთ ამ ფრინავებს... დაგვიფარე, ღმერთო, ამ უდიდესი უბედურებისაგან, დაიფარე ჩვენი პატარა, სპეტაკი გოგოები... დაიფარე მიმოზნეული, ცეცხლში გახვეული ქართველობა“ (ჟურ. „ქართული ემიგრაცია“ 2013:202).

ლეო ქეიშვილის აზროვნება გერმანულ გარემოცვაში ჩამოყალიბდა. იგი ჯერ 21 წლისაც არ იყო, როდესაც ამქვეყანაში ჩამოვიდა. მისთვის და ქართველი პოლიტიკური ემიგრანტებისთვის მეორე მსოფლიო ომი ფსიქოლოგიურად ძნელი გადასატანი იყო. „ერთ მხარეზე იდგა საბჭოეთი, რომლის ნაწილი საქართველოც იყო, ხოლო მეორე მხარეს — გოეთესა და კანტის, ნიცშესა და ვაგნერის ქვეყანა, „ვეროპის ინტელექტუალური დირიჟორი“.

1947 წელს ლეო ქეიშვილი გერმანიიდან ცოლ-შვილთან ერთად საცხოვრებლად საფრანგეთში გადასახლდა, სადაც მუშაობდა პარიზის პორცელანის ქარხნის ტექნიკურ დირექტორად. ომით დანგრეულ ვეროპაში ჭირდა ცხოვრება. მძიმე ეკონომიურმა და დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, ცხოვრების უკუღმართობამ ლ. ქეიშვილი მალე სულ სხვა მხარეს, ოკეანის გაღმა გადასტყორცნა.

იგი თავისი ცოლისდის მზია პაპავას მეუღლესთან, ალექსანდრე (საშა) ქეიშვილთან ერთად ამერიკაში გაემგზავრა. მზიამ და საშამ ჯვარი 1941 წლის 12 აგვისტოს ავსტრიაში, სოფელ ფელდენის ეკლესიაში დაინერეს.

ბედნიერ მშობლებს ექვთიმე თაყაიშვილი საფრანგეთიდან ულოცავდა: „ძვირფასო თამარ და აკაკი! ესეც არის თქვენი სასიძო შემოვიდა ჩემთან, რომელიც თქვენსკენ მოემგზავრება და ამიტომ პირველად წრფელის ქართული გულით მოგილოცავთ თქვენი მეორე ქალის გათხოვებას. ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ ემიგრაციაში ჩვენ გვყავს მრავალი ყველაფრამდის ღირსეული ახალგაზრდა ქალები, მაგრამ ქართველებზე ვერ

თხოვდებიან შესაფერისი საქმროების სიმცირის გამო და სხვა მიზეზებით და ამიტომ ემიგრაცია თანდათან გადაგვარებას განიცდის“ (რვეული პირველი „ექვთიმე თაყაიშვილი“, 1999:43-44).

ფაშისტურ გერმანიაში ტყვედქმნილ და სამშობლოში დაბრუნებულ მებრძოლებს სტალინურ-ბოლშევიკურმა რეჟიმმა ახალი განსაცდელი მოუმზადა. ეს იყო გასამართლება საბჭოური კანონით, ტყვედქმნილთა დახვრეტა ან მრავალწლიანი გადასახლება. ამიტომ იმ დროს ბევრი ტყვედ ჩავარდნილი ქართველი სამშობლოში დაბრუნებას გაურბოდა. დანგრეულ-განადგურებულ ევროპაში ყოფნაც საშიში იყო. რის გამოც, 1948 წლიდან ლტოლვილთა დიდი ნაკადი მიანყდა ამერიკას. პაპავა—ჭეიშვილების დიდმა ოჯახმაც გეზი ამერიკისაკენ აიღო.

საერთოდ, უნდა ითქვას რომ მთელი ქართული პოლიტიკური ემიგრაცია დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, იმედს რუსეთში პოლიტიკური სიტუაციის რამდენადმე მაინც შეცვლაზე ამყარებდა. მაგრამ, „სტალინის ეპოქის პიროვნების დათრგუნვით გამოიპყავდა ადამიანის ახალი ჯიში – მას საბჭოთა ადამიანი ერქვა“.

„...ამერიკის შეერთებულ შტატებში ლეგალურად წასვლა რთულ და ხანგრძლივ პროცედურას ითვალისწინებდა. არგენტინა კი იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ყოველგვარი ფორმალურობის გარეშე ლებულობდა ახალ ემიგრანტებს ევროპიდან. 1948 წელს ჩამოვიდნენ არგენტინაში ლეო და საშა ჭეიშვილები თავიანთი ოჯახებით“ (დაუშვილი, 2007 : 43).

მზია პაპავას მეუღლე — საშა ჭეიშვილი — გურული ჭეიშვილი გახლდათ, წარმოშობით სოფელ ასკანიდან. არგენტინაში მათ მალე თამარ და აკაკი პაპავებიც შეუერთდნენ. ქართველი პოლიტიკური ემიგრანტებისათვის სამხრეთ ამერიკის ეს სახელმწიფო იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ 1919 წლის 13 სექტემბერს პირველმა არგენტინამ დაუჭირა მხარი საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიულ აღიარებას.

არგენტინაში ორთავე ჭეიშვილმა სამსახური ადვილად იშოვა. თუმცა, თავიდან ამერიკაში აპირებდნენ წასვლას და საამისო საბუთებიც მიიღეს.

მათი ჩასვლის დროს არგენტინაში ორი თუ სამი ქართველი ცხოვრობდა. 50-იანი წლების შუა ხანებში არგენტინის ქართველთა კოლონია უკვე 40-მდე ოჯახს ითვლიდა. იმ პერიოდში სამხრეთ ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანაში ცხოვრობდნენ ევროპიდან წასული ქართველი ემიგრანტები, მაგრამ ლიტერატურულ-კულტურული საქმიანობა მხოლოდ არგენტინასა და ჩილეში გაიფურჩქნა, რაც თამარ და აკაკი პაპაევების, ვიკტორ ნოზაძისა და ავთანდილ მერაბაშვილის დამსახურება იყო.

ლეო ჭეიშვილი 1948 წლიდან 1960 წლამდე, როგორც სილიკატური ქიმიის დარგის აღიარებული სპეციალისტი, არგენტინაში მინერალოგიის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა, სადაც გამოყენებული მასალების, ჭიქურებისა და ფერების (ჭიქურის როგორც ზედა, ისე ქვედა ფერების) კომპოზიცია მის მიერ იქნა დამუშავებული. ასევე მან შექმნა საგნების მოდელები და დეკორაციების ნიმუშებიც.

1960 წლიდან ლ. ჭეიშვილმა მეცნიერული მოღვაწეობა ისევ გააგრძელა. იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში პენსილვანიის უნივერსიტეტში მიიწვიეს, როგორც მთავარი მეცნიერ-მკვლევარი კერამიკისა და მინის დამუშავების დარგში.

ამასთან დაკავშირებით, ესეისტი თამარ პაპავა მეგობარს სარა მერაბაშვილს თბილისში წერდა: „ჩემი ტურფას ქმარი, ლეო ჭეიშვილი, მისი გამოქვეყნებული შრომების საფუძველზე, მიიწვიეს აქაურ უნივერსიტეტში ქიმიისა და კერამიკის კათედრაზე პროფესორად. ეს მეტად საამაყო ჩვენთვის, ქართველებისათვის“ ... (პაპავა, ფონდი 28 103 /15).

ათეული წლების განმავლობაში მონაწილეობდა ლეო ჭეიშვილი უცხოეთში საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. იგი 37 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი იყო, რომელთა ერთი ნაწილი დღეს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული:

1. El fluoruro de magnesio como cuerpo transparente a la radiacion infrarroja - Madrid 1968  
„მაგნიუმის ფლორიდი, როგორც გამჭვირვალე სხეული იმფრანითელ რადიაციაში“ — მადრიდი 1968.
2. Sobre la transformacion de anhidrita II en bihidrato. Parte I - Madrid 1968

„ანჰიდრიტის მეორე ტრანსფორმაცია ბიჰიდრატში“. I ნაწილი — მადრიდი 1968.

3. El ion  $Cr^{3+}$  en una red cristalina de tipo perovskita. part II - Madrid 1969

„პეროქსიდის ტიპის იონი  $Cr^{3+}$  კრისტალურ ქსელში“. ნაწილი II — მადრიდი 1969.

4. Sinterizacion del oxido de magnesio por medio del fluoruro de Litio. Parte I - Madrid 1969

„მაგნიუმის ოქსიდის სინთეზი ლითიუმის ფტორიდის მეშვეობით“ ნაწილი I — მადრიდი 1969.

5. Sinterizacion del oxido de magnesio por medio del fluoruro de Litio. Parte II - Madrid 1969

„მაგნიუმის ოქსიდის სინთეზი ფლიურიტის მეშვეობით“ ნაწილი II — მადრიდი 1969.

ლეო ჭეიშვილს არგენტინაში კიდევ ორი შვილი შეეძინა: 1950 წელს — მაცვალა და 1953 წელს — დავითი.

„...ყველა ჩემს მდგომარეობაში ბედნიერად ჩათვლიდა თავს, — ნერდა დას ეთერ ჭეიშვილ-ყიფიანისას, — ქართველი მეუღლე, ხუთი ჯანმრთელი შვილი, ორი უსაყვარლესი შვილიშვილი. ყოველთვის მაღალი „პოსტები“ ქარხნებში, უნივერსიტეტში თუ სამეცნიერო ინსტიტუტებში, მაგრამ მერწმუნე ჩემო გულის ნაწილო დაო, რომ არა ვარ ბედნიერი, ვარ წამებული და ეს მითუმეტეს, აუტანელია, რადგან ვერავისთვის მითქვამს, რათა არ მინდა ვინმე დავტვირთო ჩემის გრძნობებით და მასაც გაუმწარო ეს ხანმოკლე ყოფნა — ამქვეყნიური. ამიტომ ვარ მარტო. დავრჩი მარტო და მაქვს უფრო მძიმე ჯვარი, ვიდრე ქრისტე ნაზარეველს. ამიტომ არის, რომ ჩემი ბარათები თქვენდამი სავსეა მწუხრით და სევდით. მტკივა გული, ასე მძიმე შინაარსის ბარათებს, რომ გწერთ, მაგრამ ამით ცოტათი თავისუფლდება სული..“ (12.7.71. ლომას-დე-სამორა).

ოჯახსა და სამსახურში პირადმა წარმატებებმა ვერა და ვერ იხსნა ლეო ჭეიშვილი იმ მძიმე სენისაგან, რომელიც უცხოეთში შეეყარა. — რა იყო ეს განუკურნებელი სენი?! — ბუნებრივად ისმის კითხვა.



ლეო ჭეიშვილი — არგენტინაში.

ეს იყო სამშობლოს სევდა, სევდა გამონვეული სამშობლოში დაბრუნების შეუძლებლობის გამო, რომელსაც ბერძნებმა უბრალოდ ნოსტალგია (nostos\_შინ დაბრუნება და algos – ტანჯვა, ტკივილი) უწოდეს.

„...დაო ეთერ! შენ იცოდე, შენ იცოდე მარტო თუ როგორ ვარ ჯვარცმული – ვცოცხლობ და არ ვკვდები... გული ტირის საყვარელო ჩემი მინისათვის. ყველა ჩემი წარმატება კულაშის ქუჩის მტვერში და იქაური ძმა-ბიჭების, მეგობრების ჟრიამულში ნიავდება.. რა ვქნა ჩემი ბედი ასეთი ყოფილა — ცრემლი, მწუხრი, ტანჯვა და წამება. ჩემი ერთი ლექსი ასე მთავრდება:

„...ბევრი ვიარე მწუხრით დაღლილმა  
მტირალ ტირიფთან ჩამოვჯექ ქვაზე,  
თვალდახუჭულმა ნიავს შევჩივლე:  
ვარ წამებული გაკრული ჯვარზე“...

როდესაც ჩამოხვალ გაგატან ჩემს ლექსებს. კარგია თუ ცუდია, ერთი რამ ახასიათებს: გადაკარგულის დაუსრულებელი გულის ტკივილი თავისი მინის მიმართ და გაუთავებელი ცრემლების ღვრა, თავიანთი სისხლისა და ხორცის დაშორებით

გამონვეული. ვინ იცის იქნებ, ერთხელ დაიბეჭდოს, რათა ყველამ იცოდეს, რომ მიწის ღალატი, მას სიკვდილამდე ჯვარცმულად გახდის. ვერავითარი რამ ვერ შეცვლის დაკარგულ მიწას. იცოცხლებს დამჟღნარი, სანამ საბოლოოდ არ გახმება და წაიქცევა ფესვებდაჭრილი, რომელიც საყვარელ მიწაში დატოვა“ ... (26.2.73. ლომას-დე-სამორა).

„...მირბიან ათეული წლები და მიდის ცხოვრება. 1910 და 1920-ში მანდ ვიყავი, 1930-40-ში გერმანიაში, 1950-ში აქ (არგენტინა), 1960 – ჩრდილო ამერიკაში, 1970 და 1980 ისევ აქ. სად ვიქნები 1990-ში? მაშინ მე ვიქნები ოთხმოცდახუთი წლის და შესაძლოა ჩვენს სახლში სამტრედიაში მიხილოთ..

რა მოგახსენოთ, ვერ შევასრულე ჩემი მშობლების მიერ არჩეული სახელის „ლეონიდე დიდის“ აჩრდილის ნატამალიც კი. ალბათ ჯერ არ დავმდგარვარ „თერმოფილეს“ წინ, რომ გავითქვა სახელი. საერთოდ, მე სულ უკან-უკან ვიყურები, დავტირი განვლილ და განცდილ გზას და ამით „თერმოფილეს“ აბა, როგორ წავანყდები?! ...

კარგია ოცნება, ოცნება იყო და არის ჩემი მეორე ცხოვრება. ცხოვრება ნამდვილი, სიამითა და სურვილით სავსე. ვარ და ვიყავი მეოცნებე, ამიტომ მთელი ჩემი ცხოვრება სავსე იყო ტკბილი ტკივილითა და საამო ჟრუანტელით. ყოველი უჯრედი ჩემი სხეულის განიცდის მწუხრს და ტკივილს. კარგია თუ ცუდი, მე ასეთი ვარ და მინდა ასეთი დავრჩე. მე ვარ გრძნობა დაუშრეტელი, მძაგს ბინძური სინამდვილე, მიყვარს სილამაზე და მშვენიერება“, — გულწრფელად აღნიშნავდა დისადმი გაგზავნილ ბარათებში (6.1.75 ლომას-დე-სამორა).

სამშობლოდან დაშორების წლები სულ უფრო და უფრო აწყვეტდა ნერვებს ლეო ჭეიშვილს, სულს უფლეთდა და აფორიაქებდა. შინაგანი ტკივილების გარეთ გამოტანა, მისი ხატვა, მწვავე განცდების სახეებად გაშლა, შვება და განკურნება, დამძიმებული სულის შემსუბუქება მან პოეტურსა და ფრთიან სტრიქონებს მიანდო. ლექსში „ცხოვრების ფურცლები“, იგი წერდა:

„გადავშლი ჩემი ცხოვრების ფურცლებს,  
ან გაცვეთილებს და გაყვითლებულს.



სევდამორევით დავხუჭავ თვალებს  
და მოვიგონებ იმ წლებს დაკარგულს.  
ვით დილის ნისლი პირველ სხივებზე,  
ისე გამიქრნენ ჩემი დღეები —  
გულგატეხილი, ცხოვრების გზაზე  
ჩაფიქრებული მივეშურები“.

ეს ლექსი 1976 წელს დაიბეჭდა პარიზში გამომავალ ჟურნალ „კავკასიონის“ XVIII ნომერში, მასში ერთი უმთავრესი აზრი დევს, ესაა ემიგრანტებისათვის დამახასიათებელი ბედნიერი მოგონებები გარდასულ დღეთა შესახებ და შეუფუებელი რეალობა.

„ავტორი მხოლოდ ხატებს ხედავს და აქ არ ხდება დესაკრალიზაცია, პირიქით, ყველაფერს იდეალური შუქი ადგება.

ყოველი ბიჯით, წინ გადადგმულით,  
ვცილდები ადგილს ჩემის ყრმობისას,  
შორს, უკან მრჩება დღეები ტკბილი,  
სიყმაწვილის და პირველ ტრფობისა.  
ხან შევჩერდები გზაზე დალილი,  
შუბლზე მივიდებ ცახცახით ხელებს,  
და გადავხედავ სევდით მოცული,  
ჩემი ბავშვობის მთასა და ველებს.

პოეტს სურს, ბავშვობა „ჩაატოს“ ამ დროში, ბავშვობა — მთელი თავისი ახლა უკვე არა „წვრილმანი“ შტრიხებით:

იქ, სადაც დარჩა ჩემი აკვანი,  
სადაც ვისმინე ნანინა დედის.,  
მამის სიტყვა და დარიგებანი —  
„ფარი და ხმალი“ მომავალ ბედის  
მიყვარს და ვეტრფი ამისთვის წარსულს,  
წარსულში ვეძებ გამქრალ სამოთხეს —  
უმანკო გულის წმინდა სიყვარულს,  
სიცოცხლის ნამდვილ სიმშვენიერეს.

ეს ლექსი მხოლოდ განცდილის რეპროდუქციას არ წარმოადგენს. აქ წარსული სიზმართან იგივედება (აქაა ის პესიმოზმი თუ რეალობა, რომელსაც ცხადში აცნობიერებს):

„აი! ამ სიზმარს ამაოდ ველი—  
ჟამი მიკითხავს ბედის განაჩენს!  
დრომ უღმობელმა, მწარე დაცინვით,  
მძლავრად მომხვია თვისი მკლავები  
და ვერც კი ვამჩნევ, თუ რა სისწრაფით  
აღსასრულისკენ მივექანები“...

„სიზმრებში ცხოვრობენ... ლექსებით ცხოვრობენ... თუმცა, თავის ყოფნას მხოლოდ არსებობას ეძახიან... და ვინ იცის, ამ მზისქვეშეთში ასეთი ტკივილებით სიცოცხლეს ეგებ მართლა გაძლება ჰქვია?! “ — შენიშნავს ქართულ ემიგრანტულ პოეზიაზე მსჯელობისას პროფესორი რუსუდან ნიშნიანიძე.

ემიგრანტები არა მარტო ცხადში, სიზმარშიც მწვავედ განიცდიდნენ სამშობლოსთან დაშორებას, რაც ჩვენს თანამემამულეთა სულიერ ტრაგიზმსა და ეროვნულ-პატრიოტულ თვალთახედვას წარმოადგენდა.

საერთოდ, უნდა ითქვას, როგორც ავთანდილ ნიკოლეიშვილი აღნიშნავს: „ემიგრაციაში მცხოვრები არაერთი ჩვენი თანამემამულისათვის მათი ცხოვრების სისხლხორცეულ ნაწილად ქცეული ეროვნულ-პატრიოტული ტკივილის გამოხატვის უმთავრეს ფორმად პოეზია იქცა. ბევრმა მათგანმა უპირველეს ყოვლისა სწორედ ლირიკულ ლექსებში გამოავლინა ის დიდი სიყვარული, რითაც სამშობლოსაგან ბედისწერით მოწყვეტილი ჩვენი თანამემამულეები იყვნენ მშობელ ქვეყანასთან დაკავშირებული მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ამ ტრადიციას ჩვენში მეფე-პოეტმა არჩილმა და 1724 წელს რუსეთში ემიგრირებულმა ვახტანგ მეექვსის ამაღის წევრებმა დაუდეს სათავე და ამ დროიდან მოყოლებული, ეს გრძნობა ყველა თაობის ქართველ ემიგრანტთა ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

ემიგრაციაში მყოფი ჩვენი თანამემამულეების ერთი ნაწილი თავისი ნოსტალგიური გრძნობების დაცხრომას ხშირად სწორედ ლექსების მეშვეობით ცდილობდა. ასე იქცეოდნენ არა მარტო ისინი, რომლებიც მწერლური ნიჭით იყვნენ მადლმოსილნი, არამედ ისეთებიც, რომელთაც საქართველოში ცხოვრების შემთხვევაში ლექსის დაწერა ალბათ აზრადაც კი არ მოუვიდოდათ“... (ნიკოლეიშვილი, 2005: 485).

ამ საკითხში პროფესორ ა. ნიკოლეიშვილის კონცეფცია ემიგრანტ ლეო ჭეიშვილის შეხედულებათა ძირითადი აზრის თანხვედრია, რაც კარგად სჩანს დისადმი გაგზავნილ ერთ-ერთი წერილის მიხედვითაც:

„ჩემო ეთერიკო! მე როგორც გწერდი, ყოველ წერილში თითო ლექსს გამოგიგზავნი. შენ მანდ მოაგროვე და შეინახე. მხოლოდ მიპასუხე, თუ რა ლექსს მიიღებ. ბევრი არ არის, მაგრამ იქნება დაახლოებით 70-მდე. აგერ უკვე ერთ წელზე მეტი იქნება, რაც არაფერი დამინერია — ჩავიქნე ხელი და ვთქვი: ან რა აზრი აქვს, ან რა ფასი. ეს მხოლოდ უნიჭო განტვირთვა არის დაგროვილ ბოღმათა განუზომელი ტვირთის.

„თუ სხვა ხითხითებს, რომ ხელთ აქვს ძალა და ფული — ვარ ბედნიერი, რომ ცრემლებით მაქვს სავესე სული“.

(11.2.76. ლომას-დე-სამორა).

— აცხადებდა ლეო ჭეიშვილი, რომელსაც თავის პროფესიად არასოდეს აღუქვია შემოქმედებითი მოღვაწეობა. იქნებ, ამის გამოც იდგა დიდხანს ჩრდილქვეშ.

„ლიტერატურაში დეტალი ყველაფერია“, — აღნიშნავდა გრიგოლ რობაქიძე.

და რადგან არსებობენ ეს ლექსები, რომლებშიც გაჟღერებულია ლეო ჭეიშვილის მოგონებები, ლანდები, მალული გრძნობები, ამიტომ დღეისათვის ფრიად მნიშვნელოვანია მათი ჩართვა ლიტერატურული აზროვნების არეალში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი ყურადღების ცენტრში მოექცა ლ. ჭეიშვილის არა ერთი ლექსი, რომლებშიც ძირითადად გადმოცემულია დამხობილი სამშობლოს სევდითა და ნოსტალგიით მოკლული ემიგრანტის გულის ტკივილი.

კულტურული და პიროვნული პლასტების მხრივ, ლ. ჭეიშვილის შეხედულებათა სისტემას ოსტატურად ხსნის და ესადაგება პროფესორ ა. ნიკოლეიშვილის ერთი ასეთი თვალსაზრისიც: „უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მწერლური გატაცების შედეგად უამრავი მხატვრული ნაწარმოები (უმეტესად ლექსები) დაიწერა და დაიბეჭდა, მათი მნიშვნელოვანი

ნაწილი მხატვრულ სრულყოფასა და ლიტერატურულ პროფესიონალიზმს აშკარად მოკლებულია. ამ შემთხვევაში ხაზგასმით აღსანიშნავი ისიცაა, რომ ზემოთქმულის სიმართლეში ბევრი მათგანი თავადაც იყო დარწმუნებული და მწერლობის პრეტენზია არასოდეს ჰქონია; მაგრამ, პოეტური სიტყვით თავისი ადამიანური გრძნობებისა და მისწრაფებების გამოხატვას თუ მაინც ცდილობდა, იმიტომაც, რომ სწორედ ამ გზით თვლიდა შესაძლებლად საკუთარი ტკივილის სხვათათვის განდობა– გაზიარებას. საბედნიეროდ, მწერლობით გატაცებულ ჩვენს ემიგრანტ თანამემამულეთა შორის ისეთებიც საკმაოდ გვხვდებიან, რომელთა შემოქმედებითი ნამოღვაწარი ყოველგვარი მკაცრი მიკერძოების გარეშე უნდა შეფასდეს, როგორც საგულისხმოდ ფასეული და ანგარიშგასაწევი შენაძენი ქართული ლიტერატურისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მათი მწერლური მემკვიდრეობიდან ბევრი რამ მკითხველისათვის დღესაც ნაკლებად ხელმისაწვდომია, ჩვენთვის ცნობილი ნაწარმოებებითაც კი ისინი ნამდვილად იმსახურებენ მეტ ყურადღებასა და პატივისცემას“ (ნიკოლეიშვილი, 2005: 485-486).

ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ასეთ წარმომადგენელთა შორისაა ლეო ჭეიშვილი, რომლის პოეტურ შემოქმედებას საქართველოში ნაკლებად იცნობენ.

საერთოდ, პოლიტიკურ ემიგრანტთა შემოქმედება იმთავითვე ფართოდ შუქდებოდა პარიზში გამომავალ ჟურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე. მის XIII ნომერში პირველად დაიბეჭდა ლეო ჭეიშვილის ორი ლექსი. მათში სჭარბობდა მელანქოლიური, მწუხარე ფერები, რომლებიც „მისი სულის სიღრმიდან ამოდოდნენ და თან მოჰქონდათ ავტორის პიროვნული ხატი“... (სიგუა, 2002: 133).

ლ.ჭეიშვილის ლექსები ასევე გამოქვეყნებული იყო ჟურნალ „კავკასიონის“ XVIII, XIX, XX ნომრებში.

„ფიქრი შებინდებისას“ (ჩემს კულამს) დაწერილია 1962 წლის დეკემბერში სტატ-კოლეჯ პენსილვანიაში.

„მიყვარს სოფელი შეღამებისას —  
მიდამოს ბინდი მოეფინება,

მთვარე გადმოღვრის ვერცხლის ნაკადებს, —  
დაღლილ ბუნებას მიეძინება.  
სადღაც, შორს, ისმის ჭოტის ძახილი  
სიო შეარხვეს ალვის ხის ტოტებს, —  
და ჩემი გულიც სევდით დაღლილი,  
ფოთოლთ შრიალში სიმშვიდეს პოვებს.“

დამონმებული ფრაგმენტიდან ჩანს, რომ მშობლიური ადგილების გაცოცხლება მასში რომანტიკული განწყობილებების გარდა, აღძრავდა ყრმობის დროინდელ მოგონებებსაც. რაც, მის სევდით დაღლილ გულს სიმშვიდით ავსებდა. და ამიტომაც იყო, რომ რომანტიკულად განწყობილი ლ. ჭეიშვილი აბობოქრებულ გრძნობათა სავანედ და სევდა-ნალღველის განსაქარვებლად სიმშვიდეს მხოლოდ და მხოლოდ ბუნების ნიაღში პოულობდა, მას და ბუნებას თითქოს საერთო ენაც ჰქონდათ გამონახული. ამ მხრივ, ისევე ლექსი „ფიქრი შებინდებისას“ მოექცა ჩვენი ყურადღების არეალში:

„ოდეს შეჩერდეს ძგერა ამ გულის,  
მაშინ ცამ მედგრად დაიგრიალოს,  
რომ ამცნოს წასვლა სულით ეულის,  
წვიმამ ცრემლებით გამომიტიროს.  
მაშინ დაბერავს ნიავი ჩემთვის,  
საყვარელ ფოთლებს ამიმეტყველებს,  
ჩუმი ზუზუნით „მშვიდობას“ მეტყვის  
და უკანასკნელ „ნანას“ მიმღერებს“.

შემოქმედ მამულიშვილს ღრმად სწამდა და სჯეროდა, რომ სადღაც შორს გადაკარგულისათვის, სულით ობოლისა და მიუსაფარისათვის იმქვეყნად წასვლის ჟამს მხოლოდ ბუნებალა იქნებოდა მისი თანამგრძნობი და დამტირებელი.

ამავე ლექსში პოეტისათვის თითქოს რაღაც საბოლოოდ დამთავრდა. დამთავრდა, მაგრამ სიმარტოვის სევდა, მაინც მოგონებებში განაგრძნობდა ცხოვრებას და გარემოს მწვანე ფოთოლივით იდუმალი ტრფობით ეფინებოდა.

„შენ ველარა სცნობ მშობელ ბუნებას!  
შენ აღარ გესმის მისი ჰანგები.  
შენ უღალატე სოფლის მშვენებას  
და ვით „ადამი“ დაიარები.

\* \* \*

სხვაგვარ მეტყველებს მოვარდნილ ქარის  
ხის წვეროებში მძლავრი გრიალი,  
შებინდებისას გრილი ნიავის  
ფოთლებთან ტრფობის ხმა იდუმალი! “...

ჭაბუკობიდან ბუნებით რომანტიკოსი და ლირიკოსი ლეო  
ჭეიშვილი „სევდის სკივრის“ ერთ-ერთ ნერილში აღნიშნავდა,  
რომ „წარამარა ვიმეორებდი ჩემი სათაყვანებელი პოეტის ნიკო-  
ლოზ ბარათაშვილის მუსიკას, რაც უცხოეთში ვარ.

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,  
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის  
ნუ დამიტუროს სატრფომ გულისა,  
ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის“...

ეს მიყვარდა და ეს შეიქმნა ჩემი ბედი“ (15.3.73 არგენტინა).

ლ. ჭეიშვილისთანა სულის პიროვნებას, ფიქრის კაცს  
უპირისპირდება ემიგრანტის მძიმე და რთული ცხოვრების  
გზასავალი, ბნელი და მღვრიე ყოფიერება, რომლისგანაც  
თავის დაღწევა, სიცოცხლისაკენ მობრუნება, ბედისწერასთან  
ამბოხს უდრიდა და ბარათაშვილის ბოროტი სულისაგან  
განთავისუფლებას ნიშნავდა.

უდროოდ ჩაფერფლილი გენიოსის — ნიკოლოზ ბარათა-  
შვილის — ცხოვრებას მიუძღვნა ლეო ჭეიშვილმა ლექსი „უიმედო  
ცრემლები“, რომელშიც იგი პოეტს ყოფიერების არარაობასა და  
ამაოებაზე ეკამათებოდა:

„დიდო ქართველო ნავიდა ის დრო,  
როცა იმედი კიდეც სუფევდა,  
როცა შენს გულში, აკვნესებულში  
მომავლის ცეცხლი მაინც ღვივოდა! ...

\* \* \*

„სული ობოლი“ დარჩა მარტოკა,  
დიდ სამყაროში არარად ქმნილი —  
რის მაქნისია თვით ეს სამყარო,  
ან რისთვისა ვართ ჩვენ გაჩენილი?!“ ...

**(25.7.61 State College Pennsylvania)**

სინამდვილით მოგვრილი მელანქოლია და დეპრესიის პოეტიზირება ლეო ქეიშვილის სულსა და პოეტურ სტრიქონებში გვიან გამოვლინდა, ალბათ მაშინ, როდესაც დარწმუნდა, რომ ოცნებად ქცეულ სამშობლოს ხილვას ველარ მოესწრებოდა, რაც ნათლადაა გამოხატული მის ლექსში „განშორებისას“, რომელიც ჟურნალ „კავკასიონის“ XIII ნომერში დაიბეჭდა:

„მძიმე ფიქრებში გახვეული მწუხარე გულით,  
დავდივარ სოფლად, თავდახრილი, მარტოდ, უმიზნოდ,  
ჩემთვის დასრულდა ან ზღაპარი ოდეს ნათხრობი  
და ვუცდი ჩემს დღეს განკითხვისას, ჩუმათ, უსიტყვოდ“ ...

აშკარაა, რომ ლეო ქეიშვილს ეპოქის დრამატიზმი საკუთარ ტრაგედიად ჰქონდა აღთქმული, რადგან იგი სამყაროს ჭვრეტდა არა თავისთავად არსებულს, არამედ, როგორც სულის სიღრმეში მოქცეულს. ამავე ლექსში ვკითხულობთ:

„როგორ დავწყევლო დღე გაჩენის – სინათლის ხილვა?  
როგორ დავწყევლო გზა ცხოვრების ჩემგან გავლილი?!  
მაგრამ თუ მკვდარსაც არ მელირსოს მშობელი მინა,  
ჩემი გაჩენა, ჩემი ბედი იყოს წყევლილი!..“

ეს სტრიქონები ერთგვარი კონსტატაციაა ემიგრანტი პოეტის სიმონ ბერეჟიანის ერთი ლექსისა, რომელიც დიდხანს საქართველოში ნოე ჟორდანიას დაწერილად და მისი საფლავის ქვის ეპიტაფიად მიიჩნეოდა.

„ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი,  
ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო.  
თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი,  
დე, მტვრად ქცეული დამენახოს მთელი სამყარო!“

საერთოდ, ლ. ჭეიშვილის პოეზიაში ნაკლებად ვლინდება ბედისწერის წინააღმდეგ გაბრძოლების განწყობილება. თავისი ადამიანური ბუნებით იგი უფრო ბედს შერიგებული პიროვნებაა და არა მემამბოხე, რის გამოც მუდამ დეპრესიაში იყო და ხსნას არსაიდან ელოდებოდა.

ლ. ჭეიშვილის პოეზიაში განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მიძღვნილი ხასიათის ლექსები, რომელთა უპირველესი ადრესატები არიან ის ადამიანები, რომლებთანაც მას პიროვნული სიახლოვე აკავშირებდა. მათ შორის პირველ რიგშია მშობელი დედის ხატება.

„ემიგრაციაში დედაზე დანერღლ ლექსებში ემოციური მუხტი იმდენად ერთნაირია, რომ ხანდახან ერთი კაცის დანერღილც შეიძლება გეგონოს, ყოველ მსგავს განცდაში ჭარბადაა მოლოდინი, მოლოდინი, რომელიც ვიდრე ცოცხალი ხარ იმედისა არ იყოს, არ კვდება, უფრო დედა-შვილური მოლოდინი“ (ნიშნია-ნიძე, 200 : 399).

ნოსტალგიის დაუძლეველი გრძნობები, უცხოობაში გადახვეწილისა და სამშობლოს სამუდამოდ დაშორებული ემიგრანტის განცდება გადმოცემული ლეო ჭეიშვილის ლექსში „დედას“:

„ვუძღვნი ჩემს დედას მარიამს (შვიდი შვილის დედას)  
ჩემს გულის მეგობარს ტურფას (ხუთი შვილის დედას)  
და ყველა დედას განურჩევლად რასისა და ეროვნებისა.  
„დედაო ჩვენო! უსაყვარლესო, ყოველი არსის!  
დედაო ჩვენო! ჩვენთვის ტანჯულო და შინაარსო  
ამ წუთისოფლის!  
შენი ტკივილი აბა ვის ესმის? აბა! ვის ესმის მწუხრი  
მაგ გულის?  
გაჩენის დღიდან შვილზედ ფიქრებში განანამების  
და დაქანცულის“.



სამშობლოში დატოვებული მოხუცი დედის უსაშველო მონატრებას გულისშემძვრელად გამოხატავდა ლექსის ბოლო სტრიქონები:

„შენს სახელს დედა თან დავატარებ,  
როგორც ხატებას ჩემს სიკვდილამდე,  
კურთხეულ იყოს სახელი „დედა“,  
უკუნითიდან უკუნისამდე“.

„ჩემო ნანა, მინდა ვიტყვო, როდესაც შენს სახელს ვწერ ან გამოვთქვამ. რომ იცოდე რა მუსიკალურია სახელი „ნანა“. ეტყობოდა, შენს დედიკოს, ჩემს ეთერიკოს კარგი მუსიკალური სმენა ჰქონდა, რომ ეგ სახელი აგირჩია.

შენ და დედაშენს ძვირფასი ტაქტი გაქვთ, სადაც ძნელია სიჩუმით რომ მპასუხოთ. რამდენჯერმე შევეკითხე შენს დედიკოს და ვთხოვე ჩემი დედის დაძინების დღე ეცნობებია, — აქაც სიჩუმე, ვითომც ეს წინადადება არც წაეკითხოს.

ვიცი, ვიცი, ჩემი გულის ნატეხი ხართ და გინდათ, რომ ჩემი დედა მუდამ ცოცხალი მყავდეს.

ნანა, საყვარელო, ყველანი ჩემს გულსა და სულში ისევ ისე არიან, როგორც დავტოვე“ (9.2.72 ბუენოს-აირესი).

ცხადია, დედა ყოველთვის რჩება იმ დიდ ქმნილებად, რომლის არსებობას მისი ცხოვრებიდან წასვლის შემდეგაც უშუალოდ გრძნობენ შვილები, როგორც ცხოვრების შეუწყვეტელ ნაწილს და ამიტომაც გასაგები იყო დის დუმილიც.

უცხოეთში გადახვეწილი ლეო ჭეიშვილი მხოლოდ წარსულით ცხოვრობდა და არსებობდა, რაც ნათლად ჩანდა ბავშვობის მოგონებებში ჩაბეჭდილი თავისი ეზო-გარემოს სურათის აღწერისას:

„როგორ არ მახსოვს ჩვენი უნაბის ხე. მაშინ პატარა იყო და რამდენიმე ცალს ისხამდა. კიდევ არის? მის გვერდით იყო შესანიშნავი კორკიმელი, ისეთი დიდრონი, ყვითელი გულით და სავსე გემრიელი ხორციით - აბა, რა დამაზინებებს იმას და სხვასაც.

უნაბის იქითორი ზღმარტლის ბუჩქი იდგა. მათ უკან მარცხნივ დიდი ბიის ხე, მის გვერდით ზორბა ბჟოლის ხე. მარჯვნივ კი

დაბალი გემრიელი ვაშლის ხეები.სულ უკან ნაბლის ორი ხე და გზისკენ ეკლის ხეები. “

„შენ მეკითხები, რა მოგწეროო?!... მაქაური კოლოს გაფრენაც კი მაინტერესებს. ნუ მომაკლებ ამ ბედნიერებას... როდესაც შენ მელაპარაკები, მიზიარებ განცდილს და ნახულს შენი ცხოვრების გზაზე ეს კიდეც სხვა გვარია. შენ ახსენე, ჩვენი ხუთ-საფეხურიანი ქვის კიბე ნინო ბებიას სამოთხისა, შენ ახსენე დიანოსი ბაბუა, ფედოსი დეიდა, ალათი, თბილი დღეები ნინო ბებიასთან გატარებული, კიბესთან ტყემლის ხე, მაზედ შემოხვეული ვაზი, ბებიას გაკეთებული ფელამუში, ალათი კერიასთან და ქოთანთან მიმჯდარი. წვიმიანი დღე, კარების მიკეტვა და პირჯვარის წერა ბებიასი, როდესაც გაელავდა, მანდაური ქუხილი და შხაპუნა წვიმა, დასველებული ქათმები სახლის ქვეშ რომ შეიბუდრებდნენ“ ... (15.3.1995 ლომას-დე-სამორა).

ასე რომ, „ქართული ყოფის, ამ შემთხვევაში იმერულ-ქართული ყოფის ამგვარმა პოეტიზაციამ“ (ბ. ბარდაველიძე) განსაკუთრებით ფართ მასშტაბები ემიგრანტობის პერიოდში შექმნილ ლექსებში შეიძინა და რომანტიკული წარმოსახვისა და ოცნების საგნად ხშირად იქცეოდა ხოლმე ის იდილიური ყოფა, რომლის მთავარ ლირიკულ გმირებად მისი მახლობელი ადამიანები არიან ქცეულნი“ (ნიკოლეიშვილი, 2005 : 499).

აქვე, ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ ეთერ ჭეიშვილის პასუხზე, რომელმაც ძმის დაჟინებული თხოვნა დედის გარდაცვალების გამო საბოლოოდ ლექსით გამოხატა:

ყოველ ბარათში  
მთხოვ მუჭა მინას,-  
მინას მინიდან  
სად ბავშვობა  
გიტარებია,  
გაინტერესებს ყოველი  
ხე, ყოველი  
ბურჯი,  
ასე შორს წასულს,

გულით თან რომ  
გიხარებია..  
მაშ, მომისმინე:  
დიდი სახლის წინ,  
ძველი მსხლის ხეზე  
ბინადრობს ფითრი, —  
ფითრის თეთრ  
მარცვლებს  
ბებერ ტოტებში  
ო, ისე მკვეთრად  
ჩაუბუნდია  
ჰო, შავ ყურძენს და  
კამურის ლერწებს  
ახსოვთ, კვლავ ახსოვთ  
შენი ბავშვობა...  
იმ მაყვლის ბუჩქზე  
ისევ ხარობს  
მაყვალი შავი...  
ხომ გახსოვს ლორთქოც  
განუყრელი ბარდ-ეკალასთან?!  
ჰყვავიან ისევ  
გაზაფხულზე  
თეთრად ტყემლები,  
ყვითლად ხატავენ  
მწვანე მინდორს  
კვლავ ბაიებიც...  
ასხია ისევ აკაციებს  
თეთრი მტევნები,  
კვლავ ხასხასებენ  
ჩვენს ეზოში  
წითლად ვარდები,  
ისევ ამძიმებს ძველ ზღმარტლს  
ისევ ისე, — ნაყოფი

ტკბილი,  
და ხის რტოებზე  
ჭიკჭიკებენ ისევ  
ჩიტები...  
ჰა, შეგისრულე თხოვნა,  
ძმაო, დედასთან ერთად  
მსხლის ქვეშ ამოვჭერ  
სულ პატარა ლამაზი  
მოლი,  
აჰა, გიგზავნი უცხო მხარეს  
ამ უძვირფასეს, —  
სამშობლოს მიწას,  
დედის სითბოც ახლავს თან, —  
ცრემლიც...

**P.S.**

უკვე მივიღე საპასუხოც  
შენი ბარათი,  
მნერ, რომ ატირდი  
სიხარულით და ...  
მწუხარებით:  
რომ დაჭკნა მოლი  
ვერ იგუა უცხო  
ჰაერი,  
მიწა კი ჩადე  
ფაიფურის ლამაზ  
ჭურჭელში...  
„მთხოვ, მომწეროსო, დედამ, — მის სახეს,  
ვხედავო სიზმრად  
არ მასვენებს შავი  
ნალველი...“  
ეჰ, ძმაო, ჩემო,  
როგორ გითხრა, —

ვით გაგიმეტო, —  
იყო ის მინა...  
ნობათი იყო  
დედისაგან,  
უკანასკნელი!“

მსოფლიო ლიტერატურაში დედა ყოველთვის იყო პოეტური მუზის შთაგონების წყარო, რადგან ამქვეყნად დედის სიყვარულზე უფრო წმინდა და უანგარო არაფერია. გენიალური ადამიანების უმრავლესობამაც ხომ თავიანთი დედებისაგან ბევრად უფრო მეტი მიიღეს, ვიდრე მამებისაგან.

„დედის დღეს“ მიუძღვნა ლეო ქვიშვილმა თავისუფალი თარგმანი Detlev lilienkzon — დან ლექსი „და მე კი ისე შორს ვიყავ შენგან“:

„და კიდევ ერთხელ გამაღვიძა მძიმე სიზმარმა,  
შავი ვარდები გარს ეხვივნენ სარეცელს ჩემსას.  
უსიტყვოდ იწექ. გარს გეხვივნენ შენი შვილები —  
იღვროდა ცრემლი და კარ-მიდამო დაეპყრო კვნესას.  
დაღლილი სული სარეცელზე ეძებდა ჩემს თავს...  
ოხ! ნეტავ ერთხელ დაკოცნა მისი აღმსრულებოდა,  
ჩემო მშობელო, ჩემო აღმზრდელო მშვიდობა მეთქვა—  
ვიდრე შენს სახეს შავი სუდარა დაედებოდა!  
და მე კი ისე შორს ვიყავ შენგან!...“

„...ტკბილო, საყვარელო დაო ეთერ! როდესაც ამ სიტყვებს ვთარგმნიდი თუ რას განვიცდიდი ეს შენთვის ნათელია. გთხოვ, როდესაც შინ წახვალ, თითო ვარდს აკოცე და მიუტანე ჩვენს დედას და მამას. ჩუმად უთხარი: შენი უღირსი შვილისაგან სალამი, რომელიც 45 წელია მხოლოდ ტკივილსა და ცრემლში ატარებს მის მწარე ბედს“... (25.09.72 ლომას-დე-სამორა).

ლეო ქვიშვილს — ცნობილ მეცნიერს, პროფესორს, მრავალი შრომის ავტორს, პოეტს, მხატვარს, საზოგადო მოღვაწესა და სულით ამაღლებულ პიროვნებას თავი მაინც „უღირს შვილად“ მიაჩნდა, რადგან იგი ყველაფერს სამშობლოს სახელით ზომავდა.

„ჩემი ცხოვრება სხვისთვის უგემურად ჩატარებულ შრომაში დაილია, ამიტომ აუნერვლია ჩემი წამება. თქვენ დგებხართ თქვენს მინაზე, თქვენ გესმით ირგვლივ ქართული და თქვენს ირგვლივ ჩქევს ქართული სისხლი და სული. თქვენ ზიხართ თქვენს ბუდეში და გათბობთ საქართველოს მზე. მე კი, ბუდიდან ამოვარდნილი მოკლებული ვარ ყოველივე ამას...

როდესაც ჩემი სახლის კედლები დავინახე გულნარას მიერ გადაღებული „დიაპოზიტივით“, როგორ გგონია რა განვიცადე? უუფსკრულესი ბოღმა, ბოღმა დაგროვილი 45 წლის მანძილზე. წამსკდა ცრემლები და ბავშვივით დავინწყე ქვითინი. უცებ გაიგლიჯა გული, გაიპო ტვინი და ვიგრძენი დედა, მამა, ჩემი დები ქეთო, თამარი, ნათელა, ლიუდმილა, ეთერი, სალომე, ნინო ბებია და სალო ბებია, ალექსი და ივანე ბაბუა, ჩემი მინა, ჩემი მეგობრები, ჩემი კარ-მიდამო სამტრედიისში თუ კულაშში.. ჩემს მეხსიერებაში მხოლოდ მათ ვუცქერ და განვიცდი ათრთოლებული გულით, რომელსაც მხოლოდ ოცნებით ვასა-ზრდობ“, — წერდა თავის დიშვილს ნანა ყიფიანს (30.9.72. ლომას-დე -სამორა).

მშობლიურ ბუდესა და ტოლ მეგობრებთან განშორების მწვავე განცდები უდიდესი ტკივილითაა გაჟღერებული ლექსში „საყვედური“:

„ტოტზე შემოჯდა ჩიტი ბელურა  
და ჭიკჭიკს მოყვა მწარე გოდებით,  
რად დაგვივინწყე?! — მისაყვედურა  
ამდენი ხანი მოგელოდებით.  
შენ დავივინწყე დედის ცრემლები,  
უკანასკნელი შეხედვა მისი  
გულდაკოდილი ჭიშკართან მდგომი  
გრძნობდა, რომ შვილმა გასტეხა ფიცი“.

(21.4. 61. State College Pennsylvania)

„...უბედურო ჩემო თავო! რა სიტკბოება დავიკელი და რამდენი ტკივილი მივაყენე ჩემს დედას, ჩემს მამას და ყველას, ჩემი სისხლისა და ხორცის მოზიარეთ. მაპატიეთ, ჩემო კარგებო, რომ ასხეთ რამეებს გწერთ, მაგრამ სწორედ ასეთი რამ უნდა

მოისმინო, რომ შენც რაიმე სანანებელი არ გექნეს მომავალში“, —აფრთხილებდა თავის დისშვილს თემურ ყიფიანს... (5.5.70. ლომას-დე-სამორა).

ლეო ჭეიშვილს სევდიან რაინდსა და გულდათუთქულ მამულიშვილს უკუღმართმა ბედმა მარტო სამშობლოს დაშორება როდი აკმარა. 1975 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა მისი ნაბოლარა ქალიშვილი მაყვალა ჭეიშვილი.

გულდაკოდილი მამის დიდი ადამიანური ტკივილები და განცდებია გამოხატული მიძღვნილი ხასიათის ლექსში „მაყვალა“, რომელიც ჟურნალ „კავკასიონში“ გამოქვეყნდა:

„ოხ! ნეტავ, ნეტავ არ იყოს“ დარდი  
გადიშლებოდეს ია და ვარდი.,  
სიზმრად გნახავდე შვილო მაყვალა,  
ბედმა, უბედომ არ დაგაცალა,  
ჯერ გაუშლელი დაგაჭკნო ვარდი,  
და დაგვიტოვა მწუხრი და დარდი...“

(„კავკასიონი“, XX, 1991:63).

„ამ რამდენიმე დღის წინ შესრულდა 13 წელი, რაც ჩვენს სიცოცხლეს შავი სუდარა გადაეფარა. ისე განვიცდიდით ჩვენს უბედობას, როგორც პირველ წუთში მისი თავდატეხისას! რა ვქნათ, ბედს ვერც შენ, ვერც ჩვენ და ვერც ვერავინ გაექცევა!“ (22.9.1988 ლომას-დე-სამორა).

ლეო ჭეიშვილი ქალიშვილისადმი მიძღვნილ ლექსს „მაყვალა“ ასე ამთავრებს:

„აგრე ყოფილა წუთისოფელი,  
იბადება და ქრება ყოველი,  
მაგრამ შენ იყავ ჯერ კიდევ ნორჩი,  
რისთვის მოგწყვიტა განგებამ ყლორტში?  
რად დაგიბნელა დღე ხვედრმა მწარემ?  
ჩრდილი მოგფინა მზემმა და მთვარემ —  
არ სჯობდა ბედს, რომ გავეკარ ჯვარზე,  
ოღონდ შენ გეველო სიცოცხლის გზაზე.“

(„კავკასიონი“, XX, 1991:63).

ბედის ძლიერ დარტყმებს ლეო ჭეიშვილმა გაუძლო, როგორც თავად აღნიშნავდა: „მხოლოდ მაგარი ნებისყოფითა და ცხოვრების წესით, რომელიც პრინციპებსა და სისტემაზე არის აგებული, და აქედან გამომუშავებული ცხოვრების ყოველი წვრილმანის მეთოდია. უპირველეს ყოვლისა ჩემი ფილოსოფია არის: „სრული უაზრობა, ყოველის არსებობის“ die sinnlosigkeit alles seienden“ (1.7.1977. ბუენოს-აირესი).

სიცოცხლის წარმავლობისა და ცხოვრების ამოების პოეტურ-ფილოსოფიური განსჯა ლ. ჭეიშვილის მრავალ ლექსშია გაფლერებული. ამგვარ დამოკიდებულებას ვხვდებით ასევე ემიგრანტი პოეტის გიორგი გამყრელიძის შემოქმედებაშიც:

„გ. გამყრელიძის პოეზიაში, ფართოდ გამოხატულ ამ სულიერ სასონარკვეთასა და პესიმიზმს კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს



დგანან: მაყვალა ჭეიშვილი, ნანა ყიფიანი,  
მხატვარი ლადო სააკაძე (ერასტი იაშვილი) და ლეო ჭეიშვილი.  
სხედან: ტურფა პაპავა და ეთერ ჭეიშვილი.  
ლომას-დე-სამორა. 1974 წ.



ფილოსოფიური დაფიქრება ცხოვრების ამოებასა და ყოვლის წარმავლობაზე. მის საუკეთესო ლექსებში ეს ზოგადადამიანური საფიქრ-საგოდებელი ხშირად პიროვნულ ტკივილად გარდასახული ფორმითაა გამოხატული, რითაც ავტორისეული სათქმელი მეტ გულწრფელობას იძენს“, — სამართლიანად შენიშნავს პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი.

ანალოგიური შთაბეჭდილება გრჩებათ ლ. ჭეიშვილის პოეზიის გაცნობისას, სადაც ავტორი ცდილობს ფილოსოფიური ახსნა მოუძებნოს ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების საიდუმლოს. ამ მხრივ მეტად საინტერესოა მისი ლექსი „ჩვენს ვიკტორს“.

მთელი ემიგრაციის მანძილზე სიკვდილამდე პაპავა—ჭეიშვილების ოჯახის მეგობარი იყო დიდი მეცნიერი, შემოქმედი და საზოგადო მოღვაწე ვიკტორ ნოზაძე, რომელიც მათთან ბუენოს-აირესში რამდენიმე წელი ცხოვრობდა. სწორედ, ძვირფას მეგობარს მიუძღვნა ლ. ჭეიშვილმა ლექსი „ჩვენს ვიკტორს (ჩვენი ოჯახის მეგობარს)“ რომელშიც ემიგრანტთა, ცხოვრებისეული განცდებია ასახული:

„ეხ! ვინ იცის, როდის ძგერა შეწყდება  
გულის, დარდით და სიმწუხრით დაღლილის,  
დამთავრდება ტანჯვა გულის ტკივილის  
დაისვენებ მარადიულ სიმშვიდით,  
როს სიბნელით მოცული შეიცვლება ნათელი  
დრო გასული იფარება ხავსებით,  
და სიცოცხლე ქრება, როგორც სანთელი“

(„კავკასიონი“, XVI-XVII, 1972-73: 41).

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ემიგრანტთა ცხოვრება მარტო სევდისა და ვაი-ვიშის გამომხატველი როლი იყო.

უცხოეთის ცის ქვეშ ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ კულტურულ-საგანმანათლებლო კერების გაჩაღებით მთელი ეპოქა შექმნა. მათი უამრავი ნაშრომი მეცნიერების, პოლიტიკის, სამართლის, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში შერწყმული იყო საქართველოს ისტორიული

ბედისწერის კარდინალურ საკითხებთან. თანაც ისიც საინტერესოა, რომ ქართველი ემიგრანტები მეცნიერებისა და ხელოვნების დარგებში იმ დონის მოღვაწენი იყვნენ, რომ ისინი უცხოელთა დიდ ყურადღებას იმსახურებდნენ და მათში ინტერესს აღვიძებდნენ საქართველოსადმი.

ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში იმთავითვე ერის ღირსეული და გამორჩეული მამულიშვილის სახელი დაიმკვიდრა ლეო ჭეიშვილმა, რომელმაც თავის მეუღლესთან ტურფა პაპავასთან ერთად, შექმნა მამა-პაპათა ტრადიციებითა და ზნეჩვეულებებით შემკული ნაღდი ქართული ოჯახი.

„...შემიძლია ვთქვა რომ თუკი ბედმა, ბევრი სიმწარე მაგემა, ჩემმა შვილებმა მათი ქართველობით მომცეს სიცოცხლის ძალა. ზიკუნა თავის პატარა თომასის მხოლოდ ქართულად ელაპარაკება. არავითარ შემთხვევაში სხვა ენაზე სიტყვას არ ეტყვის, არც ინგლისურად. და შენ წარმოიდგინე ეს „დაფსხრეკილი“, ეს ერთი ფინჩხა დედამისს, ქართულად ეუბნება, ხოლო მამამისს ინგლისურად“ (21.6.82 ბუენოს-აირესი).

„...ჩურჩხელები კიდევ გვაქვს და ვიზოგებთ, მხოლოდ პატარა თამარს აქვს განსაკუთრებული უფლება. წარა-მარა მოდის და მთხვავს: „ბაბუ თუ შეიძლება ჩუჩელა, — ქართულად მეტყვის და აბა, ვინ გაუძღებს ამ თხოვნას“..., — აღფრთოვანებული აცხადებდა ლეო ჭეიშვილი (27. 2.81 ლომას-დე-სამორა).

თაობათა შორის უმტკიცესი და უსაჭიროესი დულაბი ნდობაა. ლეო ჭეიშვილმა თავის ხუთივე შვილს შეასწავლა დედაენა. მათ კი, თავის მხრივ, შვილებსა და შვილიშვილებს ჩაუწერეს ქართული ენის სიყვარული და პატივისცემა. ასე რომ, თაობიდან თაობაში საერთო ღვანლის გამრავლება ყველასათვის ისევე სავალდებულოა, როგორც სამშობლოს სადარაჯოზე ყოფნა.

ლეო ჭეიშვილი და ტურფა პაპავა ქართულის გარდა ფლობდნენ რამდენიმე ენას: რუსულს, ფრანგულს, გერმანულს, ესპანურს, მაგრამ თავიანთ ნაგრამს დაბადებიდანვე უწერგავდნენ იმ აზრს, რომ მათთვის მხოლოდ „მშობლიურია მთავარი.“



**ტურფა პაპავა, ეთერ ჭეიშვილი, მაყვალა ჭეიშვილი, ნანა ყიფიანი და ლეო ჭეიშვილი. ლომას-დე-სამორა. 1974 წ.**

„დათუნას ყოველდღე ვაძლევ ქართულის გაკვეთილს. „მოიჭერს თავზე ხელს.“ იქნება მოახერხოს, ერთი ბარათის „დაფაბრიკება“. ამ დღეებში მისი ხელით დავანერინებ ბარათს და გამოვგზავნი“ (14.9.70 ბუნოს-აირესი).

ლეო ჭეიშვილი დისადმი გაგზავნილ შემდეგ წერილში აღნიშნავდა: „პუსი კითხულობს ერთ სქელ ქართულ წიგნს. არ ვიცი ეხლა, ვინ არის ავტორი ან რას შეეხება. ერთი კი ვიცი, რომ მოვა თუ არა მომადგება ფანქრით და ქალაღლით და ამავსებს შეკითხვებით. ამ დროს მე ბედნიერად ვგრძნობ თავს“... (21. 6. 82 ბუნოს-აირესი).

ასე რომ, პაპავა-ჭეიშვილების ოჯახი თავიდანვე დამკვიდრებულ ტრადიციას არ ღალატობდა. თამარ და აკაკი პაპაევების ფესვმაგარი ოჯახი ქართული კულტურის მძლავრი კერა იყო ჯერ გერმანიაში და შემდეგ არგენტინაში. მშობლების გავლენ-

ნით ტურფა და მზია პაპავები ბავშვობიდანვე ქართულ გარემოში და ქართული სულისკვეთებით იზრდებოდნენ, „უფრო ქართულ გარემოში და უფრო ქართული სულისკვეთებით, ვიდრე ეს იმ დროის საქართველოში იყო შესაძლებელი...“

სწორედ მათი დამსახურებაა, რომ მშობლების გარდაცვალების შემდეგ პაპავა-ჭეიშვილების სახლი ბუენოს-აირესთან მდებარე პატარა ქალაქ ლომას-დე-სამორაში კვლავ დარჩა ქართული სულისა და ქართული კულტურის ერთ-ერთ უძლიერეს კერად საქართველოს გარეთ, — აღნიშნავს პროფესორი პაატა ნაცვლიშვილი.

ამ მხრივ, ნიშანდობლივია თამარ პაპავას ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან ერთი ამონარიდი. „... ტურფას უფროსი ასული აქაურ ყმანვილზე თხოვდება. მე ამ ამბავს ცოტა სევდიანათ შევხვდი: „გოგო ამისთვის გზრდიდი, რომ არგენტინაში გათხოვილიყავ და აქვე დასახლებულიყავ- მეთქი?- ვუსაყვედურე და მან კი არხეინად მიპასუხა: „ბებო, შენ ნუ იდარდებ; მართალია, ქართველი არაა, მარა ეს მე განა გამომცვლისო? ქართულ კაბაში დავინერ მე ჯვარსო. ჩემს ოჯახში მუდამ ქართული სუფრა იქნებაო, მანუგემა გოგონამ... რა ვქნათ? სურვილიც კარგია, მაგრამ რამდენ სიძნელეს ელობება ეს უცხოეთში...“

ეს კეთილი სურვილი-ლა დარჩა ჩვენდა სანუგეშოდ — აი ეს სულ პატარა მარცვლები“ (პაპავა, ფონდი 28 103 /2).

საყურადღებოა ასევე მეორე წერილიც, სადაც თამარ პაპავა თავის თბილისელ მეგობარ ქალს სარა მერაბაშვილს შობის დღესასწაულზე მოუთხრობდა: „შობის დღეს ჩვენმა ოჯახის წევრებმა ტურფად მოკაზმეს ხე, გააჩაღეს სანთლები, შემოუსხდნენ ირგვლივ და დაიწყეს მშვენიერი ქართული ალილო... დიდხანს გაისმოდა ეს ალილო ჩვენს უბანში... ჩვენს მეზობლებს, იტალიელებს და ესპანელებს ეს უკვე აღარ ეუცხოვებათ, ისინი შეჩვეულნი არიან ყოველ წელიწადს ამ ჩვენს შობის რიტუალს... ჩემი ტურფა და მზია შეუდგენ წინასწარ გამზადებული საჩუქრების დარიგებას ყველა 23 დამსწრეთათვის. ჩვენთან იყვნენ ლევან ჯაფარიძის ოჯახიც მეტად სიმპათიურები. ამ საჩუქრების დარიგება დიდი ტომრებიდან სიხარულთან ერთად ბევრ სი-

ცილსა და ჟივილ-ხივილს იწვევდა, განსაკუთრებით ბავშვებში. მე ჩემს პუისს ჩემს გოგონას, რომელიც მარტში ჯვარს იწერს, სხვათა შორის ჩვენებური ქვიჯა (როდინი) ვაჩუქე და ორი პატარა ქილა საქართველოდან მიღებული ხმელი სუნელის, რათა ახალ სამზარეულოში ქართული ტრადიციები შეიტანოს. აკაკიმაც თავისი ახალი ნიგნი უთავაზა ყველას საგანგებო წარწერით... მე რე იყო ვახშამი... ტყემლიანი ბეჭით, საცივით, ღომით, ფხალეულით და სხვა ჩვენებური საჭმელებით... გვქონდა ჩილეს მშვენიერი ღვინო. თითქმის გავათენეთ საქართველოს ტკბილ მოგონებებში...

ეს იყო 1963 წლის 24 დეკემბრის ღამით“ (**პაპავა, ფონდი 28 103/ 20**).

„ისინი არგენტინაში საქართველოთი ცხოვრობენ, საქართველოთი ცოცხლობენ. თუ სადმე ნიგნში, აფიშაზე ან გაზეთებში თვალს მოჰკრავენ ქართულ გვარს და ძეგლს, ქართულს რაიმეს, შეფრთხილდებიან, თითქოს ქართულ მინაზე დაედგათ ფეხი“, — ამბობდა პაპავა-ჭეიშვილების ოჯახების შესახებ მიხეილ კაკაბაძე 1981 წელს დაწერილ და 1988 წელს გამოქვეყნებულ თავის ნერილში.

მიხეილ კაკაბაძე იმავე ნერილში ასევე აღწერდა პაპავა-ჭეიშვილების ქართულ კერას ლომას-დე-სამორაში: ლას პიედრას 135-ში ლეო ჭეიშვილის, ხოლო სულ ახლოს ალვარეს ტომასის 125-ში ალექსანდრე ჭეიშვილის ოჯახებს რომელთა: „თაროებიდან და კარადებიდან იმზირებიან შოთა რუსთაველი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი, ივანე ჯავახიშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი, „ჯეჯილის“, „მნათობისა“ და „ცისკრის“ ტომები. ორივე ოჯახში ქართული ნიგნებისა და ალბომების უმდიდრესი ბიბლიოთეკაა. აქ მრავლად ნახავთ უნიკალურ ქართულ გამოცემებს და სხვადასხვა ენაზე დასტამბულ ნიგნებს საქართველოს შესახებ.“

პაპავა-ჭეიშვილების ოჯახში ყველა ნაბიჯი განისაზღვრებოდა ნაციონალურის სულისკვეთებით. „ნიშნულია აკაკი პაპავას სიტყვები, როცა ამბობდა, რომ — „ემიგრანტებს მამულის ბედზე ხელი არასოდეს ჩაუქნევიათ, საქართველო იმის გამო

არ მიუტოვებიათ, რომ პირადად აეცდინათ მტრის რისხვა, ან უცხოეთში უზრუნველად ეცხოვრათ. მათ თავისი ქვეყნისათვის „ზურგი“ არასოდეს უჩვენებიათ, პირიქით გონებითა და თვალით მისკენ იყვნენ და უცხო ქვეყანაში „უკანა ნაბიჯებით, ზურგით“ შედიოდნენ. აქაურობას მხოლოდ „ნუთისოფლად ვთვლიდით, „მარადისოფელი“ კი ჩვენი მიწა-წყალია“ (ჟურ. „სამშობლო“, 2009 : 31).

რასაკვირველია, ამ მრწამსითა და სულიერებით აღზრდილ შთამომავლებში საქართველოს სიყვარული ბავშვობიდანვე ძვალ-რბილში იყო გამჯდარი. ალბათ, გასაკვირი არც იყო პაპა-ვა-ჭეიშვილების ოჯახში სტუმრად მისულ თანამემამულეებს, რომ ილია ჭავჭავაძის სიტყვები გაეზიარებიათ და მისი პერიფრაზით ეთქვათ: „არგენტინაში ჩავედით და საქართველო ვნახეთო!“...

ამ ოჯახების უფროსი თაობა შვილებსა და შვილიშვილებს თავიანთი თავდადებით დიდ მამულიშვილურ მაგალითს აძლევდა. ლეო ჭეიშვილი არა მარტო ფიქრითა და წარსულით იყო შენივთებული სამშობლოს ხატებასთან, არამედ იგი, სადაც კი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ყოველთვის დიდი ქართული საქმისათვის იღვწოდა.

„სევედის სკივრის“ ერთ-ერთ წერილში, რომელიც 1972 წლის 7 მაისითაა დათარიღებული ლეო ჭეიშვილი თავის ფიქრსა და სურვილს ისევ მის უმცროს დას ეთერს უზიარებდა: „იტალიიდან მომანოდეს შეტყობინება, რომ მივიღო მონაწილეობა კერამიკის უნივერსალური ისტორიის გამოცემაში. აბა მე იმათ რა უნდა მივანოდო ისეთი, რაც გამომცემლობასთან არსებულმა საგამომცემლო კომისიამ არ იცის?! გარდა რამდენიმე წვრილმანისა, მაგრამ დიდი დამსახურება იქნება ჩვენი ერის წინაშე თუ შიგ საქართველოს კერამიკას შევიტან.

დღევანდელი ამბავი არ არის საინტერესო, ჩვენი კერამიკა (რომლის ნიმუშებიც ვნახე) ძალზე მდაბალი ხარისხის არის და გარდა ამისა, არავითარ საისტორიო მასალას არ წარმოადგენს. მაგრამ მე ბევრი წავიკითხე და გავიგონე, რომ არქეოლოგიური გათხრების დროს მრავალი საინტერესო ნიმუში იქნა აღმოჩენილი.

ახლა გთხოვ, როგორმე მიაკვლიოთ იმ არქეოლოგებს, რომლებიც ამაზედ მუშაობენ და მათი აზრი ჩვენს ისტორიულ წარსულზე კერამიკის დარგში სრულიად გარკვეული და დასაბუთებული მოკლედ და სხარტად გამოთქმული აზრი მომანოდოთ. თან, რაც მნიშვნელოვანია – ფოტოსურათების კარგი ნიმუშები (არა ფერადი ფოტო) გამომიგზავნეთ, თავიანთი თარიღებით.

მოკლედ, როდის დაიწყო ჩვენში ტექნოლოგია ამ ნაწარმის, რა გზით წავიდა, ვის გავლენას განიცდიდა ან თუ თავისი საკუთარი გზა გაიარა და რა განვითარების სიმაღლეს მიაღწია.

ასეთი შემთხვევა საუკუნეში ერთხელ ხდება. დარწმუნებული ვარ, რომ სომხები ერთი ათად გაბერავენ თავიანთ წვლილს. ვქნათ რამე. იცოდე, ეხლავე გადადგი ნაბიჯი“... (5.1.79 ლომას-დე-სამორა).

შემდეგ წერილებში ლეო ჭეიშვილი ქართულ კერამიკასა და ქართულ ქვევრებზე მასალების მიწოდებისა და ზრუნვისათვის მადლობას სწირავდა თავის ახლობლებს. „ამ ქვევრისათვის რავა აგინრიალებიათ მთელი ქვეყანა! იმედია მივიღებ ზომებსა და მეთოდს დამუშავებისას... მივიღე შენი გამოგზავნილი ყურნალები და ფოტო-კოპია. სწორედ ეს იყო, რაც მჭირდებოდა... (21.3. 79 ლომას-დე-სამორა).

ერთი წლის შემდეგ გამოგზავნილ წერილში იგი ვრცლად საუბრობდა თავის განეულ მუშაობასა და თანამემამულეთა დახმარებაზე: „...მთელი მასალები გადავიკითხე და გადავამუშავე. მთელი ჩემი დასვენების ოთხი კვირა ამაში გავატარე, მაგრამ თუ რა პატივი მცა უცნობმა მანდილოსანმა და როგორ დამეხმარა – ეს მართლაც აუწერელია. ეს გახლავთ მცოდნე ეთნოგრაფი ცისანა კაკაბაძე და კერამიკულ საქმეებში კარგად ჩახედული. დისერტაცია დანერა და დაიცვა შრომის კერამიკაზე. მთავარი ისაა, რომ რა არ გამომიგზავნა: ჯერ ერთი, თბილი ბარათი, 4 ნაშრომის ასლები სანერ მანქანაზე გადაბეჭდილი. მისი დისერტაციის რეფერატი, სამი წიგნი მეტად საინტერესო, ზოგი მისთვის ნაყიდი, ზოგი ნათესავებს გამოართვა, რომ ჩემთვის გამოეგზავნა, აუარებელი ფოტო სურათები ქვევრების, გამოსანვაი ქურების. გარდა ამისა, ქალბატონ კონიაშვილის

მიერ დახატული ქვევრის გაჭრა და მისი ზომები. ორი ნომერი „ძეგლის მეგობარი“, სადაც მეტად საინტერესო ცნობები იყო, რომლებიც ძალზე მჭირდებოდა. ერთი სიტყვით, არ დაიზოგა თავი და არ დაზოგა დრო და შრომა! ეს მიმას წყალობით (იგულისხმება მიშა კაკაბაძე) (2. 2. 80 ლომას-დე-სამორა).

ლეო ჭეიშვილი ფიქრითა და ოცნებით მუდამ თავის სამშობლოს უცხოეთში წარმოჩენის საქმეს დასტრიალებდა და ამიტომაც დიდი იყო მისი დაინტერესება ქართული ქვევრების ისტორიით. მას კარგად ესმოდა, რომ ერის გაცნობა მისი ისტორიის შესწავლიდან იწყება.


„მე ვიცი, რომ წინათ, კახეთში უზარმაზარი ქვევრი კეთდებოდა. შიგ ჩადიოდნენ კიბით და რეცხავდნენ. სთხოვე თემურს გამიგოს რა სიმაღლის იყო და მაქსიმუმ რა დიამეტრი ჰქონდა სიგანეში“, – წერდა თავის დას.

და სულ მალე, მან ვრცელი ნაშრომით დააგვირგვინა ქართული კერამიკისა და ქვევრების ნარმოშობის ისტორია, რომლის შესახებაც აღნიშნავდა: „...გიგზავნი ჩემს წიგნებს. ძალიან მინდა ჩემი ნაშრომები როგორმე კერამიკის ინსტიტუტში (თუ არსებობს) მიიტანოთ. თუ არა ვინმე სხვას გადასცემთ, რომ ჩემი სახელი სადღაც მივარდნილ ადგილას მაინც დარჩეს ჩემს საოცნებო მიწაზე“ ... (12.1.82 ლომასი).


ლეო ჭეიშვილი დიდი ხნის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს პენსილვანიის უნივერსიტეტში. რის შესახებაც იგი თავის „პატარა მოგონებაში“ მოგვითხრობს: „როდესაც პენსილვანიის უნივერსიტეტში ლექციების კითხვა დავიწყე, პირველი, რაც მკითხეს სტუდენტებმა, როდესაც გაიგეს რომ მე ქართველი ვიყავი, ვიცნობდი თუ არა აკადემიკოს მუსხელიშვილს. როდესაც გაიგეს, რომ მე მისი მოწაფე ვიყავი, ისე შემომეხვივნენ, თითქოს მე ვყოფილიყავი აკადემიკოსი მუსხელიშვილი! მეორე მხრივ, როდესაც გავიგე მათგან, რომ ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტში ყველაზე ცნობილი და მიღებული წიგნი სტატიკაზე, აკად. მუსხელიშვილის მიერ დაწერილი სახელმძღვანელოა. ისე ამიტაცა გრძნობამ, რომ დიდი ხერხით ძლივსლა შევიკავე სიხარულის ცრემლები!“ („კავკასიონი“, XIII, 1968: 21).



აშკარაა, ზემოთ მოყვანილი ფაქტით ლეო ჭეიშვილს იმის თქმა სურდა, რომ ხშირად პატარა ერს დიდი შვილები ჰყავს და ქართველების ნიჭიერებასაც არა ერთხელ განუცვიფრებია რაოდენობრივად დიდი ერის შვილები. ქართული უნივერსი-



**მაგნიუმის ოქსიდის სინთეზი  
ლითიუმის ფტორიდის  
მეშვეობით. ნაწილი I**



**მაგნიუმის ოქსიდის სინთეზი  
ფლიურიტის მეშვეობით.  
ნაწილი II**

ტეტი ის ტაძარი იყო, სადაც მეცნიერების მწვერვალებს ეწაფებოდნენ „ქართული სულით და გრძნობებით გამსჭვალულნი ქართველები,“ რომლებიც იყვნენ „ღირსნი თავიანთი დიდი წარსულისა“ („კავკასიონი“, XIII, 1968 :22).

მხურვალე მამულიშვილის, მეცნიერის, პოეტისა და გრაფიკოსის ლეო ჭეიშვილის ცხოვრება ხშირად ზიგზაგოვანიც იყო.

„სევდის სკივრის“ თითქმის ნახევარსაუკუნოვანი წერილების შესწავლამ დაგვანახა, რომ მათი უმეტესობა მინორული განწყობილებისა იყო, მაგრამ მასში, როგორც გამოირკვა, ერთ დღეს მაჟორული და ხალისიანი სტრიქონებიც გაჩნდა, რომლის

მიზეზი სამშობლოდან მოსული მაცნე იყო. საქმე ის გახლდათ, რომ ქართული ხალხური ცეკვის ეროვნული ანსამბლის კონცერტმეისტერმა ელიკო დოლიძემ არგენტინაში ჭეიშვილების გზა-კვალს მიაგნო. და ათწლეულების განმავლობაში უხილავი დაფებით დაკავშირებულ და-ძმას ერთურთი საბოლოოდ აპოვინინა. ეს მოხდა 1964 წელს და აქედან გაჩნდა პირველი წერილი იმ სკივრში, რომელსაც სიმბოლურად ჩვენ „სევდის სკივრი“ ვუწოდეთ.

1964 წლის 13 ივლისი ლომას-დე-სამორა: „ჩემო ოცნებათ ქცეულო პატარა დაო, ჩაგიკრავ გულში და ვიტყვებ შენთან ერთად იმ დაკარგულ წლებზედ, რომელმაც მე ჩემს ოჯახს, თქვენს თავს მომწყვიტა. რამდენი რამ მინდა ვთქვა, როგორ მინდა ისე მძლავრად დავიღრიალო, რომ გაიგონოს სამყარომ ჩემი პატარა გულის აუნერელი ტანჯვა თქვენზედ ფიქრებში დაგროვებული!! მაგრამაბა, როგორ ვქნა ეს, როგორ მოვახერხო? რა აზრი აქვს ამას?

რით შევძლებ ორივე მხრიდან განვლილი სიმწრის გზის შეცვლას ან შებრძოლებას?!

დიდი ხანია უკვე მოუთმენლად ველოდით ქართულ მოცეკვავეთა გუნდის ჩამოსვლას და თუ რა გადაგწყნდა მათი მოსვლის და ნახვის შემდეგ, ამის გაგება, მხოლოდ ორმოცი წლით გადახვეწილს თუ შეუძლია. მაგრამ მე პირადად თუ რა დამემართა, როდესაც გადმომცეს, რომ ვილაცას ჩემი ნახვა სწადდა, ამის გადმოცემა ძნელია. სულ იმის შიშში ვიყავი, ვაითუ გულმა ვერ გამიძღოს და უნახავად წავიდე ამქვეყნიდან-მეთქი. მივედით ტურფა და მე, როგორც იქნა ოტელში (ჰო, წინ დღით მივედით ბავშვებით, მაგრამ სასადილოდ წასულნი დამხვდნენ). გამოვიდა ელიკო, მოვეხვიე და ჩავიკარი, მაგრად, მაგრად გულში, რადგან ამ დროს ჩემი ეთერი მყავდა გულში ჩაკრული. ვიყავი უზომოდ ბედნიერი, რომ ელიკომ ჩვენი ოჯახი ნახა, შენ და ჩემიანებს წარმოდგენა გექნებათ ჩვენს პატარა კუთხეზე, სადაც უსამშობლოებს თავი შეგვიფარებია. ელიკო ჩემთვის გადაიქცა მეშვიდე დად, რომელიც ცხადი მონმეა ჩვენი არსებობის.

აირდაირია ჩემი სულიერი წონასწორობა. თითქმის შეხორცე-  
ბული ჭრილობიდან ისევ დაინყო სისხლმა წვეთა“, — წერდა დას  
ლიმილდაბრუნებული ემიგრანტი ლეო ჭეიშვილი (13.7.1964. ლომას-  
დე-სამორა).

სწორედ ამ წერილიდან მოყოლებული გადაიშალა ლეო  
ჭეიშვილის ემიგრანტული ცხოვრება ჩვენს თვალწინ.



ლეო ჭეიშვილი. ლომას-დე-სამორა. 1974 წ.

გუგაჩილი დაიწყო 2 ქაჩილ  
დაეჭვიანო დათ. ხს. იხამ,  
სუ ყოფილი ამ ჭეიშვილს,  
ქმის ჭეიშვილი  
მოსეფენი დაეჭვიანო,  
წი (ოქო)

„მძიმეა ქართველისათვის ემიგრანტობა. არ არის მისი ხელობა. ყველას შეუძლია იყოს ემიგრანტი, მაგრამ ქართველს არ შეუძლია. ის არის დაავადებული, ის დაავადმყოფებულია და როგორც ჭირიანს ისე მიაქვს და მიათრევს თავის წლებს. მე ვიცოცხლე 20 წელიწადი და ვარსებობ 60 წელიწადია. არის დიდი განსხვავება სიცოცხლესა და არსებობას შუა. მწუხრი, ჯავრი, გაჭირვება, გაუთავებელი მწუხრი და მწუხრი. ემიგრანტობა არის მწარე სიკვდილი“, — უზიარებდა ყველას თავის დიდ ტკივილს ლეო ჭეიშვილი (15.9.1965. ლომას-დე-სამორა).

ემიგრანტთა, მძიმე ხვედრია გადმოცემული დისადმი გაგზავნილ თამარ ჰაპავას წერილში, სადაც ავტორი კალმის ერთი მოსმით ხატავს ენით აუწერელ, შემზარავ ფაქტებს სვეგამწარებულ ქართველთა ბედუკუღმართი ცხოვრებიდან: „ამ ორი კვირის წინ ერთი მოხუცი ქართველი — დავით ლოლობერიძე ქუჩაში გარდაიცვალა. უპატიოსნესი ადამიანი... მარტოხელა, სანყალი...

დავმარხეთ ისე, როგორც მას ეკადრებოდა... ასე მიდიან აქ მყოფი მცირერიცხოვანი ქართველები, ზოგი შიზოფრენიით დაავადებული და ზოგიც დავარდნილი. ჩვენც, ვისაც სული გვიდგია, ვტრიალებთ ამ ორომტრიალში“... (6.11.1970 არგენტინა).

ხშირად ცხოვრებაში დიდ სიხარულს დიდი მწუხარებაც თან ახლავს. ასე მოხდა იმ დღეს არგენტინაში, ერთი მნიშვნელოვანი და სამწუხარო ამბავი.

1964 წლის 13 ივლისს ბუენოს-აირესის ავტობუსში გულის შეტევით გარდაიცვალა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე აკაკი ჰაპავა, რომელსაც ხელში ჩაბლუჯული ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტის ბილეთების მთელი დასტა აღმოაჩნდა. მგლოვიარე ოჯახმა არგენტინელ ქართველებს ეს ტრაგიკული სიკვდილი იმ დღეს არ შეატყობინა. რათა ნანატრი შეხვედრის სიხარული არ ჩაემწარებიათ. ოჯახის უფროსებმა თავის ახალგაზრდებს უბრძანეს ცრემლი შეეშროთ და სხვა ქართველებთან ერთად დასწრებოდნენ მშობლიური ხელოვნების ზეიმს“...

არგენტინაში ჩასულ თანამემამულეთათვის ჭეიშვილების ოჯახი გახდა ქართული სტუმარ-მასპინძლობის, სულიერებისა

და ერთგულების კუნძული. ჭეიშვილებმა თავიანთი გულები გადაუშალეს მსოფლიოში სახელგანთქმულ მოჭადრაკე ქალებსა და ხელოვნების მუშაკებს: ნანა ალექსანდრიას, ნონა გაფრინდაშვილს, ელისო ვირსალაძეს, სოფიკო ჭიაურელს, ნანი ბრეგვაძეს და სხვებს. თითოეულ მათგანთან შეხვედრებს ბატონი ლეო თავის წერილებში განსაკუთრებული წერის მანერით გადმოსცემდა, სადაც დეტალებს მთლიანობის აღსაქმელად დიდი მნიშვნელობა და დატვირთვა ჰქონდა...

„...შემთხვევით აღმოაჩინეს ჩვენმა ქალებმა გაზეთში განცხადება, რომ დღეს იქნება კონცერტი ქართველი ქალის. თუმცა გვიანი იყო, მაგრამ სასწრაფოდ ჩავიცვით და გავქრით. პიანისტი ქალი, რომელსაც ალბათ თქვენ უკვე იცნობთ, იყო ელისო ვირსალაძე. ჩვენ რასაკვირველია უკითხავად შევედით მის ოთახში, კონცერტის წინ და სიყვარულით მივესალმეთ. ცოტახნის ბაასის შემდეგ გვთხოვა, რომ კონცერტის შემდეგ გვენახა. კონცერტი ჩატარდა უდიდესი გამარჯვებით. ხალხი სიგიჟემდე მივიდა. ოვაციები, ბრავოს ყვირილი. ხუთჯერ დააკვრევენ, გარდა პროგრამისა. რაც მეტი დაუკრა, მით უფრო აღტაცებაში მოდიოდნენ დამსწრენი. ვერ მოვითმინე და ვინც იქ იდგნენ ყველას ვეუბნებოდი ჩემი თანამემამულე არის მეთქი. ვილაც ქალი სიმფოროპოლიდან იყო და მაშინვე მითხრა, „ახ, თქვენ ქართველი ბრძანდებითო? რამდენი პიანისტი მომისმენია ასეთი კი არა. ყველა გაცელებული იყო მის ტექნიკაზე. მაგისი ბიძა ჩემი კარგი ნაცნობი იყო მიუნხენიდან და ბაბუა (ექიმი) ჩვენებთან ცხოვრობდა ჰამბურგში. დღეს სადილად ჩვენთან იქნება“, — აცყობინებდა იგი თავის ახლობლებს თბილისში.

1978 წელს ქართველ მოჭადრაკე ქალების მაია ჩიბურდანიძის, ნონა გაფრინდაშვილის და ნანა ალექსანდრიას მონაწილეობით ტრიუმფით დასრულდა ბუენოს-აირესის რივერ პლეიტის ცნობილ სტადიონზე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა; სადაც მათ პირად და გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო შედეგები აჩვენეს და ორ-ორი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვეს. „გამარჯვების გარდა, — როგორც ნანა ალექსანდრია აღნიშნავს: „დამამახსოვრდა ემიგრაციაში მყოფი ჭეიშვილების ბრწყინვალე

ოჯახი. მათთან ურთიერთობის სიტკბო და საოცარი პატრიოტული მუხტი“. მსოფლიოს ორგზის ვიცე ჩემპიონის, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის 9 ოქროს მედლის მფლობელის ნანა ალექსანდრიას თამაშითა და ქალური მომხიბვლელიობით აღფრთოვანებულმა სკულპტორმა ენიო რიკიერმა მას არგენტინელ თაყვანისმცემელთა სახელით ბრინჯაოში გაცოცხლებული მისი ბიუსტი გადასცა.

აღფრთოვანებული ლეო ჭეიშვილი წერდა: „ჩვენ სხვა ერი ვართ, სხვა მასალისაგან შექმნილი და ამით უჩვეულო ხასიათის. ვარ ამაყი, ვარ ბედნიერი რომ ქართველად მოველ ამ ქვეყნად. სხვა ერის შვილად მოსვლას ვამჯობინებდი საერთოდ არმოსვლას. მართალია ნახევარი საუკუნის წინ წამოსული ვარ და ყველა მათგანი ჩემი წამოსვლის წინ დაიბადნენ, მაგრამ საკმარისი იყო ჩვენი ხელები ერთმანეთს შეხვედროდნენ, რომ ციური ნაპერწკალი მშობელი სისხლისა ცეცხლად გადაქცეულიყო. მადლიერი ვარ ჩემი ბედის, რომ ერთხელ კიდევ განვიცადე საქართველო საამაყო მოჭადრაკე ქალებით“...

1980 წლის 22 სექტემბრით დათარიღებულ პირად წერილში ნანა ალექსანდრიას გულისხმიერებითა და ყურადღებით მოხიბლული ლეო ჭეიშვილი ასე ეხმაურებოდა ადრესატს:

„ჩვენო საყვარელო, დაუფინყარო და სასახელო ნანა, ლამაზო და ჭკვიანო, ერთი კვირა იქნება, რაც შენი ძვირფასი საჩუქარი მივიღე (მუხრან მაჭავარიანის ლექსების კრებული). როგორ მოულოდნელად მომივიდა! სწორედ აფორიაქებულ ხასიათზე ვიყავი, არავისი და არაფრის ნახვა და გაგონება მსურდა... ერთის დაკვრით გაიფანტა ყოველი ჭმუნვა და დარდი. თითქოს საქართველოს მზის სხივებმა გაათბეს დაძაბული გული. სიამის ქარმა გადარეკა მწუხრი. ჩემო ძვირფასო, ძალიან მოკლე დრო შემრჩა შენთან ბაასისტვის, რამაც ძალზე დამწყვიტა გული. ვგრძნობ, რომ ეს იყო ჩვენი პირველი და უკანასკნელი შეხვედრა, ხანმოკლე, მაგრამ ისეთი ემოციური, რომ მუდამ ჩემს წინ დგახარ. ნანა, ნუ მიწყენ, გთხოვ, რომ შენობით მოგმართო, რადგან სხვანაირად არ შემიძლია გამოვთქვა ის სიტბო და სიყვარული, რომელიც მინდა მოგიძღვნა. მხოლოდ ამ მოკლე სიტყვაში - „შენ“ მინდა

გადმოგცე ყველაფერი, რასაც განვიცდი. გთხოვ გამიგო და ნუ მიწყენ! უღრმესი მადლობა მოხვევნა და კოცნა შენს საყვარელ ხელებს, რომლებმაც ამრიგად გამახარა. აკოცე და მოიკითხე ნონა და მათა და ის ქორფა ქალწული, რომელიც მაშინ ვერ ჩამოვიდა ბუენოს აირესში. სიყვარულით, შენი ბიძია ლეო ქეიშვილი“ (22.09.1980 ბუენოს აირესი).



**არგენტინელი სკულპტორი ენიო რიკიერი ბრინჯაოს ბიუსტს გადასცემს ნანა ალექსანდრიას.**

აქვე, ერთი საყურადღებო ფაქტიც უნდა მოვიყვანოთ, რომელიც ნანა ალექსანდრიას დიდ მოქალაქეობრივ გამბედაობაზე მიუთითებს. ცნობილ „შვიდკაცას“ (მათ შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი) პაპავა-ჭეიშვილებთან სტუმრობისას ოჯახმა მწერალ თამარ პაპავას პარიზსა და არგენტინაში დაბეჭდილი წიგნები — „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“ პირველი და მეორე ნაწილი უსახსოვრა. ეს ძვირფასი რელიკვია საბჭოთა უშიშროების კომიტეტის შიშითა და მათთან მოსალოდნელი პრობლემების გამო, იძულებულმა სტუმრებმა საჩუქარი იქვე დატოვეს. რაც თავისთავად ეროვნული მონობისა და დაკნინების ცოცხალი მაგალითია.

მათ შემდეგ არგენტინაში ჩასულმა ნანა ალექსანდრიამ პირადად მოიკითხა ეს წიგნები, რადგან იგი ამის თაობაზე კოტე მახარაძიდან უკვე ინფორმირებული იყო და თავის თავზე აიღო ეს დიდი პასუხისმგებლობა. აკი ტყუილად როდი ამბობდა ესქილე: „კოლხეთის გმირნი: ყმანვილნი, ქალნი, ომში მამაცი და უშიშარნია.“

თბილისში ჩამოტანილი ეს წიგნები მოჭადრაკე ქალბატონმა სულგრძელად გადასცა გასაცნობად ცნობილ რეჟისორს რეზო თაბუკაშვილს, რომელიც თავად ეწვია შემდეგ არგენტინას და პაპავების ოჯახიდან საქართველოში ისტორიული ფარდაგი ჩამოიტანა. ნანა ალექსანდრია იმასაც იხსენებს, რომ მის მიერ ძღვნად ჩატანილ შებოლილ სულგუნსა და კაკლის მურაბას, „კაკალ-კაკალ როგორ უნაწილებდნენ პაპავა-ჭეიშვილები თანამემამულეებს“.

ცნობილი ქართველი მსახიობის სოფიკო ჭიაურელის საქციელით მოხიბლული ლეო ჭეიშვილი აღნიშნავდა, რომ კინოფესტივალის ერთ საღამოზე სოფიკომ თარჯიმანს შეუხსნორა: „თქვენ უსწოროდ თარგმნით ჩემს სიტყვებს, მე რუსი არა ვარ, საბჭოთა კავშირიდან ვარ, ქართველი.“ მაშინ თურმე პარტერში მყოფ ბატონ ლეოს ვალიდოლი დასჭირვებია მოსაბრუნებლად.

მომღერალ ნანი ბრეგვაძის ხმით დატყვევებული ლეო ჭეიშვილი აღფრთოვანებით წერდა: „რა ტკბილი ხმა აქვს ნანის! რაღაც ჯადოსნურია, მაგრამ ეს უნდა მოისმინო სულ სხვა პირობებში: მთვარის შუქზე მარტოკა მჯდომმა, ნელი ნიავი, ოდნავ შრიალი ვერხვის ფოთლებისა პაპიროსით ხელში, ფეხი ფეხზე გადადებული, თვალები სადღაც შორს მიჩერებული უსაზღვრო სივრცეში. და შორიახლო, ზემოთ აივნიდან გიტარისა და ნანის ხმა. ირგვლივ სიჩუმე. ღმერთმა იცის რას იფიქრებ?!“

თურმე ნანი, ალექსანდრე მიქელაძის (კულაშიდან) შვილის-შვილია. კინალამ შევიშალე როდესაც გამოირკვა, შემთხვევით. მშვენიერი ქალია, რა სამწუხაროა, როდესაც მე იქ ვიყავი ჯერ კიდევ არ იყო ამქვეყნად. ამ წელს ბევრი ქართველობა ჩამოვიდა ბუენოს-აირესში. რაც გაუგონარია და უჩვეულო“... (15. 4. 1979 ლომას-დე-სამორა).



სამშობლოს თუ გრძნობ იგი ყველგან თან გახლავს. ეს სიტყვები ზედგამოჭრილი იყო პაპავა-ჭეიშვილების ოჯახზე, რომლებმაც შორეული არგენტინის ყოველ კუთხესა და კუნ-ჭულში შექმნეს მშობლიური კერის სითბო. მათთან ყოფნისას თავს ყველა საქართველოში გრძნობდა. ზღაპრული, გულითადი გარემოთი და განსაკუთრებული სიყვარულით აღვსილი იყო „შვიდეული“, როგორც მათ ლეო ჭეიშვილი უწოდებდა: ჟურ-ნალისტები — არჩილ გოგელია და ნოდარ გუგუშვილი, მსახიობი და სპორტული კომენტატორი კოტე მახარაძე, მწერალი გურამ ფანჯიკიძე, მხატვარი გიგლა ფირცხალავა, ტელევიზიის სპორ-ტული კომენტატორი დავით ქლიბაძე, გაზეთ „ლელოს“ რე-დაქტორი მიხეილ კაკაბაძე, რომელთა შესახებ ლეო ჭეიშვილი აღნიშნავდა: „ნამოვიდნენ და დაგვტოვეს აფორიაქებული. რამდენი სითბო, სიყვარული და გრძნობათა ზღვა დატოვეს ჩვენს ისედაც განანამებ გულში. რა იყო მათი შეხვედრა?

რა იყო მათი ჩვენთან ყოფნა? და მათი გამომშვიდობება? ეს მხოლოდ ქართულ სულსა და გულს შეუძლია წარმოიდგინოს. ბევრი ცრემლი დაიდვარა. დაუსრულებელი ხვევნა და კოცნა, ეს იყო რალაც უჩვეულო, ამდენი წლების ნანატრი სურათი და განცდა.

მე მადლობელი ვარ ჩემი უბადრუკი და სასტიკი ბედის, რომ ერთხელ კიდევ განვიცაადე საქართველო და ქართველთა წრე მთელი სიმძაფრით.

როდესაც ორი მონყურებული გული ერთმანეთს ნახავს, იქ სიტყვები ზედმეტია. რამდენი ტვინის დამწველი ლექსები, რამდენი გულის ამატოკებელი სიტყვები ითქვა. ძნელია ამის აღწერა“ ... (5.7.78 ბუენოს აირესი).

ეს იყო დიდი ფსიქიკური შოკი, რომელიც უნდა ნახო და განიცადო. მსგავს ემოციას დიდი ქართველი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე ასე განმარტავდა: „ადამიანის ფსიქიკა ორი პოლუსს — სევდასა და სიხარულს, სიამოვნებასა და უსიამოვნებას შორის მიმდინარეობს. ეს ორი გრძნობა, სევდა და სიხარული, ან სიამოვნება და უსიამოვნება ადამიანის ყველა განცდას მეტი თუ ნაკლები სიძლიერით, სრული სინათლით,

თუ ბუნდოვანებით, ცნობიერი გამოკვეთილობით, თუ ძნელად მისანვდომ ქვეცნობიერი დაფარულობით ემოციურობას თავისებურ ხასიათს ანიჭებს.

ადამიანის ყოველი ფსიქიკური განცდა: ინტელექტუალური, ემოციური თუ ნებელობითი აუცილებლად სევდის ან სიხარულის, სიამოვნებისა ან უსიამოვნების განუსაზღვრელ ნიუანსების გავლენას აღიბეჭდავს“.

ფრანგული დიდი ენციკლოპედია კი ასე განსაზღვრავს სიტყვა „სევდას“: „სევდა არის ფსიქიკური განცდა, რომელიც დაკავშირებულია განსაკუთრებული სახის ორგანულ მდგომარეობასთან. ეს ფსიქიკური განცდა, უპირველეს ყოვლისა, არის გრძნობა დეპრესიისა, ხან ტანჯვით და რთული, ხან ტანჯვის გარეშე.

სევდა — ნაღვლიან ელფერს ანიჭებს ჩვენს აზმყოს, წარსულსა და ჩვენს მომავალს. სევდა ხშირად წარმოიშობა იმით, რომ ესა თუ ის მოგონება, ან მოგონებათა მთელი ჯგუფი მოსვენებას არ აძლევს ადამიანს: ასეთები არიან მოგონებები ვინმეს დაშორებისა ან სიკვდილისა, ან კიდევ რომელიმე მარცხისა“ (*„კავკასიონი“*, XIII, 1968 : 115-116).

ამ მცირედი ამონარიდის შემდეგ ჩვენთვის ცხადი გახდა ლეო ქვიშვილის სულის სამარხში ჩაბუდებული სევდის მიზეზი, რომელიც მოგონებათა აკვიატებიდან გამომდინარეობდა და ქვეცნობიერი იყო.

„...ახლა ისევ ცრემლიანი თვალებით გწერ. მე მინდა სულ ვიტყვო და ამ ტირილში მივიძინო. თქვენი წასვლის შემდეგ ჩემს ცხოვრებას, ისედაც უაზროს, სრულიად დაეკარგა ხალისი და აზრი, აღარ მინდა არაფერი. შევედივარ ჩემს „სახელოსნოში“ და სულელივით მივჩერებივარ ორ სახელს, შენს მიერ ფიცარზე მინერილს. ორ სახელს და ორ სახეს, რომლებიც არ მაძლევენ მოსვენებას. დილით როდესაც განჯინას გავაღებ, ავიღებ ხელში ნანას ნახმარ ცარიელ კრემის ყუთს, რომელშიც მისი თმები მაქვს შენახული, აქ რომ მოჭრა დალაქმა, დავხედავ, ვუყნოსებ, ვაკოცებ და მონინებით კვლავ იმავე ადგილას დავდებ. ეს ჩვეულება გადამექცა, როგორც ღვთის მსახურება. ამის გარდა, ჯიბეში მიღვეს შენი და ნანას კულულები. დავხედავ, ვემთხვევი და

ისევ ჩავიდე გულთან. რად გამაჩინა ღმერთმა თუ განგებამ ასე ავადმყოფური მგრძნობიერი და საერთოდ, მთელი ჩვენი ოჯახის ნევრები.

მუხლს ვიყრი შენს წინაშე, ჩემო პატარა დაო, რომ მიუხედავად შიშისა და გულის ფანცქალისა, ჩემმა სიყვარულმა ამოდენა მანძილი გადმოგალახვინა. სამაგიეროდ, ახლა ვიცნობთ ერთმანეთს არა მარტო წერილებიდან. ერთმანეთს ჩავხედეთ თვალებში, ერთმანეთს მივაყრდენით გულები, ერთმანეთის სუნთქვას მოვუსმინეთ...

დღეს შესრულდა ოთხი კვირა, რაც ჩემგან წადით. შევდივარ თქვენს ოთახში, გავჩერდები იქ, სადაც მოგეხვეით, გადმოგეცით ერთი ვარდის კუკური, როგორც სიმბოლო განვლილი ბედნიერების და უკვდავი მოგონების. თვალდახუჭული ვდგევარ ერთხანს და მძაფრად განვიცდი უკანასკნელ გულში ჩაკვრას თქვენი სხეულისას. მერე, როდესაც ვიგრძნობ რომ მარტო ვარ, თავდახრლი გამოვალ ბაღში, რათა ყვავილებს ვანდო ჩემი მარტოობა და წუხილი“... (9.11.74. ლომას-დე-სამორა).

ლ. ჭეიშვილს მრავლად აქვს ლექსები, რომლებშიც უსაზღვრო მონატრებით გამოწვეული მისი სევდიანი განწყობილებაა გამოხატული. ასეთია ლექსი „სევდა“, რომელშიც ვკითხულობთ:

„ხელში მიჭირავს მჭკნარი ყვავილი,  
სევდით დავცქერი, მწარე ფიქრებით:  
მაღე იქნება ეს გზა გავლილი,  
ვყოფილვარ ერთხელ, აღარ ვიქნები...“

\* \* \*

ველარ მოვისმენ ფოთლების შრიალს,  
ველარ ვიხილავ კეკლუც ყვავილებს,  
ველარ დავტკბები ჩიტთა ჭიკჭიკით,  
ველარ ჩავურბენ ჩემს ტოლ ძმა-ბიჭებს.“

(14.6.1961. State College Pennsylvania).

ჩანდა, რომ ბედისწერისაგან იგი ხსნას აღარ ელოდებოდა და დებრესია აახლოებდა აღსასრულთან, მაგრამ მისი სიცოცხლისაკენ მობრუნება ერთმა ღვთიურმა ნაპერწკალმა განსაზღვრა.

„სიზმრად მოვლინებული“ და ეთერ ჭეიშვილი და მისი ქალიშვილი მსახიობი ნანა ყიფიანი თითქმის ნახევარი საუკუნის, 48 წლის შემდეგ 1974 წლის 12 აგვისტოს, ჩაიკრა გულში ემიგრანტმა ლეო ჭეიშვილმა, რომლის დაფლეთილ სულში იმ დღესაც დაუსრულებლად წვიმდა ცრემლები, ამჟამად სიხარულის ცრემლები, ღრმა გრძნობებისაგან დაღვრილი ცრემლები...

ათი წელი და-ძმის მონატრებულ გულებს მხოლოდ ბარათები ასულდგმულებდა. მათი საერთო სევდა ცნობიერიც იყო და ქვეცნობიერიც. „...თუ ჩემს ბარათებს თქვენთან მხოლოდ მწუხრი, ცრემლი და წამება მოაქვს, თქვენი ბარათები სიხარულით და სიცოცხლით მავსებს, მიგრილებენ ცეცხლოვან გულს და მგვრიან უზომო სიხარულსა და იმედის სხივებს.

განუზომელია გრძნობათა ის სიღრმე, რომელიც ჩვენს შორის, მანდ და აქ, არსებობს და ამ ქალაღლისა და ფანქრის მეოხებით ერთმანეთს ვაჩვენებთ ათასეული კილომეტრის მანძილზე. და მართალია, რომ ორივე მხარე სხვაგვარად გამოვთქვამთ ამ ბუმბერაზ და უფსკრულის ოდენა გრძნობებს, მაგრამ ერთმანეთის გვესმის, გულის და სულის უკანასკნელ ნაწილაკამდე, თქვენ ჩემი ტირილი, მე კიდევ თქვენი სიხარული და მზიანობა“, — წერდა შეხვედრამდე ორი წლით ადრე თავის დისშვილს ნანა ყიფიანს“... (30.9.72. ლომას-დე-სამორა).

ლეო ჭეიშვილის ცრემლნაპკურებ წერილებში მკაფიოდ გამოსჭვიოდა სურათი იმ ადამიანისა, რომლისთვისაც სევდას სული დაედრღნა, მწუხარებასა და დარდს სასონარკვეთილებამდე მიეყვანა. როგორც თავად აღნიშნავდა, ორი საყვარელი არსების ხილვა იყო „ბედნიერების ორი თვე — უკანასკნელი“, რომელიც დედა-შვილმა არგენტინაში დაჰყვეს.

„სამი თვე სრულდება, რაც წადი ჩემგან. ეს ყველაფერს ამბობს, რადგან იმ დღიდან რას განვიცდი მარტო დოსტოვესკი თუ შეძლებდა აღწერას. ხშირად, ძალიან ხშირად უცებ შუა სა-

ქმიანობაში შევჩერდები და აზრდაკარგული ვდგევარ. გამოვერკევი, როდესაც ტურფა ნელა ხელს დამადებს და მეტყვის: „ლეო, რაზე ფიქრობ? სად იყავი ეხლა? მე გავეუღიმებ, მოვხვევ ხელს და ვუპასუხებ, სად უნდა ვიყვე გენაცვალე, ხომ ხედავ აქ ვარ. გაიღიმებს და მიპასუხებს: „არა, ჩემო, ლეო, შენ აქ არა თუ იყავი ამ წუთს, შენი სული აქ არ არის, შენი გონება სულ სხვაგან, შენ ოჯახში, იქ შენ დებთან, შენ ეთერისთან და ნანასთან იყო. მე ბევრჯერ მეტყვის, რომ რაც ისინი ნახე, მას შემდეგ მხოლოდ ფიზიკურად ხარ აქ, გონება და სული შენი მათ დასტრიალებს. რა ვქნა სრული სიმართლეა, მაგრამ ეს ორად გაყოფა ჩემი არსის, ერთი-ორად მიმნარებს და მიძინელებს არსებობას.



და-ძმის ლეო და ეთერ ჭეიშვილების პირველი შეხვედრა.  
ბუენოს-აირესი, 1974 წლის 12 აგვისტო.

ეთერი, ჩემო ტკბილო ეთერი, რა ბედნიერი წუთები იყო შენს მკლავზე რომ თავი დავდევი, რა სითბო, რა სიტკბოება, რა დავინწყება ყოველივე მძიმესი, მწარესი, მწუხრის და ოხვრის, რა კარგი იყო. იყო, იყო, იყო, ეს საზიზღარი სიტყვა იყო“. რათ არ იცვლება ეგ სიტყვა „არის“-ით, რატომ, რატომ?! „იყო და არა იყო რა, ასე იწყება და ასე მთავრდება ზღაპარი, რომელსაც ჩვენი ცხოვრება ეწოდება“, — თავის მწვავე განცდებს ატყობინებდა დას ლეო ჭეიშვილი (16. 10. 74. ლომას-დე-სამორა).

სამხრეთ ამერიკაში დედა-შვილის სტუმრობამდე, ერთი წლით ადრე, 1973 წლის აგვისტოში ლეო ჭეიშვილის შუათანა ქალიშვილი მზია-თამარი ანუ ზიკუნა პირველად ჩამოვიდა მამისა და მის სამშობლოში. „...აგერ ოთხი კვირა შესრულდება, რაც ზიკუნა დაბრუნდა ჩვენთან. ახლაც, ამდენი დღეების შემდეგ, ვიმყოფები ისეთი ძლიერი განცდების ქვეშ, რომ მხოლოდ ცრემლები მშველიან ავიტანო ის, რაც ჩვენმა გოგონამ თან ჩამოგვიტანა. აბა, ვინ აღწერს ყოველივე ამას. ეს მხოლოდ სიჩუმით უნდა გადაიტანო, გადახარშო, მოინელო, რომ არ დაიხრჩვე“... — აღნიშნავდა ლეო ჭეიშვილი (28.9.73. ლომას-დე-სამორა).

ზიკუნა ჭეიშვილმა მამას საქართველოს სანუკვარი მიწა, ბალახები, სამტრედიისა და კულაშის სახლების სურათები, ნივთები, მეგობრებისა და ნათესავების სურათები ჩამოუტანა. და, რაც მთავარია, დიდი სიყვარული, გულუხვი სტუმარმასპინძლობით რომ გამოხატეს მის ქალიშვილთან შეხვედრისას. ცრემლით დამბალ ამალეღვებელ წერილებში ძლივს ხერხდებოდა სტრიქონების აღდგენა:

„...ნანა, ის პატარა მიწის ნაჭერი ბალახით რომ მოიტანე, ჩავრგე პატარა ქოთანში. თან დავამატე საქართველოს მიწა და რომ იცოდე როგორ გაიხარა, როგორ ამწვანდა! მთელი ჩემი სიხარული ის პანანუნა საქართველოა. ახლა ბალახი ძალიან მაღალი გაიზარდა და მეუბნებიან, რომ უნდა გადავჭრა. ვიცი, რომ უკეთესია, უფრო ამოიყრის, მაგრამ ვერ იქნა და ვერ შევეხე. ავიღებ, ვუცქერი დიდ ხანს თან ვეუბნები, რომ ძალიან ნაწყენი ხომ არ არის, ასე შორს რომ მოიყვანეს და მის მეგობრებს მოაცილეს? ვთხოვ მოითმინოს და მე გამიხადოს მეგობრად

და მე მგონია დამიჯერა, უკეთ მიხვდა ჩემს ტრაგედიას და რომ გამიადვილოს უკანასკნელი წლები აბიბინდა და გული გამიხარა“... (3.2.74, ლომას-დე-სამორა).



ნანა ყიფიანი, ეთერ ჭეიშვილი და პუსი ჭეიშვილი.  
თბილისი, 1992 წელი.

ეს ბალახი ბატონი ლეოს თხოვნით კულაშის სახლის ეზოდან აიღეს, იქ, სადაც რვა ძირი ლელვი იდგა. ქალიშვილმა მამას ჩამოუტანა აგრეთვე მისი დედ-მამისა და ბებია-ბაბუას საფლავებიდან აღებული თითო მუჭა მიწაც. თან არგენტინიდან გატანებული პატარა ბოთლი მამის ეზოში მსხლის ხის ძირში ჩაფლო, რომელშიც კბილის, ფრჩხილებისა და თმის ფერფლი იყო ჩადებული. ეს იყო ლეო ჭეიშვილის სულისა და სისხლის ყივილის გამოძახილი და, როგორც ამბობდა: „ეს სიმბოლურად — თითქოს მე — იქ ვარ, და იქ განვისვენებ“...

როგორც ზემოთ ითქვა, ლეო ჭეიშვილი 70 წლის ასაკს მიღწეული შეხვდა პირველად თავის სანუკვარ დასა და დისშვილს. ადამიანის ცხოვრებაში 70 წელი ის სიმაღლეა, საიდანაც კარგად

ჩანს განვლილი გზის მთავარი მონაკვეთი, აღმართ-დაღმართი, ავიც და კარგიც, ილუზიებიც და რეალობაც, ხელჩაქნეულობით გამონვეული განცდებიც და იმედიანი აღმაფრენაც. ამიტომ, ლ. ჭეიშვილი თავის წერილებში ცხოვრებაში გამობრძმედილი კაცის სიმაღლიდან აჯამებდა და აფასებდა თავის მოღვაწეობის განვლილ გზას უცხოეთის ცის ქვეშ, მის მისიას სამშობლოს წინაშე.

მას ბავშვობიდანვე ერთი რამ კარგად ესმოდა, რომ ამქვეყნად ადამიანის უპირველესი მისიაა, დამოუკიდებლად და შეგნებულად გახდეს ბუნების აბსოლუტური — ალტრუიზმის — ერთიანი კანონის თანაზიარი და სხვის კეთილდღეობაზე უანგარო ზრუნვის მონაწილე. ამის შესახებ იგი „სევდის სკივრის“ ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა:

„ათი წლის წინათ გავიცანი ერთი ახალგაზრდა ქართველი, რომელსაც, გასაგებია, დიდხანს ვესაუბრე. ლაპარაკის დროს აღმოჩნდა, რომ ის ცხოვრობს თბილისში იზმაილოვის 3-ში, იმ ქუჩაზე, სადაც მე ვცხოვრობდი სტუდენტობის დროს. მანვე გადმომცა, რომ იცნობდა ჩემს ყოფილ დიასახლისს და რომ ის ჯანმრთელია და კიდევ იმავე ბინაში ცხოვრობს. წარმოგიდგინია, თუ რა დიდი იყო ჩემი სიხარული. ვთხოვე ამ ყმანვილს, რომ გადაეცა მოხუცი მანდილოსნისათვის ჩემი ბარათი და თბილი მოსასხამი, რაც მან შემისრულა. ეს გავიგე კარგა ხნის შემდეგ, სრულიად მოულოდნელი ბარათის შემწეობით. ერთ დილას ვღებულობ ბარათს ვილაც მიქაძის მიერ გამოგზავნილს. გავხსენი და წავიკითხე: დავრჩი გაოცებული თვრამეტი წლის გოგონას, ნინოს მიერ არაჩვეულებრივი ქართული ენით შეთხზული ბარათით. ისე გამიტაცა ამ ბარათმა, რომ მას მოჰყვა ხშირი, შედარებით ხშირი მიწერ-მოწერა. ნინო მიქაძე არის შვილიშვილი ჩემი თბილისელი დიასახლისის. ბარათი იყო იმით სამწუხარო, რომ მატყობინებდა მის გარდაცვალებას. მწერდა მადლობას, რომ ასეთი დიდი სიხარული განიცადა მაშომ მით, რომ მე ის არ დამვიწყებია. ჩაუკრავს გულში ჩემი გაგზავნილი და აცრემლებულა. ნინო მწერდა, როდესაც უკანასკნელად



დავასვენეთ ჩემი მოსასხამი ჩაუცმევიათ და ამგვარად მიცემია საუკუნო ძილს.

ახლა რაც მთავარია ჩემო ნანა, ნინომ რამდენიმე კვირის წინათ მომწერა ვრცელი ბარათი, სადაც ეტყობოდა რომ რალაც ანუხებდა. ამიტომ, გთხოვ შეხვდე მას და ძალიან დელიკატურად და სიფრთხილით გამოკითხო რაშია საქმე“ (17.8. 78. ლომას- დე – სამორა).

სამშობლოსთან ლეო ჭეიშვილს მრავალი ჭაბუკური გატაცებები, მოგონებები და პირველი, გაუმხელელი სიყვარულიც აკავშირებდა. იგი თავის გულის ხვაშიადს და სულის სამარხის საიდუმლოს დასა და დისშვილს ჩვეული გულწრფელობით უზიარებდა:

„...მინდა გკითხოთ, შემთხვევით თამარ აბაკელიას (საფლავში კინალამ ჩამიყვანა) ხომ არ იცნობთ?! თუ იშოვი ვაჟაფშაველას წიგნს თამარის ილუსტრაციებით და გამომიგზავნით ძალიან გამახარებ. რა კარგი დრო იყო, როდესაც ერთად ვხატავდით ილიუშინთან. გვერდით მიჯდა. იმ დროს, როდესაც ის გამწარებული ხატავდა, მე გამწარებული მას ვუყურებდი ცალი თვალით. თამარი ცნობილი ხელოვანი გამოვიდა თავისი შრომით. მე კი მის ყურებაში ყველაფერი გამიძვრა ხელიდან“.

ამავე წერილში, რომელიც 1973 წლის 31 ნოემბრითაა დათარიღებული, ლეო ჭეიშვილი იხსენებდა მისი სიყვარულით განზილებულ ლუბა კვირიკაძეს: „საბრალო, როგორ იყო „დამწვარი“ და მე კი ეშმაკებში ვიყურებოდი. ეხ, „ქვეყანავ რა შიგან ხარ“. არ ჯობდა ჩამეწლო ხელი და დავრჩენილიყავ მანდ!“...

აღიარებულია, რომ სილამაზეს ყველაზე დიდი შთამბეჭდავი ძალა აქვს. ამიტომაც გასაგებია, თუ რატომ ვერ ივიწყებდა ახალგაზრდობაში გამიჯნურებული ლეო ჭეიშვილი მის სათაყვანო ქალიშვილებს ნახევარი საუკუნის შემდეგაც.

„იზმაილოვის შესახებში 3-ში პირველ სართულზე ცხოვრობდა თამარ დიდიმოვი. ამაყი, ლამაზი, შველისებრი თვალების პატრონი, მთიელი ქალიშვილი. მინდა გამოგიტყდე, რომ მას, მარტო შორიდან ვუყურებდი. ახლა გამახსენდა: ჰკითხე ილოს, თუ რამე იცის ლილი შილაკაძის ირგვლივ. ის ქალიშვილი მანიას

მეგობარი იყო და სეირნობის დროს დიდუბის ეკლესიაში გამაცნეს“...

დღემდე დედამინაზე არავითარი საიდუმლო ბოლომდე არასოდეს დაფარულა, და ჩვენც, ამ რწმენით, ეს სამიჯნურო ამბები მზის სინათლეზე გამოვიტანეთ, რადგან აკაკის თქმისა არ იყოს:

„სიყვარული ისა სჯობს, რაც ძველია,  
საუკუნო მეგობრობის მცველია“...

თან საყოველთაო ჭეშმარიტებაა ისიც, რომ არც საყვარელი ქალი არ ბერდება და სიყვარულსაც განშორება უფრო აძლიერებს. ამიტომაც, ვინც ჩვენ გვიყვარს მათზე გულში ინახება საუკეთესო მოგონებანი. ლეო ჭეიშვილის სულში ყმანვილობიდან სიყვარულის ამალღებული მოთხოვნა იყო ჩაბუდეებული, რაც აშკარად გამოკვეთილი იყო მის ქალაქურსა და მუხამბაზურ მოტივზე დაწერილ ერთ-ერთ ლექსში:

„ეს ძმობილო, რისთვის დარდობ, რად სწუხარ?  
რად იმწარებ, აგრედ მოკლე სიცოცხლეს?  
არვინ გკითხავს, ვისთვის ან რად მოსულხარ,  
ნუ იფიქრებ, ვინმე მოგხვევს ძმურად ხელს.  
გადახედე ველად გაშლილ ყვავილებს.  
თვალს სიტკბოსი წყალი დააღვევინე,  
ყური უგდე მოჭიკჭიკე ჩიტუნებს  
და სიყვარულს გული გააშლევინე!“

(25.8.72 ბუნოს-აირესი)

ამბობენ, რომ „სიყვარულს ათასობით ასპექტი აქვს, და ყოველ მათგანს თავისი სინათლე, თავისი ნუხილი, თავისი ბედნიერება და თავისი კეთილმოსურნეობა ახლავს“. ეს განწყობა ჩანდა ლეო ჭეიშვილის ერთ სასიყვარულო მოგონებაში, სადაც იგი თავის ყმანვილკაცურ გაუბედაობას წლების გადასახედიდან აქილიკებდა კიდევ:

„კულაშში ერთი მომხიბვლელი გიმნაზიელი მომწონდა. ეს გახლდათ მიქელაძის ქალი 16-17 წლის, რომლის დანახვაზე

ნერწყვს ვერ გადავცლაპავდი ისე მიშრებოდა ხახა. დარეტიანე-ბული მთვრალივით აქეთ-იქით ვედებოდი. ერთხელ დათიკომ (ბავშვობის მეგობარი) მითხრა „ბიჭო, მე რომ მენებები, იმასთან მიდი და იმას მიენებე“-ო. იცოცხლე, მე იმას მივენებებოდი, მაგრამ როგორ მომეხერხებინა ეს? ვერ იქნა და ვერა, ვერ გავიცანი. ამასობაში, კულაშში რამდენიმე ბიჭმა დავაარსეთ „სავარჯიშო ჯგუფი“, სადაც ერთი მიქელაძეც იყო. დადგა ჟამი, ჩემი ბედის გადამწყვეტი. გავიცანი კი არა მქონდა ბედი ხანგრძლივად ერთად ყოფნის. ვსერირობდით მაცხოვრის ეკლესიის ფართო, მწვანე მოედანზე.

და! აი დახედე ბედის უკუღმართობას! არ ვიცი, როგორ მოხდა (ალბათ ეკლესიის ჯვარს შევხედე იმ დროს), დავინწყე ბაასი რელიგიაზე, აქედან გადავედი მორალის ფილოსოფიაზე და იმდენი ველაპარაკე, ახალგაზრდა რაინდულ სულსა და ზნეობაზე, შენ წარმოიდგინე ვერ შევამჩნიე, ისე ამოვყავი თავი საკუთარ ხაფანგში. მასთან ერთი ის შემრჩა, რომ მკლავ-მკლავში გაყრილები დავდიოდით. ასე ბაასის დასაწყისშიც ქე ვიყავი. მივაცილე სახლამდე, და ეს კი გავბედე ხელზე ვემთხვიე, როგორც მალაღზნეობის ახალგაზრდამ. როგორ გადავრჩი არ ვიცი. ერთს კი გეტყვი, რომ ასეთი რამე, მეორეჯერ არ განმეორებულა ჩემს ცხოვრებაში“ (23.8.83 ლომას-დე-სამორა).

ლეო ქვიშვილს თავისი გაუმხელელი და უმანკო სიყვარული აქვს გაჟღერებული ლექსში „ლეგენდა“, სადაც იგი სიყვარულის სიმბოლოს - ვარდს უმღერის:

„ქარმა ტოტი შეარხია ვარდს დაეცა ცვარი.  
ვარდი შეკრთა! ცვარის კოცნა იყო უეცარი.  
კუკურები შეარხია, გაიზმორა ზანტათ,  
დილის მზეზე გადიშალა ვარდი ფიანდაზად.“

(„კავკასიონი“, XX, 1983 : 63).

ზოგჯერ მის ცხოვრებაში სევდისადმი ამხედრების მომენტებიც დგებოდა ხოლმე, თუმცა მისი ტკივილისა და ტანჯვის, მნუხარებისა და სევდის ამხედრებითი განწყობა მაინც პასიური

იყო, რადგან იგი ლეო ჭეიშვილის ცხოვრებაში არაფერს ახალს არ ქმნიდა და არც აშენებდა.

„...ეს ჩემი ოცნების სამყარო, უცებ ისეთმა წყვდიადმა დაფარა, რომ ვერაფერს ვხედავ. არ ვიცი დავიღალე, არ ვიცი უცებ მოვხუცდი. მახსენდება ერთი ჩემი ჩანაწერი:

„განა არ ყვავის ტყემალი თეთრად?!  
მაგრამ ის წარსულს ამოეფარა,  
თვალი ვერ ხედავს მას ძველებურად  
სიბერის ხავსი გადაეფარა“.

დაო საყვარელო, დაო ჩემო გულის ნატეხო და გრძნობათა მოზიარევე, მხოლოდ ის ორი თვე შენი და ნანას აქ ყოფნის იყო ჩემთვის, ალბათ, უკანასკნელი სიტკობების ნაწყვეტი ჩემის ცხოვრების გზის“, — ეთერ ჭეიშვილთან შეხვედრის ძვირფას ნუთებს ვერ ივიწყებდა მოსიყვარულე ძმა (22.4.75, ლომას-დე-სამორა).


ასე რომ, აშკარაა „სევდის სკივრის“ წერილებში ამეტყველებული პოეტ ლ. ჭეიშვილის ჩივილი, პასიური პროტესტი, თავისი თავის სხვის მიერ შეცოდება, უსამართლოდ მიყენებული ტანჯვისა თუ ამ ტანჯვის სიმძიმის გახშიანება საბოლოოდ მხოლოდ და მხოლოდ აღიარება იყო და სხვა არაფერი.

„ემიგრაციაში სამშობლოს ხსენება ყოველდღიურად კი არა ყოველწუთიერად მეორდება, მისი მოგონება არ ასვენებთ, ეს ის სიყვარულია, რომელიც ასე დამჩნევია გულს და თავს არ ავიწყებთ,“ – აღნიშნავს პროფესორი და ემიგრანტული შემოქმედების მკვლევარი რუსუდან ნიშნიანიძე თავის წიგნში საქართველოში სამანს „აქეთ“ და სამანს „იქით“ (ნიშნიანიძე, 2008 : 386).

იგივე აზრია გაჟღერებული ლეო ჭეიშვილის ერთ-ერთ წერილშიც:

„...ჩემო კარგო ნანა, როცა მზიკუნა ჩამოვა შენ მოგიტანს სულ უზრალო მოსაგონარს ჩემგან. „დისკზე“ მღერიან ბელაფონტე და ნანა. მღერიან ბერძნულად. როდესაც სტუმრები ნავლენ, მაშინ აიღე ეს დისკი და პირველი გვერდის მესამე სიმღერა, დუეტი ბელაფონტესა და ნანასი მოისმინე. მოიქეცი

ასე: შენ დაჯექი მყუდრო ადგილას, სიმღერის მოსმენის ნინ წაიკითხე ეს ბარათი და ჩემი „სიზმარი“, შემდეგ თხოვე მზიკუნას მესამე სიმღერაზე დააყენოს, გათავდება თუ არა, ამის შემდეგ სხვას ნულარ მოუსმენ რამეს. ეს არის ჩემი ლოცვა ჩემი დაკარგული მშობლიური მიწის მიმართ. ლოცვა უკანას-



**დგას — ტარასი შანავა,  
სხედან: ირაკლი მაჭარაშვილი და თამარ პაპავა.  
ნინა რიგში პუსი-ტურფა და მარიამ ჭეიშვილები.  
ლომას-დე-სამორა. 1974 წელი.**

კნელი დაკარგული სიყვარულის, რომელიც მანდ დარჩა და რომელსაც მე ვერასოდეს ვიხილავ და განვიცდი“... (31.3.75, ლომას-დე-სამორა).

მართალია, ლეო ჭეიშვილს ტანჯვა და მწუხარება პირადი „მე“-სკენ მიმართავდა და განდგომითი ცხოვრებისაკენ უბიძგებდა, მაგრამ ის მაინც არ შორდებოდა საქვეყნო საქმეს და

აბსოლუტურ ეგოიზმში არ იძირებოდა.

მისი ძალისხმევისა და აქტიურობის შედეგი იყო პაპავების მიერ გერმანიაში ნაყიდი ისტორიული ფარდაგის სამშობლოში დაბრუნებისთვის ზრუნვა.

„...საყვარელო ნანა, გარდა იმისა, რომ თქვენი ნახვა ძალზე მნადია, რადგან ეს ნახვა შეიძლება სამუდამო გამოთხოვებას დაემთხვეს, კიდევ მისთვის არის სასურველი, რომ შესაძლოა სიონის ნივთის წამოღებაც თქვენ მოგიხდეთ. ამის ირგვლივ გთხოვთ ფიცს, რომ არავითარი სიტყვა არ იქნება თქვენგან დაძრული“... (13.10.86. ლომას-დე-სამორა).



**სიონის საკურთხეველის გადასაფარებელი**

შემთხვევითობისა და აუცილებლობის ნებამ განაპირობა ის, რომ ისტორიული ფარდაგის ჩამოტანის პატივი წილად ხვდა ბატონ რეზო თაბუკაშვილს, რომლის მამის — შალვა თაბუკაშვილის ნამონაფარი გახლდათ არნოლდის გიმნაზიაში სწავლის დროს ლეო ჭეიშვილი. ფარდაგი 39 წელიწადი იყო დასვენებული პაპავების ოჯახში.

„...ჩვენ გვიჭირს მისი მოცილება და ამ ადგილზე სიცარიელის ყურება. ახლა გვინდა ეს ჩვენი სამკაული, ეს ჩვენი საუნჯე, ეს უნიკალური განძი საქართველოსა გადმოგვცეთ და ჩაგაბაროთ... ბედნიერება გვქონდა ჩვენს ჭერქვეშ შეგვენახა იგი და უფრო მეტი ბედნიერებაა ახლა ეს წავიდეს იქ, სადაც მისი ისტორიული ადგილია. იცოცხლოს საქართველომ მარადის, სანამ კაცობრიობა იქნება და ბედნიერი იყოს თქვენი და ამ ჩვენი საუნჯის საქართველოში მგზავრობა“, — ასე დალოცა

ლეო ჭეიშვილმა ეროვნული რელიკვიის სიონის საკურთხე-  
ვლის გადასაფარებლის სამშობლოში დაბრუნება, რომელიც  
1773 წელს იყო მოქსოვილი, დღეს ეს ფარდაგი ხელოვნების  
სახელმწიფო მუზეუმშია დასვენებული და დაცული.

ასევე დიდი იყო ლეო ჭეიშვილის დამსახურება აკაკი და  
თამარ პაპაევების იმ პირადი არქივის საქართველოში ჩამოტანის  
საკითხის გადაწყვეტაში, რომლის ნაწილი პირველად ჩვენთან  
ჩამოიტანა პროფესორ პაატა ნაცვლიშვილმა, ხოლო მათი  
დანარჩენი ნაღვანიც ამ დღეებში დაბრუნდა საქართველოში  
– და საბოლოოდ მან საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული  
ცენტრის ფონდში დაივანა.

ლეო ჭეიშვილი მეცნიერი და პოეტი თავის მძიმე პროზაულ  
ცხოვრებას მარტო ფრთიან სტრიქონებს როდი ანდობდა. იგი  
დიდ ტკივილს ფერთა გამაშიც გამოხატავდა ხოლმე. რადგან,  
თუ გინდა სხვას აგრძნობინო, უპირველესად თვითონ შენ უნდა  
გრძნობდე ძლიერ და ამასთან, მხატვარი პოეტიც უნდა იყო,  
ფილოსოფოსიც და სწავლული ადამიანიც.

„...რა აუტანელია, როდესაც „რამდენი რამ გრჩება ადამიანს  
უთქმელი“, რომელიც გახრჩობს. იგივე სახეები, იგივე ადგილი,  
ჩემთვის მუდამ უცხო და აუტანელი... დაჯვები ჩემს სკამზე,  
დავალაგე ხელები და დავინყე ფიქრი. ფიქრები ჯვარზე გაკრულის.



და-ძმა ნანა და თემურ ყიფიანები. შუაში საშა ჭეიშვილი  
(თამარ და აკაკი პაპაევების უმცროსი  
ქალიშვილის მზიას მეუღლე)


...ჩავაცქერდი კენის და აბელის ჩემს ნახატს. დახატულს, როცა ჯერ კიდევ 30-ის არ ვიყავი. ვუცქეროდი ჩემს საკუთარ სურათს და ვფიქრობდი, რომელი ვარ „კენი“ თუ „აბელი“?! (10.4.75. ჩემი ბიურო).

მისი ფერწერული ტილოები და გრაფიკული ნამუშევრები უხვად ამშვენებდა და დღესაც ამშვენებს როგორც თავის, ისე შვილებისა თუ ახლობელთა ოჯახების კედლებს.

„ჩვენი ბალის შუა გულში ყვავის იაპონური ატამი, რომელიც მხოლოდ ყვავილებს იძლევა, ხილს არა. ეს არის რალაცაუნერელი მშვენება. დიდი თეთრი ყვავილებით სრულიად გადაპენტილი — ნამდვილი პატარძალია. გიგზავნი პატარა ესკიზს, უცებ ახლა მოხატულს, რომ წარმოდგენა გქონდეს“ (15.7.1973 ზუენოს-აირესი).

ცნობილია, რომ ლ. ჭეიშვილი ბევრს ხატავდა. იგი ყველაზე მეტად გატაცებული იყო გრაფიკით.

აქ ერთი რამ შეიძლება ვთქვათ, გაუსაძლის მონატრებას სამშობლოსადმი და ტკივილს ახლობლებთან დაშორებაზე, შემოქმედი სულის ადამიანი საკუთარ არსებაში შთანთქამდე მიჰყავდა და როგორც შემოქმედებითი ფსიქოლოგიის შემსწავლელები მიუთითებენ, სწორედ საკუთარ სულში ჩაღრმავებაა შემოქმედებითი გახსნის სათავე, სწორედ ამ მუდმივმა ნოსტალგიამ ამოამზეურა ლ. ჭეიშვილის სულიდან შემოქმედების მრავალი ნიმუში.



კრისტალური მინერალების კოლექცია



ლ. ჭეიშვილის დასურათებული იყო სამხრეთ ამერიკაში დაბეჭდილი თავისი სიმამრის აკაკი პაპავას ყველა ნიგნი. მის ოჯახში ასევე ინახებოდა მინერალების მთელი კოლექცია.

სახვითი ხელოვნებისადმი მამის ნიჭი და გატაცება გამოჰყვა ლეო ჭეიშვილის უფროსს შვილს ნინოს, რომელიც პროფესიონალი მხატვარი და მრავალი გამოფენის ავტორი გახლავთ არგენტინაში.

ლეო ჭეიშვილის დიშვილმა ნანა ყიფიანმა ერთი საინტერესო ინფორმაცია მოგვანოდა. მისი განმარტებით, ცნობილი ქართველი ემიგრანტის ავთანდილ მერაბაშვილის ინიციატივითა და დაფინანსებით სანტიაგო-დე-ჩილეში დაბეჭდილი გუსტავო დე ლა ტორეს მიერ ესპანურად თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ნიგნის პერსონაჟთა ილუსტრაციების გარკვეული ნაწილი ნინო ჭეიშვილის მიერ იყო შესრულებული.


ამ ფაქტს საქართველოს გ.ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ფონდში დაცული თამარ პაპავას 1963 წლის 19 იანვრით დათარიღებული წერილიც ადასტურებს. ავტორი ავთანდილ მერაბაშვილის დას სარას სიხარულით აუწყებდა: „ისპანურათ მალე გამოვა „ვეფხისტყაოსანი“, — გვწერს ავთანდილი. ზოგი ილუსტრაციები ჩემი შვილიშვილის, ფიქრისა ნახატია“... (პაპავა, ფონდი 28 03/ 14).



ლეო ჭეიშვილის გრაფიკული ნამუშევრები

ნინო ჭეიშვილს, ჩანდა შინაურები ფიქრის ეძახდნენ. მართლაც, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ესპანურად თარგმნილ „ვეფხისტყაოსნის“ წიგნში შეტანილია ნინო ჭეიშვილის ოთხი ილუსტრაცია (63, 94, 309, 1300), რომელსაც ქართულ და ესპანურ ენებზე ნინო ჭეიშვილის სახელი აწერია. ნ. ჭეიშვილის ილუსტრაციები დაბეჭდილია ცნობილი ქართველი მხატვრების ირაკლი თოიძის, სერგო ქობულაძის, ლადო გუდიაშვილის, თამარ აბაკელიასა და უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის ნამუშევრების გვერდით. ესპანურენოვან „ვეფხისტყაოსნის“ ბოლოსიტყვაობაში წიგნის დამფინანსებელი ავთანდილ მერაბაშვილი აღნიშნავდა: „ქართველი მხატვარი ნინო ჭეიშვილი ემიგრაციაში დაიბადა. იგი არის შვილიშვილი ცნობილი ისტორიკოსისა და პოლიტიკოსის აკაკი პაპავასი, რომელმაც ხელი შეუწყო და დაეხმარა აკადემიკოსს გუსტავო დელა ტორეს ამ წიგნის თარგმანზე.“

ზემოთქმულთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს 1963 წლის 22 მაისით დათარიღებული თამარ პაპავას წერილი: „ბატონმა ტორესმა მის მიერ გადათარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ აკაკის წაუკითხა ბოლომდე და ესეც ძალიან კმაყოფილი დარჩა... თარგმანი უმთავრესად თეთრი ლექსით არის შესრულებული. აკაკის აზრით: თარგმანი ზუსტია და საკმაო მუსიკალობითაა შესრულებული. ძალიან დიდი შრომა გაუწევია ბატონ დელა ტორეს, რომელსაც აუთვისებია რუსთაველი, მაგრამ ბევრს მოიგებდა და უფრო სრულყოფილი გახდებოდა, რომ მთარგმნელი ქართულს დაუფლებოდაო. ვიკტორს, რასაკვირველია, დიდი შრომა გაუწევია თარგმნის დროს ყოველი სიტყვის ახსნაში და თვითეულ აზრის განმარტებაში. აკაკის აზრით ამ დიდ შრომას ნახალისება აკლია და რადგან უდიდესი მნიშვნელობა აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ესპანურ ენაზე თარგმანს, ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ამგვარი „ნახალისება“ საქართველოდან ყოფილიყო. ეს მთარგმნელსაც ალაფრთოვანებდა, ენერგიას გაუასკეცებდა და თარგმანის საბოლოო რედაქციაც დიდის დანიანაურებით დასრულდებოდაო.



**მხატვარ ნინო ჭვიშვილის მიერ შესრულებული, გუსტავო დე ლა ტორესის  
ესპანურად თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ წიგნის ილუსტრაციები**

ასეთი დიდი განძის ესპანურ ენაზე გამოცემა, — ენაზე, რომელსაც პირველი ადგილთაგანი უჭირავს და რომელზედაც მრავალი მილიონიანი სახელმწიფოების ერები ლაპარაკობენ და სწერენ ამერიკა — ევროპაში, — რასაკვირველია, უზადო უნდა იქნეს თარგმანის მხრივო“ (პაპავა, ფონდი 28 103/19).

ამკარაა, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის დიდი ეროვნული საქმე პაპავა-ჭვიშვილების თითოეულ წევრს გათავისებული ჰქონდა, რადგან მათ ესმოდათ, როგორც წარსულში ხელოვნებამ და მწერლობამ გააღვიძა ქართველთა მიძინებული აზროვნება, ისევე ახლაც უმთავრესად ხელოვნებასა და ლიტერატურას უნდა ეკისრა ჩვენი ერის სულიერი აღდგომა.

ლეო ჭვიშვილმა თავისი სიყრმის შვილის ნინოს დაბადებას მიუძღვნა მეტად გულწრფელი და პოეტური სტრიქონები:

„თებერვალია, მზე აფრქვევს სხივებს,  
ლაჟვარდოვან და უსაზღვრო ცაში,  
ჰაერში ფრინავს მწვანე პეპელა,  
ვით მოწყვეტილი ფოთოლი ქარში...“



**ლეო ჭეიშვილის უფროსი შვილი —  
მხატვარი ნინო ჭეიშვილი**

მამა-შვილს სულიერი და პროფესიული მეგობრობა აკავშირებდათ ბუენოს-აირესის გარე უბანში ლომას-დე-სამორაში მეზობლად მცხოვრებ ქართველ ემიგრანტ მხატვართან ლადო სააკაძესთან. მისი ნამდვილი გვარ-სახელი ერასტი იაშვილი იყო. მან დაასურათა არგენტინაში გამომავალი ქართული ჟურნალი „მამული“. მისი ფერწერული ტილოები სხვადასხვა პერსონალური გამოფენების დროს გაყიდული „თავისუფლება“, „SOS“, „მონსენიორ შელის“ პორტრეტი და სხვა, ახლა სამხრეთ ამერიკის სხვადასხვა ქალაქებში განაგრძობენ სიცოცხლეს.

ლ. სააკაძე 40 წელი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა არგენტინაში, სადაც შუშის ქარხნის მხატვრული დეკორაციების მუშაობაზე დაიხარჯა მისი უბადლო ნიჭი. საბედნიეროდ, იგი მშობლიურ ფესვებს შემოქმედებითად დაუბრუნდა. ლადო სააკაძის რამდენიმე ნახატი პროფესორ გურამ შარაძის მცდელობითა და ზრუნვით დღეს ხელოვნების მუზეუმს ამშვენებს.



**დგანან: ნანა ყიფიანი და ლეო ჭეიშვილი.  
სხედან: ტურფა პაპავა-ჭეიშვილისა და  
მხატვარი ერასტი იაშვილი.**

ჭეშმარიტად ასეა, როგორც კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „პიროვნება ისე ქრება, როგორც ქვიშაზე გადავლილი ქარის ნაკვალევი, რჩება მხოლოდ შემოქმედება“.

ცნობილია, რომ „...მეორე მსოფლიო ომში ტყვედჩავარდნილი თუ თავისი სურვილით გერმანელთა მხარეს გადასული 40000-ზე მეტი ქართველი ევროპაში დარჩა და შეუერთდა პირველი ტალღის პოლიტიკურ ემიგრაციას. 40-იანი წლების ბოლოს და 50-იან წლებში კი გერმანელებთან თანამშრომლობისათვის რეპატრიაციის შიშით ბევრი ამერიკაში, კანადასა და ავსტრალიაში გადასახლდა. ბევრმა ლათინურ ამერიკას მიაშურა და საფუძველი ჩაეყარა სათვისტომოებს არგენტინაში, ბრაზილიაში, ჩილეში, პერუში, ვენესუელასა და სხვა ქვეყნებში“ ... (დაუშვილი, 2007 : 43).

ყველაზე მეტი ლტოლვილი არგენტინამ მიიღო. მისი პრეზიდენტი ხუან პერონი ნაციონალისტებს განსაკუთრებით უთანაგრძნობდა. ქართველების დიდი ნაწილი ბუენოს-აირესის გარე უბანში ლომას-დე-სამორაში დასახლდა, მათ შორის, პა-

პავა-ჭეიშვილების მრავალსულიანი ოჯახი. 1950-იან წლებში აქ 100-კაციანი ქართული დიასპორა არსებობდა, რისგამოც 1950 წლის 29 ოქტომბერს არგენტინაში ქართული სათვისტომო — „არგენტინაში მყოფ ქართველთა საზოგადოება „წმინდა გიორგი“ დაარსდა. მის თავმჯდომარედ აირჩიეს ცნობილი მეცნიერი, მკვლევარი, რუსთველოლოგი და ჟურნალისტ-გამომცემელი ვიკტორ ნოზაძე, ხოლო საპატიო თავმჯდომარედ — აკაკი პაპავა. ქართველთა კრებამ შემდეგი შინაარსის მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ქვეყნის პრეზიდენტს: „ქართველები დამკვიდრებულნი ამ ქვეყანაში და აქ დღეს შეკრებილნი, რათა შექმნას გამგეობა, რომელიც წარუძღვება საზოგადოების (სახელი „წმინდა გიორგი“) ბედიბალს, აღფრთოვანებულნი პერონისტების მიზნებით, მიესალმებიან მის აღმატებულებას ნაციის პრეზიდენტს გენერალ ხუან პერონს და მის ღირსეულ მეუღლეს, ქალბატონ დონარია ევა დე პერონს.“ ამგვარივე დეპეშა გაეგზავნა ბუენოს-აირესის გუბერნატორს მერკანტესაც.

ბუენოს-აირესის გუბერნატორ მერკანტესაგან საზოგადოების თავმჯდომარემ, ბ. ა. პაპავამ საპასუხო წერილი მიიღო, რომელშიც გუბერნატორი ქართველებს მფარველობას აღუთქვამდა“ (ჟურ. „მამული“, 1, 1951: 30).

გამგეობის არჩევის დღეს იუწყება ჟურნალი „მამული“ „ბ. ლეო ჭეიშვილი თავმჯდომარეს სთხოვს რიგს გარეშე მას განცხადების ნება მისცეს. ლ. ჭეიშვილი კრებას მოახსენებს იმ თანხის შესახებ, რომელიც მან შეაგროვა გენერალ სან-მარტინის ძეგლზე გვირგვინის დასადებად. თავმჯდომარე ბ. ა. პაპავამ აღნიშნა გენერალ სან მარტინის დიდი მნიშვნელობა არგენტინის განმათავისუფლებელ ბრძოლაში. სან მარტინი არის, სთქვა მან, სიმბოლო ერთა განთავისუფლებისა და ამიტომ ქართველებისათვისაც დიდად საპატიო პიროვნება. მოწოდების თანახმად კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა გენერალ სან მარტინის ხსოვნას“... (ჟურ. „მამული“, 1, 1951: 30-31).

ქართველმა პოლიტიკურმა ემიგრანტებმა თავისი ეროვნული სულით, ეროვნული შეგნებით, გრძნობით, ზნეობრივი ერთობით, თვითშეგნებით, ეროვნების იდეათა ერთობლიო-

ბით იმთავითვე დაიმსახურეს არგენტინის პრეზიდენტის ხუან პერონის ყურადღება და პატივისცემა, რადგან თავისუფალი ერის საკითხში ისინი ერთ საერთო იდეას აღიარებდნენ, რომ „ბუნებით ყველა ერი თანასწორია. ბუნებამ ყველა ადამიანი თანასწორად გააჩინა, ამ გვარადვე ყველა ერი თანასწორია“ (ქრისტიან დე ვოლფი).

აღსანიშნავია, რომ ლათინური ამერიკის ხალხის წინაპრები უძველესი ცივილიზაციის მატარებელი ტომები: აცკეტები — მექსიკაში, მაია — იუკატანის ნახევარკუნძულზე, ინკები — პერუში, ჩიბჩა — ჩრდილო კოლუმბიაში იყვნენ. ამ ხალხებიდან მხოლოდ სამს ჰქონდა დამწერლობის ჩანასახები: აცკეტებს, მაიასა და ინკებს, რომლებმაც ჩამოაყალიბეს სახელმწიფოებრივი ფორმაციები. XVI საუკუნეში მათი ბუნებრივი განვითარება ევროპელთა ექსპანსიამ შეწყვიტა. მაშინ ცეცხლითა და მახვილით შემოჭრილ კონკისტადორებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, თუ რა უჩვეულო და დიდებულ კულტურულ ფენომენს დაუსვეს წერტილი.

ბუნებრივია, აქიდან გამომდინარე დამპყრობთა წინააღმდეგ ესპანური ამერიკის ქვეყნების ხალხებმა მრავალ საუკუნოვანი ბრძოლა გააჩაღეს ეროვნული, პიროვნული და სოციალური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

„დრომაც მათმა განთავისუფლებისამ მოაღწია და პირველად 1810 წელს ბუენოს-აირესში, კარაკასში და მექსიკაში დაიწყო ნამდვილი აჯანყება. მათ ერთი დიდი აზრი ამოძრავებდათ, — სრული ჩამოშორება ესპანიის მონარხიისაგან და დაარსება საკუთარი სახელმწიფოთა... 1824 წელს სამხრეთ ამერიკა უკვე თავისუფალი იყო, რომლებიც შემდგომ მიიღო საერთაშორისო სამართალმა თავის მფარველობის ქვეშ, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფონი,“ — აღნიშნავდა ცნობილი მეცნიერი მიხაკო წერეთელი თავის ნაშრომში „ერი და კაცობრიობა“ (წერეთელი, 1990:145-146).

არგენტინელების მსგავსად „ქართველობა მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ღელავდა. აჯანყება მთიულეთისა, კახეთისა, იმერეთისა, გურიისა, აფხაზეთისა, ქიზიყისა და მთელი სამოცი წლის განმავლობაში ბრძოლა, კავკასიის მთის მცხო-

ვრებთა იმას მოწმობს, რომ ჩვენცა გვექონია გრძნობა ჩვენ უფლებათა დაცვისა, განსაკუთრებით ქართველებსა გვაქვს კანონიერი უფლებაც ავტონომიური ცხოვრებისა, რომლის გარანტიაც ჩვენმა რუსეთთან ხელშეკრულებამ მოგვცა“, — წერდა მიხაკო წერეთელი იმავე ნაშრომის მეათე თავში, სადაც განხილული იყო „ერის უფლება“ (წერეთელი, 1990:150).

პარალელები, ქართველი ერისა და არგენტინელი ხალხის ცხოვრებიდან გვაძლევს დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ მათ: „სავსებით, სინამდვილითა და სისწორით ჰქონდათ შეგნებული ეროვნული იდეა და ნამდვილი უფლება ერისა, რაც აშკარად გამოიხატა მათ ურთიერთ პატივისცემასა და ერთმანეთთან თანაცხოვრებაში“ (წერეთელი, 1990:151).

1951-53 წლებში არგენტინაში გამოდიოდა ამერიკის კონტინენტზე პირველი ქართული ბეჭდური ორგანო ჟურნალი „მამული“, რომლის რედაქტორი გახლდათ ვ. ნოზაძე. ერთი წლის შემდეგ სათვისტომოს თავმჯდომარედ კვლავ ვ. ნოზაძე აირჩიეს. გამგეობის წევრთა შორის იყო ლეო ჭეიშვილიც. ბოლოს სათვისტომოს ხელმძღვანელობდა ესეისტი თამარ პაპავა. არგენტინის ქართული სათვისტომოს გამგეობა ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა. მათ შორის ჩართული იყო ქიმიკოსი და მეცნიერი ლეო ჭეიშვილიც, რომლის მოხსენებები — „მატერია და მისი შინაგანი სტრუქტურა“ თუ სხვა, დიდ ინტერესს იწვევდა.

იგი ჟურნალ „მამულის“ ყოველ ნომერს სოლიდური თანხით აფინანსებდა. მან ასევე მიიღო მონაწილეობა 1968 წლის 14 იანვარს პარიზში „მიუზე სოსიალი“-ს დარბაზში გამართულ საზეიმო ღონისძიებაში, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავს მიეძღვნა. ლტოლვილობაში მყოფ ქართველ მეცნიერთა და მწერალთა საპატიო კომიტეტის შემადგენლობაში ირიცხებოდა ლეო ჭეიშვილიც. „ბუენოს-აირესი: ბ. ლეონიდე ჭეიშვილი — დოქტორ-ინჟინერი, დეპარტამენტის დირექტორი არგენტინის მინერალოგიის ინსტიტუტში“, - აქ ლ. ჭეიშვილმა უნივერსიტეტზე ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული „პატარა მოგონება“ წარმოადგინა“ („კავკასიონი“, XIII, 1968: 8).



„სევდის სკივრის“ ყავლგაუსვლელი წერილებიდან მრავალ საინტერესო ამბების გარდა, ერთი ჭეშმარიტი აზრიც ჩვენს თვალწინ ჩამოიძერწა, რომ „ბედნიერ მონობას, უბედური თავისუფლება სჯობია“.

ისეთი მაღალი ღირსებებისა და ღირებულებების მატარებელ მამულიშვილისათვის, როგორც პროფესორი და პოეტი ლეო ჭეიშვილი გახლდათ, ნაციონალური დამოუკიდებლობის, მთლიანობისა და თავისთავადობის პრობლემა მუდამ აქტუალური და მტკივნეული იყო. „მთელ საბჭოეთში კი, სადაც ჯოჯოხეთის ცეცხლი გიზგიზებდა, ამაზე ფიქრი და ოცნებაც არავის შეეძლო. კაცმა არ იცოდა ხვალ რა მოხდებოდა. ვისი თავი დაგორდებოდა. ქვეყანა ერთიან საკონცენტრაციო ბანაკად იყო ქცეული“ (სიგუა, 200 : 221).

კომუნისტური იდეოლოგიით მომხამულ საქართველოში დაბრუნება უეჭველად სიკვდილს ნიშნავდა, ამიტომაც ირეოდნენ ლეო ჭეიშვილის სულსა და გონებაში სამშობლოში ვერდაბრუნებისა და უსაშველო მონატრების ტკივილები, რის გამოც დარდი სახეზე გაშლილი წიგნივით ეწერა:

„მომაგონდება რაც იყო ძველად,  
თვალზე მოვისვამ ქურდულად ხელებს  
და შევიმშრალე შეუმჩნეველად, ჩამქრალ  
ლოყებზე დადენილ ცრემლებს.

„რამდენი ბოღმა, ტკივილი, დაგუბებული დაუღვრელი და დაღვრილი ცრემლით არის სავსე ჩემი ეკლიანი გზა!..“ — წერდა იგი. ლეო ჭეიშვილს უცხოეთში მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ლამპრად წინ მხოლოდ და მხოლოდ სამშობლო ქვეყნისა და თავისი ერის უანგარო სიყვარული უძღოდა.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ ორად გაყოფილმა სამყარომ ერთ მხარეზე დააყენა ევროპისა და ამერიკის თავისუფალი, განათლებული ქვეყანა და მეორეზე — გავლენურებული რუსეთი, რომელთა შორის ხიდნატეხილობის წინააღმდეგ იბრძოდა ემიგრაციაში მოხვედრილი ქართული ეროვნული პოლიტიკური და მეცნიერულ-კულტურული ძალები, რათა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური სივრციდან გამოეხსნათ საქართველო.

„...დროს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია ის, რომ მტრის დამარცხება უეჭველია, მისი დასასრული გარდაუვალია. ქართველი ერი სწორედ ასე შორს იხედებოდა და ამიტომ ქედი არ მოიხარა გამარჯვებულთა წინაშე. ის დარწმუნებულია მტრის დაცემაში, მის დარღვევაში, მისი ბოროტების აღმოფხვრაში და ეს რწმენა მას ამხნევეს, ასალკდევეს“, — მოძღვრავდა პოლიტიკურ ემიგრაციას საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას.

და, როგორც აკაკი პაპავა აღნიშნავდა მასზე: „ჩვენ გვევა-  
ლება მისი ანდერძის წმინდად შენახვა“...

ამ იმედითა და რწმენით ცოცხლობდა გლობუსის მეორე მხარეს, ოკეანის გაღმა ლეო ჭეიშვილი, რომელიც წინაპართა ლანდებს შორიდან ელაციცებოდა და მისი ცხოვრება იყო დაუსრულებელი მირაჟი და მოგონებები...

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ რწმენის გარეშე არც მონობის ატანა შეიძლება და არც თავისუფლების შენარჩუნება. როგორც პავლე მოციქული ამბობდა: „თავისუფლებისათვის ხართ, ძმანო, ხმობილნი, მაგრამ ხორციელი განცხრომისთვის ნუ მოიხმართ თავისუფლებას, არამედ სიყვარულით ჰმონებდეთ ურთიერთს.“

ლეო ჭეიშვილი თავისუფლებას ყოველთვის უყურებდა, როგორც სინმინდეს, სიყვარულისა და სიკეთის განსახიერებას.

„...გამოგვიჭედეს ყური დემოკრატებმა. აუტანელნი გახდნენ ამ დემოკრატიისა და დემოკრატიული თავისუფლების ხსენე-  
ბით. დიდი სიმპათია კარგა ხანია აღარ მაქვს დემოკრატების, მაგრამ ახლა ყოველ საზღვარს გადასცილდა. შენ წარმოიდგი-  
ნე, ამ იდიოტებს ჰგონიათ, რომ თუ ამ სიტყვას ახსენებენ, სა-  
მოთხის კარები გაეხსნებათ. საბრალონი,“ — წერდა ნანა ყიფი-  
ანს (13.10.1986 ლომას-დე-სამორა).

ცხადია, ლ. ჭეიშვილს აღიზიანებდა ხორციელ სურვილთა დასაკმაყოფილებლად გამოყენებული თავისუფლება და დემო-  
კრატია, რადგან მას ეს ორი ცნება თავისუფლება და დემოკრა-  
ტია გაღატაკებულად, უშინაარსოდ და უხეშად მიაჩნდა ჭეშმა-  
რიტი თანადგომისა და ადამიანთა საზოგადოების გარეშე.

...ღვთის ნებით, ლეო ჭეიშვილი საქართველოში თავისუფლების ზარის სანატრელ გუგუნსაც მოესწრო:

„...ხედავ, ერთი შემოკვრით როგორ შეიცვალა და აირია ყველაფერი? ვინ იფიქრებდა ამას და აბა, ვინ იცის თუ როგორ გათავდება ყოველივე ეს? როგორ იშლება ეს უზარმაზარი იმპერია? მაგრამ ჯერ ნაადრევია საბოლოო აზრის გამოტანა. დიდი დაკვირვება არის საჭირო. განსაკუთრებით დიდი სიფრთხილე და ჩაფიქრება მართებს ქართველ ერს. შეიძლება ეს დიდი სისხლი დაგვიჯდეს, რაც ჩვენთვის მომაკვდინებელი აღმოჩნდეს შესაძლოა“, — აფრთხილებდა ლეო ჭეიშვილი თანამემამულეებსა და ახლობლებს.

არგენტინიდან ერთი წლის შემდეგ გამოგზავნილ წერილში მზია პაპავა-ჭეიშვილისა აღნიშნავდა: „...საქართველოს ამბები ყოველ დღე სწერია გაზეთებში, ტელევიზიაში აჩვენეს სესია — დამოუკიდებლობის გამოცხადება. ისმოდა ქართული ჰიმნი. გადავირიეთ. ყველაფერს დრო უნდა. ღმერთი იყოს ჩვენი შემწე და უშველოს ჩვენს სამშობლოს“... (14.9.91 ლომას-დე-სამორა).

„გარდაგვხდენია ბრძოლა მრავალი, ტანჯულმა სულმა არ იცის დაღლა“ — ეს სიტყვები ეკუთვნოდა ნოე ჟორდანიას, რომელმაც პოლიტიკურ ემიგრაციაში მთელი თაობა აღზარდა. და ეს სიტყვა — საქმე წინასწარმეტყველური გამოდგა.

საქართველოში მიმდინარე ქართველებს 9 აპრილის ტრაგედიას, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას, აქედან გამომდინარე, დიდ ემოციურ განცდებს ლეო ჭეიშვილის ობოლმა სულმა და სევდიანმა გულმა ველარ გაუძლო.

ცხადია ძნელია, სამშობლოს გარეშე ცხოვრება, ბრძოლა და მით უფრო სიკვდილი, სხვისი საქმისათვის ქართული სისხლის განირვა.

სამშობლოსათვის ჯვარცმულმა მამულიშვილმა ლ. ჭეიშვილმა, ჯერ კიდევ 1962 წლის 20 ივლისს დაწერა თავისი ანდერძი:

„...დადგა დღე ჩვენი განშორებისა,  
აქვითინებულს სიტყვა მიწყდება.  
გთხოვთ მოიგონოთ სახელი ჩემი —  
იმედი მაქვს არ დაგავიწყდებთ?!“

მინდა შენ განდო, რაც დავიბადე,  
მსურს იქ ვიძინო უკანასკნელად,  
გთხოვთ, მოაყაროთ ჩემს მშობელ მინას,  
სხეული ჩემი, ქცეული ფერფლად!“...

„...სხელში მიჭირავს დედისა და მამის საფლავებიდან აღებუ-  
ლი მინა ერთად ნინო ბებიას და იოანე ბაბუას საფლავებიდანაც  
ნამოღებული — უწმინდესი და უძვირფასესი განძი, რაც გამაჩ-  
ნია. როდესაც დრო მოვა, ეს მიწები ჩემს ფერფლს შეუერთდება,  
რომ ისევ დავბრუნდე, იქ და მათთან ვისაც ვეკუთვნი და საიდა-  
ნაც მოვდივარ“...


„...1990 წლის ერთ საღამოს, ბუენოს-აირესის, ალვეარის თეა-  
ტრში რეჟისორ რობერტ სტურუას მიერ დადგმული ბრეტის  
„სიმონა მაშარის სიზმრების“ სპექტაკლის შემდეგ, მრავალტან-  
ჯული ემიგრანტის ლეო ჭეიშვილის მაჯისცემა შეწყდა. სულმა,  
მისმა პოეტურმა სულმა, თავად ჰპოვა მარადიული სასუფეველი  
ზეციურ საქართველოში, ხოლო მისი დაქანცული სხეული ან-  
დერძის თანახმად, არგენტინაში დაფერფლეს, რომლის ძვირ-  
ფას ნიშას მისი შთამომავლები მალე სანუკვარ მშობლიურ მინას  
მიაბარებენ.

1990 წლის 1 ნოემბერს პარიზში გამომავალი პერიოდი-  
კის „გუმაგის“ 23-ე ნომერში ეწერა: „წელს 1 ნოემბერს ღრმად  
მოხუცებული, ლომას-დე-სამორაში (ბუენოს-აირესის პროვინ-  
ცია, არგენტინა) გარდაიცვალა ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი  
ლეონიდე (ლეო) ჭეიშვილი. ადგილზე დაიკრძალა დროებით და  
ანდერძის მიხედვით გადასვენდება სამშობლოში“.

„მუდამ მიყვარდით და მეყვარებით!  
თქვენ განაცვალე ბთ ამ გულის ძგერას!  
ცრემლმორეული ჩამოვკრავ სიმეხს,  
და გიმღერთ ჩემი „გედის სიმღერას“.

ასე მთავრდება ლეო ჭეიშვილის ლექსი „ცხოვრების ფურცლები“.  
ლეო ჭეიშვილმა სამშობლოში 21 წელი იცხოვრა. სამჯერ  
მეტი, 64 წელი, კი საქართველოს გარეთ. ყველაზე დიდხანს  
არგენტინაში დაჰყო.

ამ ხნის მანძილზე მას ყოველწუნთს თავისი მშობლიური კუთხე-კუნჭული, დები, მშობლები, ტოლ-მეგობრები და ეზო-კარმიდამო ელანდებოდა, მაგრამ ეს მირაჟი იყო და არა რეალობა. „მე ვარ შენთან, - სალომესთან, თამართან, ლიუდმილასთან, ნათელასთან, ქეთოსთან. ჩვენს დაუვინყარ და სათაყვანებელ დედასთან, მამასთან და ბებია ნინოსთან. ჩემს წინ დგას ის სურათი ისე ხელუხლებელი, როგორც დავტოვე.“



ლეო ჭვიშვილი

1988წ.  
 ჩივი დასეკე ამ ყოველი  
 შეე ვაძეყეყეთ 2!  
 ქაა იღ ხეჭეყეყა შეე თბოთი  
 ხეჭეყე, ხოჭეყეყა 1999 წელს  
 ღოთ იჭეყე (თიეყე) შენთო-  
 ზონ ჯიბეშეყე? აქეა  
 გახეა ქს. ეშოყეყეყეყე  
 შეეყე, აქეშო და აქეხოლოთ, აქე-  
 თიეგეოთ ყე ხეჭეყეყეყე  
 და ჩივი შენთან გათბოთ, აქეა-  
 ეჭეყეოთ თიეყე იე შეეყეყეი ქოყეყე  
 ასეოდათა თონ-შეე ღეეი ეახე

... როგორ არიან ოდილავაძეები? (ოდილავაძეები წინო ბებიას ძმისშვილები იყვნენ). სიყვარულით სალამი მათ და მადლობა მათთან გატარებული მშვენიერი დროისათვის. ყველანი ჩემთან არიან, ვინც არის და ვინც არ არის. ყველას სახეს ვუცქერ, ყველას ხმა მესმის, ყველა ისე იღიმის, როგორც ამ ნახევარი საუკუნის წინ...

...ჩემი ლოცვა დაწოლის წინ არის, თხოვნა ბედისადმი: დამაძინოს და ნუ გამაღვიძებს. ეს არის ჩემი ერთადერთი სურვილი.

სადმე ქუჩაში დავეცე და ბრბოს დროს გასატარებელი გავხდე, ეს კი არამც და არამც არ მინდა. მინდა ჩუმად, წყნარად დავიძინო, ისე როგორც დედიკოს მკლავზე მედო თავი და ბავშვური სიმშვიდით მეძინა. მაპატიე, მაპატიე ეთერიკო!

იმედი მაქვს ეს უკანასკნელი სიმი ჯერ კიდევ ერთხანს გაძლებს, სანამ განწყდება და ჩემს სულს ჩემს მინას მიაბარებენ,“ — წერდა 1979 წლის 21 მარტს ეთერ ჭეიშვილს.

სამშობლოსათვის ცოცხლად დაკარგული მამულიშვილის ნოსტალგია და დიდი სევდა-ტკივილია ჩაქსოვილი ლეო ჭეიშვილის 1962 წელს დაწერილ ლექსში „გამოთხოვება“:

„ასე თავდება ჩემი სიცოცხლე,  
შორს შენგან სადღაც, გადაკარგულის.  
ოხ! ერთხელ მაინც კიდევ მენახე,  
მანამ შეწყდება ძგერა ამ გულის!  
ველარ გავუძელ უშენოდ ყოფნას —  
სიყვარულის ცეცხლს შენთვის ანთებულს  
და ამ კოცონზედ დამწვარს, დაფერფლილს  
შენ შემოგწირავ ჩემს სულსა და გულს!  
მშვიდობით დედა! მშვიდობით მამა!  
დაუვინყარნო დანნო მშვიდობით!  
გთხოვთ მაპატიოთ ნაბიჯი მცდარი  
და მომიგონოთ მშობლის შენდობით.  
მშვიდობას გეტყვით თქვენც მეგობრებო:  
ბურჩებო, ხენო და ყვავილებო,  
ლეღევ, წისქვილო და ტყის ბილიკო,  
გულთან შეზრდილნო და საყვარლებო.“

აუღელვებლად ვერ შეძლებ, რაც უნდა გულებს ადამიანი იყო, ლეო ქვიშვილის ლექსებისა და წერილების კითხვას. სად იყო ამდენი სასონარკვეთილებამდე მისული სევდა ამ ერთ კაცში ასე დაუსრულებლად ჩაბუდებული?!

ყოველი მისი სტრიქონი ისეთი სასონარკვეთილებითაა გაჟღერებული, ემიგრანტი და სამშობლო დაკარგული კაცი რომ არა, სხვა ვერ დასწერდა მას, საკუთარ წერვების ასპექტში გაუფლელად; რადგან სულ სხვაა რაიმე მოვლენის უშუალოდ შეგრძნობა და მისი უშუალოდ განცდა.

ლეო ქვიშვილი ერთი იმ პირთაგანი იყო, რომელმაც საკუთარ მხრებზე გამოსცადა სამშობლოდან გადახვეწილისა და მიუსაფარის ცხოვრების სიმძიმე. ამიტომაც არის ალბათ მისი „გამოთხოვება“ თუ „აღსარება“ ასე გულწრფელი და მისი განცდები ასეთი მწველი.

მართალია, ლ. ქვიშვილის ლექსები ქართული პოეზიის ნიმუშებს არ წარმოადგენენ, ალაგ-ალაგ არის სუსტი ადგილებიც, მაგრამ მისი ეს ნაკლებოვანებები იფარება აზრის სიღრმით, განცდების სიჭარბით, სისადავით, უბრალოებით, გულწრფელობითა და ბუნებრიობით, რითაც იგი ახალი და ორიგინალური შტრიხებით ავსებს თანამედროვე ქართული მწერლობის უმდიდრეს საგანძურს.

ლეო ქვიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლამ ასე თუ ისე ნათელი წარმოდგენა მაინც შეგვიქმნა, არა მარტო სამშობლოსაგან დაშორებული ერთი პიროვნების ტრაგიკულ ადამიანურ ხვედრზე, არამედ საზოგადოდ მთელი ჩვენი პოლიტიკური ემიგრაციის ბედსა და მდგომარეობაზე, რომლებიც შორეულ უცხოეთში ათეული წლების მანძილზე უმნიშვნელოდ ინახავდნენ და აცოცხლებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას, თავისუფლების დიდ ეროვნულ მუხტს.

სამშობლოს სიცოცხლისა და ბედნიერი მომავლისათვის მებრძოლ ლეო ქვიშვილს, მთელ პოლიტიკურ ემიგრაციასთან ერთად, „ღრმად სწამდა და სჯეროდა, რომ საბოლოოდ ყოველგვარი ბურუსი გაიფანტებოდა, ნებისთი თუ უნებლიეთ დაშვებულ შეცდომებსაც, როგორც გრიგოლ რობაქიძე თავის

ანდერძში იბარებდა, — შეუნდობდნენ და უცხო მიწაში ჩაყინულ მის ძვლებს ბოლოს მაინც ქართული მიწა ჩაიკრავდა გულში, გაათბობდა და მისი წიაღის ღვიძლ ნაწილად აქცევდა.“.

ორი საუკუნით ადრე ქართველთა მიერ „პატარა კახად“ წოდებული მეფე ერეკლე აცხადებდა: „დარიალის ხეობის კარს მე კი არა, დრო აღებსო“. სწორედ, ასევე მოვიდა დრო, დრომ რომელმაც სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს პოლიტიკური ემიგრაციის თავისუფლებისათვის სწრაფვის დაუოკებელ ბედისწერას... ამასთან თავი მოუყაროს მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში მთელ მსოფლიოში გაფანტულ ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა ნაშრომებს, მათ ნაფიქრ-ნააზრევს, ეპისტოლარულ თუ მემუარული ჟანრის ლიტერატურას.

ვიდრე ჯერ კიდევ არ დამდგარა ეს დრო, ვიდრე ჩვენს პლანეტაზე კვლავ იბრძვის, იტანჯება და ილუპება ფარისევლობითა და გულგრილობით გაქედილი ხალხი, ვიდრე საქართველოში ისევ არსებობს ბოლშევიკური ყელყელაობა და საბჭოთა ადამიანის მენტალიტეტით დაღდასმულთა ზეობა, რომელთაც არ აინტერესებთ მომავალი თაობის აზრი, რამაც სიცოცხლე გაუმწარა და უსამშობლოთა ბედკრული ცხოვრება, მოღალატეთა იარლიყი არგუნა სამშობლოს ერთგულ პოლიტიკურ ემიგრაციას, მანამ უნდა მოვუსმინოთ და ჩავიხედოთ ლეო ქვიშვილისნაირ მამულიშვილთა სულში, მათი „სევდის სკივრის“ წერილებში, სადაც ბევრ ჭეშმარიტებას მივაგნებთ. ამას ჩვენგან მთელი პოლიტიკური ემიგრაცია მოელის.

ამ მწვავე პრობლემათა ირგვლივ ჩვენგან ასევე სიმართლესა და სამართლებრივ შეფასებას მოითხოვს საბჭოთა ხელისუფლების მიერ გადასახლებულ, ნაწამებ, დახვრეტილ მილიონობით უდანაშაულო მსხვერპლთა სახელით ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქალიშვილი თამარ (ციცნა) ჩოლოყაშვილიც: „... ყველამ თავ-თავისი გზით იარა — იუდას მრევლმაც, ღმერთის სამწყსომაც, დრო გავიდა, მაგრამ მან ვერ განკურნა ჩვენი სისხლიანი წარსულის მწარე წყლულები, იგივე კითხვა დღესაც გვანუხებს, და რომ თუ იარებს ვერ მოგვიშუშებს, ამ კითხვაზე პასუხი მაინც უნდა გაგვცეს...“ (შარაძე, 1989: 95).



... ამ ზოგადით აიხსნება, საშურო საქმის მცირე ხელშეწყობის მიზნით, ჩვენს მიერ ამ მონოგრაფიის გამოქვეყნება და დანიშნულება. რამეთუ „არიან მოვალეობანი მოქალაქისა საზოგადოების წინაშე, მოყვასისა მოყვასის წინაშე და ცხოვრების გზას იგი განვლის სრულის ღირსებით, ვისაც ძალუც განსაზღვრულ დროს შესაფერი მოვალეობა აღასრულოს, — თუ გინდ ეს მოვალეობის აღსრულება მისი სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვასაც მოითხოვდეს...“ (ნერეთელი, 1990: 320).

ამ თვალსაზრისით, ჩემი კვლევა, მრავალ ნაშრომთა შორის ერთ-ერთი ნაბიჯია ემიგრაციის რთული ცხოვრებისა და ისტორიული მნიშვნელობის გარკვევის გზაზე.

„...მანამ მოდით, გაშალეთ ეს ძველი წერილები და წარსული მკვდრეთით აღდგება. რამდენი სამსახურის განევა შეუძლიათ ამ „ძველ წერილებს“ მკვლევარებისათვის, რამდენი ადამიანის და მათი ზრახვის ამეცყველება შეიძლება ამ გზით!

„...ყველას, ვისაც ეს სიძველე მოეპოვება, როგორც არ უნდა იყოს, მართებს გახსნას ეს სკივრი, შემოაცალოს აბრეშუმის ძაფი ამ ძველ წერილებს და ჩვენც ჩაგვახედოს ამ ფურცლებში, დაგვატკბოს — ძველი საუნჯის სუნიტ, გადაგვიშალოს წარსულის ფერადი ხალიჩა, ძველი ცხოვრება გაგვაცნოს ამ ძველი ქართველობისა.

რა დიდ სამსახურს გაუნევედა ჩვენს კულტურას? ვინმე რომ თაოსნობას იკისრებდეს და ამ ძველ წერილებს შეაგროვებდეს!... შემდეგ თავისთავად გამოჩნდებიან ისეთნი, რომელნიც მის გარჩევას და შეფასებას მიჰყოფენ ხელს. ამავე დროს, ეს იქნებოდა ღრმა და ლამაზი პატივისცემა გარდასულ თაობათადმი და — მათი გაცოცხლება“ („თეატრი და ცხოვრება“, 15 (3) (371) 1925).

ასე მიმართავდა ახალგაზრდობას ესეისტი ემიგრანტი ქალი თამარ პაპავა თავის მინიატურაში „ძველი წერილები“. მისი და ჩვენი აზრითაც, „ძველი წერილებისა“ თუ „სევდის სკივრის“ გახსნა ახალ აღფრთოვანებათა წყაროდ იქცევა ყველასათვის — ძველი თუ ახალი თაობისათვის...

ჭეშმარიტად, ეპისტოლარული მემკვიდრეობა შემოქმედებითი პროცესის განსაკუთრებული სფეროა. მას ემიგრანტული

მემკვიდრეობის კვლევისას, მართლაც, რომ განსაკუთრებული როლი ეკისრება, რადგან ყოველი პირადი ბარათი თუ სულ მცირე ნაწერიც კი მკითხველსაც იზიდავს და თავისთავადაც უნიკალურ დოკუმენტურ მასალასაც წარმოადგენს.



„ის კი დარჩა შინ — მე კი დავიკარგე“...  
ლეო ჭეიშვილი

და, ეს ჩვენი ნაშრომიც, არგენტინიდან გამოგზავნილი წერილების თანამედროვეთა მიერ შეფასებისა და საზოგადოებისათვის გაცნობის პირველი ცდაა, რადგან უცხოეთში მოღვაწე ქართველ მწერალთა და შემოქმედთა სულიერი საგანძური ჯერ კიდევ არაა ადვილად ხელმისაწვდომი და მათი სახელები ისევ ჩრდილშია მოქცეული. არადა, ამ პრობლემების გადაჭრა ქართული მწერლობისა თუ მეცნიერ-მკვლევართათვის და საერთოდ, ქართული კულტურისათვის ფრიად მნიშვნელოვანია.

დასასრულ, ბოლშევიკების მიერ თავის სამშობლოშივე პოლიტიკურ ემიგრანტად ქცეულ, დევნილ და რეპრესირებულ მწერლის ლევან გოთუას სიტყვებს გვინდა დავესესხოთ:

„... ჰე-ჰეი ჩემო ქვეყანავ, მაინც მადლობელი ვარ, რომ მაცოცხლე, მაყვარე, მაბრძოლე და მასალაბუნე.“

და, ამ მაჟორული განწყობით გვინდა დავასრულოთ „სევდის სკივრის“ ზღაპარიც, რომლის წერილებით ასე ახლობელი გახადა ლეო ჭეიშვილმა ჩვენთვის შორეული არგენტინა – და თან მეცნიერულ და მხატვრულ შემოქმედებასთან ერთად, თავისი გენისმიერი უკვდავებით: შვილებით, შვილიშვილებით და შვილთაშვილების სახით მარადისობისაკენ მიმავალი ქართული გენიც დაგვიტოვა.

მოდ

## ბ ო ლ ო ტ ი მ ა

„ადამიანის ცხოვრება მცენარისას ემსგავსება, როგორც უცხო ადგილას დარგული ვარდი ვერ იხეირებს, თუ მას მშობლიური ნიადაგი ხელოვნურად მაინც არ გაუჩინეს, ასეა ადამიანი უცხო ქვეყანაში ფესვგამხმარი და მიფშენეტილი.

უდიდესი წყევლაა და ღვთის რისხვა, თუ ადამიანმა თავისი სამშობლო დაკარგა. ის ველარსად გაიფურჩქნება და მისი არსებობა, თუნდაც იოლად გასული და დაღბნილიც კი, ფუჭი და სულიერ ძალას მოკლებული იქნება. ჩვენ ყველანი წარსულთან ისეთი უხილავი ძაფებითა ვართ გადაბმულ-ჩაქსოვილნი, რომ მას ვერავითარი ძალა ვერც მოსპობს და ვერც შეცვლის. აი, სწორედ ამით განსხვავდება ადამიანი პირუტყვისაგან.

თითქმის ნახევარი საუკუნეა რაც უცხოეთში ვარ. ჩემდაუნებურად, აქ ბევრი რამ არის გონებისა თუ თვალთახედვისათვის საყურადღებო და მისაბაძი, მაგრამ ჩემი გონება ადვილად უსხლტება აქაურობას, წარსულში გადადის და თავსდება თავის არეში. მხოლოდ იქ პოულობს თავის მე-ს, საიდანაც მაქვს სულიერი საზრდო, ავიცა და კარგიც, ტკბილიცა და მწარეც ერთი მეორეს რომ ცვლის,“ — წერდა თავის „მოგონებების“ წინასიტყვაობაში ემიგრანტი სოფიო კედია (**SaraZe, 1993:447**).

ამ აზრის ნათელ სურათს წარმოადგენს ჩემი მონოგრაფია, რომელიც მიეძღვნა სამხრეთ ამერიკაში მოღვაწე ცნობილ მეცნიერს, პოეტსა და მხატვარს ლეონიდე (ლეო) ჭეიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ქართული მწერლობის ამ უპრეტენზიო წარმომადგენლის პოეზია მივიწყების ღირსი არ არის თუნდაც იმიტომაც, რომ მან დაგვიტოვა 70-ზე მეტი ლექსი, რომლებიც ნამდვილად იმსახურებენ მეტ ყურადღებასა და სათანადო ადგილის მიჩენას ქართულ ემიგრანტულ მწერლობაში.

წინამდებარე ნაშრომი ლიტერატურათმცოდნეობაში ამ ხარვეზის შევსების მცდელობაა. მასში შესული ლეო ქეიშვილის დღემდე უცნობი ნერილები, ლექსები და ფოტოები გადმოგვცა ლეო ქეიშვილის უმცროსი დის ეთერ ქეიშვილის ქალიშვილმა ნანა ყიფიანმა, რომლებსაც ავტორი მათ თბილისში ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში უგზავნიდა.

მასალის მოპოვებაში დიდად დაგვეხმარა ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი ჭადრაკში ნანა ალექსანდრია, რომელიც პირადად არაერთხელ იყო ნამყოფი არგენტინაში, იცნობდა ლეო ქეიშვილის ოჯახსა და მის ახლობელთა წრეს საქართველოშიც.

ნაშრომში შევეცადეთ პუბლიკისათვის დღემდე ჩრდილში მყოფი ემიგრანტი ლეო ქეიშვილი წარმოგვედგინა, როგორც მეცნიერი და შემოქმედი, რათა ამ კუთხით გაგვეფართოებინა არა მხოლოდ ფართო მკითხველ-აუდიტორიის, არამედ სპეციალისტთა წარმოდგენაც ქართული ემიგრანტული კულტურულ-ლიტერატურულ სამყაროს შესახებ.

მონოგრაფიაში წარმოდგენილი ლექსებით, მოგონებებით, თარგმანებითა და ეპისტოლეებით თუ რამდენად შევძელით ყოველივე ამის გადმოცემა, ამის განსჯა მკითხველისათვის მიგვიწევს. უმთავრესი აქ ისაა, როგორც ქალბატონი სოფიო კედია ამბობდა: „თუ ოდესმე ჩემი ნაამბობი მისწვდება იმას, ვინც ძველი თაობის სიძულვილშია აღზრდილ-დავაჟკაცებული, ურიგო არ იქნება გაცენოს ძველ ამბებს და იმაში მაინც დარწმუნდეს, რომ ჩვენ თაობას სამშობლოს ტკივილები საკუთარ ჭირად მიგვიჩნევია, მაგრამ თუ მის იარებს სამკურნალო მალამო ვერ აღმოვუჩინეთ, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ჩვენ ძალ-ღონეს აღემატებოდა“...

და, ჩვენც ამ რწმენით და იმედით გამოგვაქვს ლეო ქეიშვილის შემოქმედება პირველად მზის სინათლეზე...

**მარიამ მარჯანიშვილი,  
2012 წელი, გიორგობისთვე.**

*რექსები, ნემოკლები, ნივნები და  
ფოტო-ნაგავსებები*

**ლეგენდა**

ქარმა ტოტი შეარხია. ვარდს დაეცა ცვარი.  
ვარდი შეკრთა! ცვარის კოცნა იყო უეცარი.  
კუკურები შეარხია, გაიზმორა ზანტათ,  
დილის მზეზე გადიშალა ვარდი ფიანდაზად.

მას დილის მზემ სხივი სტყორცნა, სხივი ოქროს ფერი  
და მის სითბომ ააჟრჟოლა ვარდი მშვენიერი.  
გადაშალა მან მანდილი, წითელ შვინდისფერა.  
და სინაზით, მორცხვით მზისკენ მან დაიწყო ცქერა.

და, აინთო ოქროს ფერად ვარდის გულზე ცვარი —  
და უმანკო სიყვარულის იშვა ნაპერკალი.  
ქარმა მყისვე შეამჩნია სიყვარულის ალი  
და ზუზუნით წასჩურჩულა სიტყვა იდუმალი.

ვარდს ლოყები აუწითლდა, მორცხვად გაიღიმა  
და ნიავის მან ჩურჩული გულში ჩაიწვინა.  
შეკრთა ცვარი! ვარდის ფოთოლს მოსწყდა ბედიტ კრული;  
ობოლ ცრემლად დაენვეთა მინას, განწირული.

და მის შემდეგ თუმცა ცვარი მაინც ეტრფის ვარდებს  
და მის გულში ოქროს სხივებს მუდამ ანავარდებს.  
მაგრამ დიდი სიყვარული, სიყვარული წმინდა,  
მოკვდა მასში და ცრემლებს ძეგლად გადაიქცა.

**State College Pennsylvania 29. 11. 60**

## დედას

ვუძღვნი ჩემს დედას მარიამს (შვიდი შვილის დედას!)  
ჩემს გულის მეგობარს ტურფას (ხუთი შვილის დედას!)  
და ყველა დედებს განურჩევლად რასისა და ეროვნებისა!

დედაო ჩვენო! რომელმაც გვშობე და დღის სინათლე  
მზისა გვაჩუქე!  
დედაო ჩვენო! რომელმაც ცხრა თვეს ნასახი შენი გულქვეშ  
გვატარე!  
რაოდენ ცრემლით, რაოდენ შიშით და სიხარულით მომავალისა,  
შენ მოგველოდი, გრძნობით ჩვენს სუნთქვას და დღეს  
უცდიდი სასწაულს.

დედაო ჩვენო! უსაყვარლესო, უძვირფასესო, ყოველი არსის!  
დედაო ჩვენო! ჩვენთვის ტანჯულო და შინაარსო  
ამ წუთისოფლის!  
შენი ტკივილი აბა ვის ესმის? აბა! ვის ესმის მწუხრი მაგ გულის?  
გაჩენის დღიდან შვილზედ ფიქრებში განანამების და  
დაქანცულის!

... თეთრ სარეცელზე მისვენებული, ღონე მიხდილი  
ტკივილებისგან,  
საბრალო დედა ფერმკთალი სახით (შიში გამოკრთის მის  
თვალებიდგან)  
წევს და მოელის სასწაულს ცისას, ახალ სიცოცხლეს მის  
სხეულიდგან  
და პატარასთვის გამზადებული, რძე ჟონავს ტკბილი  
ძუძუებიდგან.

და ერთხელ კიდევ მწარედ აკვნესდა ქალი შვილისთვის  
ჯვარზედ გაკრული;  
და მისი სახე მზეს დაემსგავსა, სახე ნანამი დაცრემლებული.  
როს შემოესმა უსუსურის ხმა, რომელიც იყო ცხრა თვეს  
მალული,  
და ეხლა დედა მან გაახარა და აუძგერა სიამით გული.

ტიტანიური ბრძოლა გასწიე, მხოლოდ დედისთვის მინიჭებული!  
იმ დღიდან რაც შენ ორსული გახდი, შენში აძგერდა მეორე გული  
შენ არ იცოდი არც დღით სიმშვიდე და ღამით კიდევ თვალების  
ლული,  
მანამ დასრულდა ლოდინი მძიმე და მოგიწვინეს ჩვილი სხეული.

შენი ამდენი ტანჯვის ნაყოფი, არის სიცოცხლე ახლად შობილი  
და ეს სიცოცხლე მხოლოდ შენია, დედაო! მხოლოდ შენთვის  
კუთვნილი;  
შენი სხეულის ის ნაკვეთია და შენი გულის არის ნაწილი  
შენივე სისხლით ის ნაშობია და შენი ცრემლით არს გაბანული.

— შენ დაივიწყე ამდენი ტანჯვა, ამდენი კვნესა და ტკივილები  
და შვილის ხილვით სიხარულისგან აცრემლებული გქონდა  
თვალები.  
მას მოეხვიე ტკბილის ღიმილით ძუძუს ჩაიკარ მისი ხელები  
და წმინდა ლოცვა გულში წარმოსთქვი: შვილო იცოცხლე  
მრავალი წელი.

და ამ წლების გასწვრივ რაც მოხდა, რაც შენმა გულმა  
გადაიტანა,  
ეს შეუძლია მხოლოდ დედის გულს და შვილისათვის მისი ატანა.  
ცხოვრების მძიმე, ეკლიან გზაზედ, რომც დაეუფლოს მას  
თვით სატანა,  
შენ გინერია მისთვის სიცოცხლე და სიკვდილამდე მისი გატანა!

სანამ აკვანში გენვა პატარა და სიყვარულით უმღერდი ნანას,  
დღე-ღამე გქონდა გასწორებული, ანაცვალე მას  
მთელს ქვეყანას.  
ტკბებოდი მისი უმანკო ხედვით, ისმენდი „აღუს“ მის  
პირველ ენას,  
ამოჭრილ „კიჭით“ აღტაცებული არად აგდებდი ძუძუზე კბენას.

დედა ვეფხვივით შვილს ამოუდექ, დამცველი ხელი გადააფარე;  
ვერავითარმა ძალამ შეგაკრთო, თვით სიკვდილს ფარად  
ამოეფარე!



ასე იბრძოლე შენი შვილისთვის; ბევრი წამება გამოიარე,  
თავგანწირული სიერთაგულისთვის შენ უკვდავების გზა გაიარე.

გადაიქროლა წელთა ნიავემა, მას გაყვა ბევრი შენი ფიქრები.  
სდგეხარ სარკის წინ გაოცებული და სევდიანად შორს იცქირები.  
დანაოჭებულ სახეს გადუსვი შრომით დაღლილი შენი ხელები;  
შევერცხლილ თმებმა „რაღაც გაცნობეს“, მწუხრით აივსო  
შენი თვალები.

ასე გავიდნენ შენი წლები... გაკვირვებული თავს ეკითხები:  
ნუთუ ეს იყო მთელი ცხოვრება? ნუთუ დასრულდნენ ჩემი  
დღეები.

შენ! შვილს შესწირე გული და გრძნობა, მისთვის იღვროდა  
წმინდა ცრემლები;  
შორს ჩაგიარა შენმა ცხოვრებამ და დაგრჩა მხოლოდ მწარე  
ფიქრები...

ჩავიკრავ გულში საყვარელ ხელებს, ხელებს უდროოდ  
შრომისგან დაღლილს,  
და დაგიკოცნი თვალებს სევდიანს და დარდებისგან სახეს  
გამოცვლილს,  
უკანასკნელი სულის მოთქმამდე, შენ სიერთაგულით უვლიდი  
შენ შვილს  
და ერთხელ კიდევ მაგრად ჩავიკრავ, ვიდრე იძინებ საუკუნო  
ძილს.

წყეული იყოს ვინც ერთგულება და თავდადება არ დაგიფასოს!  
წყეულ არს, ის, ვინც დედის სახელი ღრმა მოკრძალებით არ  
იხსენიოს!

შეჩვენებული ამიერიდგან, ვინც დედას თვალი ააცრემლინოს!  
და შერცხვენილი, ვინც ვერ გაბედოს სიკვდილის ცოდვა  
მოინანიოს.

შენს სახეს დედა თან დავატარებ, როგორც ხატებას ჩემს  
სიკვდილამდე  
კურთხეულ იყოს სახელი „დედა“, უკუნითითგან უკუნისამდე.

**State College Pennsylvania 9.12.60**

## საყვედური

ტოტზე შემოჯდა ჩიტი ბელურა  
და ჭიკჭიკს მოყვა მწარე გოდებით,  
რად დაგვივინყე? — მისაყვედურა,  
ამდენი ხანი მოგელოდებით.

შენ დაივინყე დედის ცრემლები,  
უკანასკნელი შეხედვა მისი.  
გულდაკოდილი ჭიშკართან მდგომი  
გრძნობდა, რომ შვილმა გასტეხა ფიცი.

შენ აღარ გახსოვს შენი სოფელი  
და საყვარელი ნინო ბებია  
ცრემლ გაბანილი, შენზედ მლოცველი  
ერთხელაც კი არ გაგხსენებია!

გახსოვს მაცვალის ბურჩი ჭიშკართან  
და ხეივანი ტყემლის ხეების?  
შენთვის ძვირფასი სურათი სოფლის  
და სუნი ბებოს ხაჭაპურების.

რად მიგვატოვე რატომ წახვედი,  
რისთვის დაგვტოვე, იმ წყეულ ღამეს?  
ნუთუ ფიქრობდი უცხო მხარეში  
შენ იპოვნიდი უკეთეს რამეს?!

ვისმენდი მწუხრით, ჩიტუნას ჭიკჭიკს,  
ბელურას ჩვილს სიყრმის მეგობრის  
და ვიხსენებდი ბავშვობის ხანას  
თითქოს უგულოდ მიტოვებულის.

ამგვარ ჰანგებზე ბელურა ჩიტი  
მიჭიკჭიკებდა და მაგონებდა:  
წარსულ სურათებს, საყვარელ კუთხის,  
გაკვირვებული თან დამეძებდა.

რასაც იკვნესი, არის ტყუილი!  
მეც აქ ტანჯვის გზა გამოვიარე.  
მინდა მიუგო — მიტირის გული  
და დაკოდილმა დავიღრიალე.

და შეფერთხილდა პატარა ჩიტი —  
დაეშვა ჩემი ოცნების ფარდა  
ზეცას შეხედა, მორთო ჭიკჭიკი  
და მზის სხივებზე გაინავარდა.

და მას თან გაყვა ოცნება ჩემი,  
ნახვის სურვილი მშობელი კუთხის,  
ახალგაზრდობა იმედ მომცემი  
და ერთხელ ხილვა მაყვალის ბუჩქის.

State College Pennsylvania 21. 4. 1961

## უიგედო ცრემლები

(ნიკოლოზ ბარათაშვილს)

დიდო ქართველო! წავიდა ის დრო,  
როცა იმედი კიდევ სუფევდა;  
როცა შენს გულში, აკვნესებულში  
მომავლის ცეცხლი მაინც ღვივოდა!

შენი მერანის „გზა გათელილი“  
ბალახ — ბულახით გადაიზრდება;  
ამდენი სევდა, ამდენი ფიქრი  
უფსკრულ წყვდიადში ჩაიძირება!

შენ შემოგნატრი „იმედის“ მქონეს,  
რომ „გზა თელილი მაინც დარჩება“!  
და თუ არ იღწვის ადამიანი  
თავის სოფლისთვის, მკვდარს ემსგავსება.

შენი ცრემლები, სევდით დაღვრილნი,  
შენს მშობელ მინას მაინც ერთვოდა;  
შენი ღრმა გული, ატირებული  
შენს კარმიდამოს თავს ევლებოდა!

მე კი შორს, სადღაც გადაკარგული  
და მონყვეტილი სიცოცხლის ფესვებს  
დავსტირი ჩემს ბედს და ბედს სოფლისას  
და გულში ვიდვრი მონოლილ ცრემლებს.

ჩემში არ ღვივის იმედის ცეცხლი,  
ცრემლების წვიმამ სრულად ჩამიქრო —  
მე აღარ მჯერა არც ღვთის, არც კაცის  
და ბედის ჩარხზე რაღა ვიფიქრო?

აღარ მყავს შენებრ ბედის მერანი,  
აღარ გავკივი „გასწი, გაფრინდი“!  
სულს და გულს ბურავს მწარე ფიქრები,  
ვით განწირულსა სიკვდილის ბინდი.

„სული ობოლი“ დარჩა მარტოკა,  
დიდ სამყაროში არარად ქმნილი —  
რის მაქნისია თვით ეს სამყარო,  
ან რისთვისა ვართ ჩვენ გაჩენილი?

გათავდეს ერთხელ ეს „უაზრობა“!  
მოკვდეს „სიცოცხლე“ და ამ სამყაროს  
მოეღოს ბოლო, დასრულდეს ტანჯვა,  
„დიდი სიჩუმე“ გადაეფაროს!

**State College Pennsylvania 25. 7. 1961**

## ფიქრი შუბინდავისას

(ჩემს კულამს)

მიყვარს სოფელი შელამებისას —  
მიდამოს ბინდი მოეფინება;  
მთვარე გადმოღვრის ვერცხლის ნაკადებს, —  
დალლილ ბუნებას მიეძინება.

სადღაც, შორს, ისმის ჭოტის ძახილი,  
სიო შეარხვეს ალვის ხის ტოტებს, —  
და ჩემი გულიც სევდით დალლილი,  
ფოთოლთ შრიალში სიმშვიდეს პოვებს.

მე მომინდება მაშინ მარტოკას,  
ნიავის „ძველი“ სიმღერის სმენა;  
ის მაძლევს შვებას, მხოლოდ ის მესმის —  
მე მესმის მხოლოდ ბუნების ენა!

რა მარტივია! რა გასაგები  
ეს იდუმალი ბუნების კვნესა,  
თუკი მას ეტრფი და შენი გულიც  
მისსა წიაღში გამოიკვესა!

თუ ერთგული ხარ შენი პირველი  
უმანკო ხედვის განცდილ სურათის,  
არ დაგვიწყნია შენ მწვანე ველის  
ყვავილთ სიტურფე ნაირ ფერადის!

თუ არ გამხდარხარ ყოველ-დღიური  
ბინძურ ცხოვრების საბრალო მონა —  
„ვერცხლში“ გასცვალე ყოფნა ციური  
და შენი სულიც მას დაემონა!

შენ ველარა სცნობ მშობელ ბუნებას!  
შენ აღარ გესმის მისი ჰანგები.  
შენ უღალატე სოფლის მშვენებას  
და ვით „ადამი“ დაიარები!

ვერ გამიგია შენი პასუხი,  
ენა ბოროტი, ნალველით სავსე.  
ჩემთვის ის მუდამ უცნობი დარჩა  
და ნაცნობ ჰანგებს ვერ მივამსგავსე.

სხვაგვარ მეტყველებს მოვარდნილ ქარის  
ხის წვეროებში მძლავრი გრიალი;  
შებინდებისას გრილი ნიავის  
ფოთლებთან ტრფობის ხმა იდუმალი.

როცა მდინარე აზვირთებული, მოჰქუხს  
და ანგრევს თავის ნაპირებს,  
და ხმა ძლიერი გაშმაგებულის  
სოფლის ნალექვას თითქოს აპირებს.

და ნაკადულის ნაზი ჟღურტული,  
როს მოთამაშეს დახავსილ ქვეებზე,  
სიცოცხლით სავსე და სიხარულით  
მარდად ჩამორბის მთის ფერდობებზე, —

გულის სიღრმეში ჩამარხული მაქვს  
ზღვის დაუღლეელი ტალღათა რბენა,  
მათი ქუხილი — მძლავრი სულის თქმა,  
კლდეებზე შეხლა და გადარბენა.

რა სურათია და რა ფერები,  
სველი ტოტები რომ ირხევიან!  
და დაცვეთილი „მარგალიტები“  
ვით აკორდები დაიმსხვრევიან!

აი ეს ენა ჩანვდა ჩემს გულში  
და მან იქ პოვა გამოძახილი;  
დღესაც ჩამნივის ვით ოდეს ყურში,  
ბუნების მღერა და მოძახილი.

ოდეს შეჩერდეს ძგერა ამ გულის,  
მაშინ ცამ მედგრად დაიგრილოს,  
რომ ამცნოს წასვლა სულით ეულის,  
წვიმამ ცრემლებით გამომიტიროს.

მაშინ დაბერავს ნიავი ჩემთვის,  
საყვარელ ფოთლებს ამიმეტყველებს,  
ჩუმი ზუზუნით „მშვიდობას“ მეტყვის  
და უკანასკნელ „ნანას“ მიმღერებს.

**State College Pennsylvania 12.1.62.**

### **გამოთხოვნა**

მინდა შენ განდო რაც: რაც „გავიღვიძე“  
მსურს იქ ვიძინო უკანასკნელად;  
გთხოვ მოაყარო ჩემს მშობელ მიწას,  
სხეული ჩემი ქცეული ფერფლად.

უთხარი მას, რომ მუდამ მიყვარდა,  
ბოლომდის დავრჩი მისი ერთგული  
და თუ გავშორდი მას სამუდამოთ —  
ვიქენ ბედისგან მიტოვებული.

უთხარი მას, რომ ჩემი ფესვები  
დარჩენ მის გულში ღრმად ჩამარხული,  
მით ვსაზრდოობდი და მით ვსუნთქავდი,  
ეულად მდგარი — ობოლი სული.

მასზედ ქვითინში დაშრნენ ცრემლები  
და გული ჩემი აქ დაიღალა,  
თუ რაც უმისოდ მე განვიცადე  
და რაც ჩემმა სულმა გადაიტანა.

უთხარი: მუდამ მასზედ ვფიქრობდი,  
მის მთა ველებზედ, კაშკაშა ცაზე  
მობერილ სიოს ფოთოლთ შრიალში  
ვისმენდი მღერას ძველებურ ხმაზედ.

როს გავიხსენებ საყვარელ კუთხეს,  
როს გავიხსენებ დაკარგულ მშობლებს,  
სუნთქვა მერთმევა, თვალი მიბნელდება  
და ველარ უძლებ მონოლილ ცრემლებს.

ასე თავდება ჩემი სიცოცხლე,  
შორს შენგან სადღაც, გადაკარგულის  
ოხ! ერთხელ მაინც კიდევ მენახე,  
სანამ შეწყდება ძგერა ამ გულის!

ველარ გაუძელ უშენოდ ყოფნას —  
სიყვარულის ცეცხლს შენთვის ანთებულს  
და ამ კოცონზედ დამწვარს, დაფერფლილს  
შენ შემოგწირავ ჩემს სულსა და გულს!

მშვიდობით დედა! მშვიდობით მამა!  
დაუვინყარნო დანნო მშვიდობით!  
გთხოვთ მაპატიოთ ნაბიჯი მცდარი  
და მომიგონოთ მშობლის შენდობით.

მშვიდობას გეტყვით თქვენც, მეგობრებო:  
ბუჩქებო, ხენნო და ყვავილებო,  
ღელევე, წისქვილო და ტყის ბილიკო,  
გულთან შეზრდილნო და საყვარლებო.

გმადლობთ. კვლავ გმადლობთ,  
იმ მშვენიებისთვის, რომლითაც სული მე გამიხარეთ;  
გულს ჩამიკარით, ვით მეგობარი —  
მეც გიმეგობრეთ და გეზიარეთ.



დადგა დღე ჩვენი განშორებისა,  
აქვითინებულს სიტყვა მიწყდება...  
გთხოვთ მოიგონოთ სახელი ჩემი —  
იმედი მაქვს არ დაგავიწყდებათ?!

მინდა შენ განდო: რაც დავიბადე,  
მსურს იქ ვიძინო უკანასკნელად;  
გთხოვთ მოაყაროთ ჩემ მშობელ მინას,  
სხეული ჩემი, ქცეული ფერფლად!

**State College Pennsylvania 20 ივლისი 1962**

### **განშორებისას**

მძიმე ფიქრებში გახვეული მწუხარე გულით,  
დავდივარ სოფლად, თავდახრილი, მარტოდ, უმიზნოდ,  
ჩემთვის დასრულდა ან ზღაპარი ოდეს ნათხრობი  
და ვუცდი ჩემს დღეს განკითხვისას, ჩუმად, უსიტყვოდ.

ოხ! როგორ მინდა ისე მძლავრად დავიღრიალო,  
რომ ჩემი ხმა განწირულის, ალად ქცეული,  
მთელ ამ სამყაროს შემოევლოს, ფერფლად აქციოს,  
რომ დაბოლოვდეს ეს ცხოვრება უმიზნოდ ქმნილი.

მაგრამ მე ნავალ ჩუმად ისე, როგორც მოვედი:  
ჩემი სიკვდილით არ შეჩერდება ჩარხი ბედისა,  
ის ისე ივლის, როგორც მუდამ „მონოტონურად“,  
თითქოს არასდროს მხილებოდეს სახე დედისა!

რა კარგი იყო, როს პირველად ვახილე თვალი  
და მზემ თვალები დამიკოცნა ოქროს სხივებით!  
რა ბედნიერი ვინექ მკლავზე დედის ძუძუსთან!  
რა აღტაცებით მას ვუცქერდი უმანკო ხედვით.

რა სიყვარულით გულს ჩავიკარ ყვავილთა კონა!  
რა გატაცებით ყურს მწვდებოდა შრიალი ფოთლის!  
რა მიმზიდველი იყო ღამით ცა მოჭედილი,  
ჩიტთა ჭიკჭიკით ავსებული დღე გაზაფხულის!

დილით სხივებით დაკოცნილი თვალებს ვიფშვნეტდი.  
ნამოვხტებოდი სიხარულით მოუთმენელით,  
და აივნიდან მკლავ გაშლილი გადავხტებოდი,  
რომ გულს ჩამეკრა კარმიდამო მისი მშვენებით.

დღეს რაღას ვხედავ დაღლილი და განანამები,  
დამრჩა ცრემლებში ჩალრჩობილი მე მოგონება!  
დღეს რაღა დამრჩა იმ მშვენების, რაც რომ ვიხილე!  
ცრემლითვე მინდა განვიქარვო ამაოება.

დღე აღარ დღეობს, თვით სინათლეს ფერი ეცვალა,  
მზე აღარ ბრწყინავს ადრინდულად; მთვარეც სულ ჩაქრა,  
ღამე არ ღამობს რა ვარსკვლავებს მოსწყდა სიტურფე,  
რაკი იმედი მომავლისა მოკვდა და გაჰქრა.

როგორ დავწყევლო დღე გაჩენის — სინათლის ხილვა!  
როგორ დავწყევლო გზა ცხოვრების ჩემგან გავლილი?!  
მაგრამ თუ მკვდარსაც არ მეღირსოს მშობელი მინა,  
ჩემი გაჩენა, ჩემი ბედი იყოს წყევლილი!

გწყევლი შენც მზეო, შენც მთვარეო, თქვენც ვარსკვლავებო!  
გწყევლით ფოთლებო, ყვავილებო და ჩიტუნებო!  
განა არ სჯობდა არ მენახეთ, არ განმეცადეთ,  
თუკი რომ უნდა დაგივიწყოთ და მიგანებოთ.

ოხ! რა ძნელია თქვენგან ნასვლა, თქვენი არ ხილვა!  
ოხ! რა ძნელია მოშორება საყვარელ ბალის!  
გთხოვთ მაჰატივოთ, თქვენ რითი ხართ დანაშაული?  
თქვენ ხართ უმანკო, ვით ცრემლები საყვარელ ბალლის.

მწარე სიტყვები მათქმევინა მე განშორებამ;  
თვალი ცრემლებმა გადაბურა თქვენთვის დაღვრილმა;  
თქვენთან ვიყავი, თქვენ წიაღში მე აღვიზარდე,  
ჩემი გრძნობანი ვერ ნაშალა ჟამმა განვლილმა.

გთხოვთ დარჩეთ ჩემთან, ნუ დამტოვებთ და ნუ გამწირავთ!  
მინდა ნასვლისას მეგობრებო, რომ ჩემთან იყოთ  
მიმღეროთ ძველი მე სიმღერა და ჩამომძახოთ:  
„იძინე ტკბილად, იავენანა სამარადისოდ!“

**ბუნოს აირესი. 16.7.63 წ.**

## **და მე კი ისე შორს ვიყავ შენგან**

**(თავისუფალი თარგმანი ეტლევ ილიენკონ-იდან)  
„დედის დღე“**

მე გამაღვიძა მძიმე სიზმარმა მშფოთავ ძილიდან.  
ჩემი ლოგინი იყო მორთული შავ ყვავილებით,  
შენ დაგინახე, ინეკ, სნეული და სიცხიანი  
და გარს გეხვივნენ თავდახრილნი შენი შვილები.

შენს გულს აღმოსკდა სახელი ჩემი — გწყურდა გენახე —  
ოხ! როგორ გნადდა გულში ჩაკვრა სხეულის, შვილის!  
შენი თვალეები, ან დაქანცულნი, ეძებდნენ სახეს,  
ნატვრად ქცეულის და სამუდამო გულის ტკივილის  
და მე კი ისე, შორს ვიყავ შენგან!

და კიდევ ერთხელ გამაღვიძა მძიმე სიზმარმა.  
შავი ვარდები გარს ეხვივნენ სარეცელს ჩემსას.  
უსიტყვოდ ინეკ. გარს გეხვივნენ შენი შვილები —  
იღვროდა ცრემლი და კარ-მიდამო დაეპყრო კვნესას.

დაღლილი სული სარეცელზე ეძებდა ჩემს თავს...  
ოხ! ნეტავ ერთხელ დაკოცნა მისი აღმსრულებოდა,  
ჩემო მშობელო, ჩემო აღმზრდელო მშვიდობა მეთქვა —  
ვიდრე შენს სახეს შავი სუდარა დაედებოდა!  
და მე კი ისე შორს ვიყავ შენგან!

და კიდევ ერთხელ ძალზე შემაკრთო სიზმარმა მძიმემ.  
შავი ვარდები შემომხვეოდნენ ირგვლივ სანოლზე.  
დარბაზში ბნელა. სუნი ვიგრძენი ჩამქრალ სანთლების...  
ოხ! ნეტავ შენთან მეც დავმკვდარიყავ საყვარელ მკერდზე!

უცებ მომესმა რეკვა ზარების. დაგხედე კიდევ...  
გულმა შესწყვიტა, ერთი ნუთით თავისი ძგერა;  
ყველანი იდგნენ შენთან ცრემლებით — ჩვენს განუყრელთან.  
და სიყვარულის ჩუმი ტკივილის ისმოდა ძგერა.  
და მე კი ისე შორს ვიყავ შენგან!

**ბუენოს აირესი 14.5.71**





# Հոլեր


= Եռանկյան մեծի Կոշիկի ծայր կետը 1850  
 հարկազանի ծայր կետը 1860  
 ծայր կետը - ընդհանուր Կոշիկի 1870  
 Կոշիկի մեծի կետը - Կոշիկի մեծի կետը 1880  
 Կոշիկի մեծի կետը 1890  
 Կոշիկի մեծի կետը 1900  
 Կոշիկի մեծի կետը 1910  
 Կոշիկի մեծի կետը 1920  
 Կոշիկի մեծի կետը 1930  
 Կոշիկի մեծի կետը 1940  
 Կոշիկի մեծի կետը 1950  
 Կոշիկի մեծի կետը 1960  
 Կոշիկի մեծի կետը 1970  
 Կոշիկի մեծի կետը 1980  
 Կոշիկի մեծի կետը 1990  
 Կոշիկի մեծի կետը 2000

Եռանկյան մեծի կետը - Կոշիկի մեծի կետը 1850  
 Կոշիկի մեծի կետը 1860  
 Կոշիկի մեծի կետը 1870  
 Կոշիկի մեծի կետը 1880  
 Կոշիկի մեծի կետը 1890  
 Կոշիկի մեծի կետը 1900  
 Կոշիկի մեծի կետը 1910  
 Կոշիկի մեծի կետը 1920  
 Կոշիկի մեծի կետը 1930  
 Կոշիկի մեծի կետը 1940  
 Կոշիկի մեծի կետը 1950  
 Կոշիկի մեծի կետը 1960  
 Կոշիկի մեծի կետը 1970  
 Կոշիկի մեծի կետը 1980  
 Կոշիկի մեծի կետը 1990  
 Կոշիկի մեծի կետը 2000


Կոշիկի մեծի կետը 1850  
 Կոշիկի մեծի կետը 1860  
 Կոշիկի մեծի կետը 1870  
 Կոշիկի մեծի կետը 1880  
 Կոշիկի մեծի կետը 1890  
 Կոշիկի մեծի կետը 1900  
 Կոշիկի մեծի կետը 1910  
 Կոշիկի մեծի կետը 1920  
 Կոշիկի մեծի կետը 1930  
 Կոշիկի մեծի կետը 1940  
 Կոշիկի մեծի կետը 1950  
 Կոշիկի մեծի կետը 1960  
 Կոշիկի մեծի կետը 1970  
 Կոշիկի մեծի կետը 1980  
 Կոշիկի մեծի կետը 1990  
 Կոշիկի մեծի կետը 2000




## ლეო ჭეიშვილის სამეცნიერო ნაშრომები



ანჰიდრიტის II  
ტრანსფორმაცია  
ბიჰიდრატში. ნაწილი I





იონი  $Cr^{3+}$  კრისტალურ ქსელში,  
პეროვსკიტის ტიპის. (ნაწილი II)



მაგნიუმის ფლორიდი როგორც გამჭვირვალე  
სხეული ინფრანითელ რადიაციაში



ლეო ქვიციანილის მიერ აკაკი პაპავას წიგნების ყდების მხატვრული გაფორმება



ლეო ჭეიშვილის გრაფიკული ნამუშევარი



WATSON  
INDUSTRIA  
ARGENTINA  
PINTADO A  
MANO



ეს საფერფლე — პორფილე  
ჭეიშვილის ოჯახის  
შთამომავალთა რელიქვიაა



გუსტავო დე ლა ტორესი



ესპანურად თარგმნილი  
„ვეფხისტყაოსანი“



მბატვარ ნინო ჭეიშვილის  
„ვეფხისტყაოსნის“ წიგნის  
ილუსტრაცია

## summary

**Mariam Marjanishvili**

**Leo Cheishvili – the Georgian writer and scientist  
working in Argentina**

Doctor Leo Cheishvili, a distinguished Georgian scientist in the field of silicate industry, was a political immigrant. He lived and worked in Argentina, far away from his Bolshevik homeland. He was a successful businessman and scholar, but as an immigrant, he never really felt happy, and tried to live a “Georgian life” thousands of miles away from Georgia. “I have lived for twenty years, and here, I have existed for sixty years,”— is one of the harshest and saddest assessments one can give his own life. Despite the negative aspects of immigration, L. Cheishvili’s interest in poetry and fine arts created colorful gammas of poetic lines which represent a constant attempt to recreate the Georgian image in a distant land. Moreover, it was through poetry again that L. Cheishvili revealed his innermost self. The poet has left us about seventy poems. They describe the spiritual orphanhood of a man who was forced to abandon his roots and live in a foreign homeland. The heartbroken poet suffered from this pain until his last breath mourning over his forlorn existence with unceasing grief. The following lines are highly revealing as to the only comfort the poet had cherished for years:

“Please, scatter my mother land,  
With my body turned to ashes!”

This paper is written with the hope that our generation will objectively assess the contribution of Georgian political immigrants who lived, created, and kept aflame the idea of Georgia’s independence in remote foreign countries for decades.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალექსანდრია ნ. „უგვირგვინო ყაიმი“. თბილისი, 2005.
2. Батумь и его окрестности. Путеводитель по Батуму. Справочный отдель. Адреса и объявления. Типография В. Киладзе и Г. Таварткиладзе, Батумь 1910.
3. გოგოლაშვილი თ. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 15 (3) (27), თბილისი, 1910-1926.
4. დაუშვილი რ. „ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში“, თბილისი, 2007.
5. კობახიძე თ. „განათლებისა და კულტურის საკითხები“, ბათუმი, 1996.
6. ლიტერატურული ძიებანი“, XXVIII, თბილისი, 2007.
7. პაპავა თ. ჟურნალი „კავკასიონი“, XIII, პარიზი, 1968.
8. პაპავა თ. „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“, თბილისი, 1990.
9. პაპავა თ. საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, წერილები, ფონდი 28/ 103.
10. ნაცვლიშვილი პ. „ქართული ემიგრაციის ისტორიის საკითხები“, ჟურნალი „სამშობლო“, 1. თბილისი, 2009.
11. ნიკოლეიშვილი ა. „XX საუკუნის ქართული მწერლობა“. ქუთაისი, 2002.
12. ნიკოლეიშვილი ა. ჟურნალი „სამშობლო“, 1, 2009.
13. ნიშნიანიძე რ. „საქართველო — სამანს „აქეთ“ და სამანს „იქით“, I-II ნაწილი. თბილისი, 2005.
14. ნიშნიანიძე რ. ამერიკის შესწავლის საკითხები, ტ. V. თბილისი, 2004.
15. ჟურნალი „კავკასიონი“, XIII, პარიზი, 1968.
16. ჟურნალი „კავკასიონი“, XVIII, პარიზი, 1976.

17. ჟურნალი „კავკასიონი“, XIX, პარიზი, 1978.
18. ჟურნალი „კავკასიონი“, XX, პარიზი, 1981.
19. სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი „სამი საუნჯე“, 2. თბილისი, 2011.
20. სამეცნიერო ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“, 1, თბილისი, 2013.
21. სიგუა ს. „მარტვილი და ალამდარი“, ტ. I. თბილისი, 2011.
22. სიგუა ს. „ქართული მოდერნიზმი“, თბილისი, 2002.
23. სულაძე გ. „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები“, თბილისი, 2012.
24. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX. თბილისი, 1964.
25. წერეთელი მ. „ერი და კაცობრიობა“, თბილისი, 1990.
26. წერილები თამარ და აკაკი პაპავეზს, რვეული პირველი „ექვთიმე თაყაიშვილი“, თბილისი, 1999.
27. ჭეიშვილი ლ. პირადი წერილები და ლექსები, ფოტოები.
28. შარაძე გ. „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“, თბილისი, 1989.
29. შარაძე გ. „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ. I. თბილისი, 2001.
30. შარაძე გ. „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ. I. თბილისი, 1991.
31. შარაძე გ. „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ. II. თბილისი, 1993.
32. შარაძე გ. „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ. III. თბილისი, 1993.



[www.mtsignobari.ge](http://www.mtsignobari.ge)

დაიბეჭდა შპს „მნიგნობარის“ სტამბაში

0102, ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #40



*მარიამ მანჯანიშვილი*

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორანტი.

სამეცნიერო კვლევის ძირითადი სფეროებია: XIX-XX სს. ქართული ინტელიგენციის კულტურული იერსახე, ქართული ლემოკრატიკა, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ევროპასა და ამერიკაში, ფემინიზმი და გენდერი.

მარიამ მანჯანიშვილი არის 30 ნაშრომის, მათ შორის 2 მონოგრაფიის: „ფემინიზმი და პოლიტიკოსი ქალები ამერიკის შეერთებულ შტატებში“, „მანჯანიშვილთა და მესხთა სომელი“-ს, მრავალი ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილების ავტორი და სამი სამეცნიერო კრებული ს რედაქტორი.

2000 წელს - დაჯილდოებულია საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროსა და საქართველოს წითელი ჯვრის სიკვლით.

2004-2009 ინტეგრაციის თემაზე სამი პროექტის ხელმძღვანელი.

2007-2009 წლებში წააღებოს სამუხეუძო გაერთიანების დირექტორი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

2009 წლიდან ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ისტორიული კოლექციების ასისტენტ-რეგისტრატორი.